

0132-1307

საბჭოთავო
საგარეო ურთიერთობების
ინსტიტუტი

ISSN 0132-1307

საბჭოთავო საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტი

1980 6



საბჭოთა სელოვნიკა


საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
უკველთვიური თურნალი

შინაბარსი

ნოდარ გურაბანიძე — რუსთაველის თეატრის კიდევ მართი გამარჯვება	2
ლონდონის პრესა რუსთაველის თეატრის სამკტაქლის შესახებ	5
ლეილა თაბუკაშვილი — ცხოვრების პირისპირ	20
არნოლდ გიგაეკორი — წითელი წიგნი	27
კორა წერეთელი — ოთარ იოსელიანის ტრილოგია	32
მარტირუს სარიანი — 100	
მარტიროს სარიანი — იკოვმე თაგი ფანი!	39
ავეტყ ისაიანი — სარიანი კამოგრიობას ეკუთვნის	40
ეთერ ციციშვილი — ქართული დიზაინერული განათლების საწყისები	41
ნოდარ დუმბაძე — ლენინური პრემიის ლაურეატი	46
დავით ანდრიაშვილი — პოეზია და პლასტიკა	47
რუსუდან წურწუშია — ფოლკლორული წარმოების გამოყენების დინამიკა ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკაში	57
ნიკოლოზ შიგვა — ლაპარაკობს გალანჩინი	65
ჯურაბ ჯიბლაძე — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი	69
„მემორიუმის თეატრის“ გორჯიშვილი	70
იოსებ ომაძე — მხატვრის პერსონალურ გამოფენაზე	72
მელაღიმიძე მარკოზოვილი — 85	76
თამილა ლახიანი — „ქართული სასცენო მხატვრობა“	79
ეფენ იონესკო — მარტირვა (პიესა)	81
ბრუნისა	111

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ძორეოგრაფია**

მთავარი რედაქტორი
თამაზ მთაბრა
სარედაქციო კომიტეტი
აბაგი ბაქრაძე,
მხატვრული მუშაობა,
ნოდარ გურაბანიძე,
ჯურაბ ჯიბლაძე
(ბასუნიკის მუშაობა)
მანუჩი კვიციანი,
მანუჩი კვიციანი,
ნოდარ გურაბანიძე,
ჯურაბ ჯიბლაძე,
გივი მარჯანიძე,
ნათელა შარვაშია,
რევაზ ჩხეიძე,
ანტონ ვულუაძე,
ნიკო მამუკაძე,
ნოდარ გურაბანიძე



რობერტ სტურუა

ტყეობაში, რათა მეორე წამსვე განთავისუფლდეს მისგან.

„რაუნდ ჰაუზი“ არ არის სარეპერტუარო თეატრი — ანუ მას არა ჰყავს დასი, რეჟისურა. იგი არ მართავს თავის სპექტაკლებს. იგი ძალიან ცნობილია თეატრალურ და ავანგარდისტულ წრეებში, რომელთა რიცხვი ლონდონში ლეიონია და ნაყლებდაა პოპულარული ე. წ. „ისტებლშიმენტში“. ამ თეატრში გასტროლები აქვთ გამართული ევროპის უდიდეს დასებს, ყველაზე პოპულარულ კოლექტივებს, რაც მის დიდ სახელს მოწოდებს. ყოველივე ამას იგი უნდა უმადლოდეს სწორედ თელმა პოლს, რომელმაც შესწლო დაემტკიცებინა თუ რამდენად სიციხისუნარიანა და მიმზიდველი იდგან სხვადასხვა თეატრების გამოსვლისა ამ ძველსიძველე შენობაში, რომელიც ერთ დროს დეობო იყო, შემდეგ დენთის საწოხობი და, როგორც რობერტ სტურუამ იხუმრა — ახლა საესნებო ლოჯიურთა გადასვლა დენთის საწოხობიდან თეატრამდე, რადგან მსახიობები არა ნაყლებ საშოშნი არიან, ვიდრე ცეცხლიმანილი დენთია.

„რაუნდ ჰაუზის“ მოღვაწეობას აფინანსებს, ისევე როგორც ინგლისის მთელ კულტურულ ცხოვრებას — ე. წ. „ხელეწილის საბჭო“ (პრისტლის ერთ რომანში მთლიანად აღწერილი ამ საბჭოს მოღვაწეობა პროინციის ცხოვრების ფონზე), მაგრამ, ამჯერად თელმა პოლი მთლიანად იყო დამოკიდებული რობერტ მაქსვილის ფინანსებზე, რომელმაც პირდაპირ რკინის მარწყუებში მოაქცია ეს ექსპრესიული არსება და დამოკიდებული მოქმედების საშუალება მოუსპო.

„რაუნდ ჰაუზის“ დარბაზის ფოტო პირველად ენახ საბჭოთა კავშირში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული „ანგლოამი“ და მან საკმაოდ იმპოზანტური ნაებობის შთაბეჭდილება დატოვა. სინამდვილეში, უშუალო ხილ-

ვისას, იგი მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს, რომლისგან განთავისუფლებას საკმაოდ დრო სჭირდება. წყვეტილი ნეთ ცირკის ტიპის, ავტოით ნაშენები შენობაა: ჩუქურჭალოც მალალ ბორცვზეა შემართული და რომლის ირგვლივ ნავაგია მიმოიქროლი, ხოლო ევროში რკინის ჯართია შეხორხილი „პობ არტ“-ის სტილში, რომლის ფონზე ხალისიანი „ჰემპინგის“ გამართვაა შესაძლებელი. თეატრს, რომლის დოკატია რამოდენიმე ასეული ათასი ფუნტი სტერლინგით განისაზღვრება, ცხადია არ გაუჭირდება ამ ნაგავის გადაყრა, მაგრამ ამას არ აცეთებს, ალბათ იმიტომ, რომ ერთგვარი ხარკი გაუღოს ავანგარდისტულ მოდას, რომელთა ლიდერებმა „ჰანკემბა“ („ჰანკ“ — ნავაგი) ჰიპები შესცვალეს და ახლა ერთგვარ დერეხვის განცდილიან, რაც მათ ექსტრაეგანტური საქციელისკენ უბიძგებს (ლონდონის ქუჩებში თუ ტრადიციულ „ჰაბ“-ში ხშირად შეხვედებით ცხვირში ქინძისთავ-გარჭობილ ჰანკს, რომელსაც თავი გადაუპარსავს, მხოლოდ ზოლად დაუტოვებია სხვადასხვაფერად შევლებილი თმა — ოფოფის ქიორივით წამომართული) და თეატრის ეს ეესტი — დატოვებული ნავაგი („ჰანკ“) — საფუტრბელია, აცხრობს ბანკების მოსალაღრებ აგრესიის თეატრის სერიოზული საქმეების მიმართ.

თეატრის ფოიეში იგრძნობა უჩვეულო არომატი ძველი შენობისა, რომელიც მუხის ვეება სვეტებზეა აღმართული. ეს სვეტები და ხის კონსტრუქცია მთლიანად ჩაშვებულა და ძველი ავტოსისა და ეკემენტის იატაკის გარემოცვაში გამოიყურება როგორც სავანგებოდ „ჩასმული“ მხატვრული ელემენტი. ხის ერთ-ერთ კოჭზე ეყდა მოზრდილი ევრანი, რომელზეც ფერადი სლადიებით უჩვენებდნენ „რიჩარდ III“-ის და „კავკასიური ცარკის წრის“ სცენებს და რეპეტიციებს. ამ ევრანის მახლობლად, ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მოწყობილი იყო ფოტო-გამოწევა და აქვე ეყიდა რუსთაველის თეატრში დადგმული შექსპირის პიესების აფიშები. ამ აფიშების ფონზე ძალზე ეფექტურად გამოიყურებოდა მალალ ტუმბოზე შემოდგმული „რიჩარდ III“-ის მაკეტი. ამ მაკეტის ექსპონირება გამოიწვეული იყო იმის აუცილებლობით, რომ მასურებელს ენახ ის ტრანსფორმაცია, რაც განიცადა დადგმის დეკორატიულმა გადაწყვეტამ „რაუნდ ჰაუზში“.

მასურებელთა დარბაზი ამფითეატრის პრინციპზე იყო აგებული, სწორედ ისე, როგორც საციკო შენობებშია, მხოლოდ ეს იყო, რომ ერთ მხარეს ძალზე ფართოდ გახსნილი „სექცია“ სიბრემში მიდიოდა და მის პირდაპირ მჯდომთა წინაშე საკმაოდ შთაბეჭდვადი პერსპექტივა იშლებოდა. ამ არენაზე (და არა სცენაზე) უნდა გათამაშებულიყო რჩარდის ამალღებისა და დაცემის ისტორია, რომელიც არც სცენის პორტალითა და სარით, არც ავანსცენით არ იყო დამორბეული მასურებლებთან. პირობით, ყველაფერი ხდებოდა მასურებლის თვალწინ, სულ ახლის, იმდენად ახლის, რომ ერთხელ მასურებელმა გოგი გეგუქორა — მაკინგემს, რჩარდის მიერ გადადგმული გვირგვინი მაიწოდა.

რ. სტურუა სპეციალურად იყო ჩამოსული ლონდონს „რაუნდ ჰაუზის“ შენობის შესასწავლად და ახლა მსახიობთა სექტეკორ თუ ირონიულ შენიშვნებს საკმაოდ მშვიდად იმდენდა, როგორც ჩანს, მას უკვე მოეძქრე-



ბული ჰქონდა ამ არენისა და სივრცის ათვისების საშუალებანი, გაფორმებას ადაპტაციის შესაძლებლობანი და ეს სიმშვიდე იმით იყო გაპირობებული, რომ იგი ამ გარემოცვაში უკვე „ხედავდა“ სპექტაკლს. მაგარ ამას „ხედავდა“ — მხოლოდ რ. სტურუა და არა ჩვენ, რის გამოც მცელვარება და ერთგვარი შემფოთება სრულიად გასაგები იყო.

დღიურში ჩანაწერი:

26 იანვარი.
ჩამოვიდა დასი. საღამოს — პირველი აქტის რეპეტიცია.

27 იანვარი.
დილას და საღამოს — რეპეტიციები.

28 იანვარი.
დილას — რეპეტიცია (გაგრძელდა 5⁰⁰ საათამდე)
საღამოს — 7⁰⁰ საათზე პირველი სპექტაკლი!
ეს მშრალი ქრონომეტრაჟი იტევს ორმოცდაათი ქართულის უჩვეულო მცელვარებას, თავდადებულ შრომას, ნერვულ აღგზნებას, ერთმანიების გამხნევებას, სასოწარკვეთას და იმედს ერთსადაიმდე დროს. საოცარი ტრანსფორმაცია ხდებოდა არანაზე. თითქოს ყველაფერი ძველებურად რჩებოდა, თითქოს არაფერი არ იცვლებოდა, ჩვენ — ამ შემთხვევაში — რეპეტიციების, მაყურებლების, „ვიცნობდით“ ჩვენს სპექტაკლს, მაგრამ ამავე დროს დეტალების, მოძრაობის, მიზანსცენების თითქოსდა თვალშეუვლები გადაადგომებით, რაღაც მნიშვნელოვანი იცვლებოდა. სათამაშო არენისა და ამფითეატრის სივრცობრივი ურთიერთობა აიძულებდა რეჟისორს შეეტანა აუცილებელი კორექტივი სპექტაკლში: მაყურებელი ახლა ქვევიდან ზემოთ კი არ უყურებდა მსახიობს, არამედ ზემოდან ქვემოთ. აღქმის რაჟურსის შეცვლამ შესაბამისი ცვლილებები გამოიწვია სცენოგრაფიაში. უკან დაიწია მრავალმა სცენურმა დეტალმა, სიღრმეში გაიმართა „ტრიბუნა“ — სათვალთვლო კომპი, მაღლა ავიდა თეთრი კარვის სახურავი, მთელი გუმბათის ცენტრი დაეკრა, თეთრი ბიაზით შეიმოსა აგრეთვე გახსნილი სივრცე, სადაც რამოდენიმე სცენური აქსესუარი მოთავსდა და ბუნებრივად შემოვიდა არანაზე. სრული ილუზია იყო იმისა, რომ მაყურებელი და ტრაგედიის გმირები „რაუნდ პაუზის“ ამფითეატრშიც იყვნენ და ამ თეთრი კარვის კალბოტეჟეჟეჟე. თუ თეატრში აღქმის ფორნალური სივრცე მოქმედებს და მიზანსცენები პერსპექტივის კანონებს, წინა და უკანა პლანის კანონებს, ემორჩილება, აქ ამ არანაზე ყოყოველობრივ აღქმებოდა მსახიობის სხეული, დეკორაცია და მიზანსცენა. აქ ე. ი. „მრგვალი ქანდაკების“ პრინციპი მოქმედებდა, როცა სივრცეში დადგმული ფიგურა ყოველმხრივ უნდა პასუხობდეს პლასტიკის კანონებს. ის მიზანსცენა, მსახიობის გამოსვლა და მოქმედება, სტატუა, დეკორაციის ელემენტების ვანლაგება, რაც მაყურებელთა ერთი ნაწილისათვის საინტერესოა, ამფითეატრის სხვა მხარეს მსხდომი მაყურებლისთვის შეიძლება „მკედარი“ აღმოჩენილიყო. ყველაფერი ეს გაითვალისწინა რ. სტურუამ, და ვიმეორებ, შეუზღწევ-

ლონდონის პრესა რუსთაველის თეატრის სპექტაკლის შესახებ

„ბიზნისი“, 29 იანვარი
ი რ ვ ი ნ გ უ ო რ დ ლ ი

რიჩარდ მისამი

პოლიტიკურ სიგუეთა მიუხედავად, საქართველოს რუსთაველის თეატრი მაინც ჩამოვიდა ლონდონელ მაყურებელთან შესახვედრად. ქართველები მხოლოდ თორმეტ სპექტაკლს ითამაშებენ და ვისაც იხინი არ უნახავს ედინბურგში, უნდა იქპაროს, რომ იხილოს მსოფლიოს ერთ-ერთი შესანიშნავი დაბი.

სპექტაკლი უკეთესია, ვიდრე ედინბურგში იყო. რიჩარდ სტურუას „რიჩარდ მისამის“, რომელიც წარმოადგენილია გასოცარ ექსპრესიონისტულ ფარსად, მოემატა შავი იუმორის დეტალები. როგორც ჩანს, დასი გაცილებით შინაურულად გრძნობს თავს „რაუნდ პაუზის“ სიღრმეში შეჭრილ მოედანზე, სადაც პერსონაჟები ქოჩინოფორი შორეთიდან მოემართებიან და ისე ახლოს მოდიან ჩვენთან, რომ შეუმჩნეველი არ რჩება არც ერთი ნიუანსი — სისხლის არც ერთი წვეთი.

სპექტაკლი თამაშდება და გვეხმის გოა უანჩელის სარეჟისონილი ოპუსიკა, ხან გულუბრუნებელი და ირონიული, ხან სათუთი და მტყუნობიარე, ხან კი ბარბაროსული რიტმის შეწყვეტილი.

ეს წარმოადგენა შედევრია დრამატოზებული ქოროგრაფიისა. უკველი მოძრაობა, ნიღბან სახეთა გამოტყვევება ახსოვდება ზუსტბია. და რაკი ასეთა, საოცარ დამაჯერებლობას იძენს პიესაში შეტანილი ცვლილებები. დედოფალი მარგარეტი — მეფეა ჩახავა ამავე დროს სკვლელოს მაცნეა და მწვენიერი მსახიობი ავთანდილ მახარაძე, ანრდლიოთი რომ ასე დევნებია მეფედ უკრთხულ გლოსტერს, სიყვდილის კამბაზთა თაკაცია.

მე თავის დროზე მართებულად ვერ შევაფასე ედინბურგისეული წარმოდგენა, როცა ქართველებს „რიჩარდ მისამი“ ერთი ვარსკლავის სპექტაკლად მივანათლე. სპექტაკლს ტემპარატად წარმართავს დიდი მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე, მისი გლოსტერი ნაიოლონის მავგარი ავი სულია, სიხმელდინ რომ მოაბი. კიბე ფეხის აორკეთო, ლითონისხმენიყანა ქოხზე დაერდობილი და ბრატანეისის გახისხლონებულ რუკაში გახვეული ამთავარი სიციცხლებს. ეს დაუფიქრარის სახეთა. სცენაზე ერთმანიეოს ენაცხლებს ბოროტების მოთხველი სინაზე და შემამრწუნებელი დაუცტრომლობა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს თვისებები ორგანულია მიედლი სპექტაკლსათვის (ჰა დააკერდით, რა მიანაწურული მოქმედებს გვირგვინი იმათზე, ვინც მას ეტება).

დაბოლომ, ჩვენ უნდა მივხსნალოთ დიდი რეჟისორის — რიჩარდ სტურუას დებიუტს ლონდონში.

„შაინსფელ ბაისისი“
მაიკლ კოვენნი

რიჩარდ მისამი

რუსთაველის თეატრის უაღრესად ნიჭიერმა დასმა სწლია სიცოცხეს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გამოფ-

ლად, ძალდაუტანებლად იმდენი რამ შესცავლა, იმდენ ახალ რაჟურსს მიაგნო, რომ სპექტაკლმა გაიცილებით მეტი მოიგო ვიდრე წაგო. საოცარია: როცა უყურებ რ. სტურუას ამ რეპეტიციებზე თუ რა უბრალო რამეს ცვლის, რა უმნიშვნელო დეტალებს ასხვავებდა, უნებურად ფიქრობ: რა არსებითი განსხვავებაა ვითომ, წყნად დგას და აწინდელს შორის. თითქმის არაფერი, მაგრამ მთელი სპექტაკლის სისარკოცლო სიგრძეში შეტანილი ეს ცვლილებანი — ეგზოტ უმნიშვნელო მომენტის თვალსაზრისით, საბოლოო ჯამში დიდ თვისობრივ სიხსლეს ვეძლევის და ახალ ესთეტიკურ ფენომენს ქნის.

სულ უბრალო მაგალითი. აიღეთ ფერად სლაიდზე გადაღებული რომელიმე სცენა და შეხედეთ მას. ახლა ეს სლაიდი გადმოაბრუნეთ და მეორე მხრიდან შეხედეთ. კომპოზიცია იგივეა, მხოლოდ მარცხენისა და მარჯვენის მიმართება შეიცვლება, ცენტრის შეუცვლელად. დაახლოებით ამგვარი სახის მრავალი ცვლილება მოხდა სპექტაკლში. ზოგი მიზანსცენა დიაგნოსტურად დალაგდა, ზოგი ნახევარწრიულად. ის, რაც გარეშე მყურებლისათვის უმნიშვნელო ცვლილებაა, ძალზე არსებითია მსახიობისათვის, რომლის ფსიქიკაში დაფიქსირებულა, როგორც თავისი სხეულის, ასევე პარტნიორის მდგომარეობა სიგრძეში და მილიანი დინამიკა სპექტაკლისა. ეს „მხარის შეცვლა“ ფსიქო-ფიზიკურ პროცესთანაა დაკავშირებული და იგი არღვევს არა მხოლოდ უკვე ჩვენად ქცეულ პლასტიკას განსასახიერებელი გმირისა, არამედ მსახიობის სულიერ წონასწორობასაც. კვლავ ვიმეორებ, ის რაც ჩვენ ადვილ ტრანსფორმირებად გვეჩვენება, უდიდეს ძვრებს იწვევს მსახიობის სულიერ სამყაროში. ბუნებრივია, ამ მხრივ ყველაზე დიდი სიმძიმე დაწევა რამაზ ჩხიკვაძეს, რომლის კოლოსალური ენერჯია, დაუცხრომლობა, სიხალისე, პასუხისმგებლობის გრძობა საყოველთაოდ ცნობილია. თვით რამაზ ჩხიკვაძე, ოპტიმიზმის და ომბორის განსახიერება, უცნაურმა ნერვიულმა დაძაბულობამ მოთმინებიდან გამოიყვანა და იყვირა: — „გამაგებინეთ, თუ სპექტაკლს თავიდან

ვდგამთ, მაშინ სხვანაირად ვითამაშებ, თუ იქნება რამაზ ჩხიკვაძე შობი, რასაც აქამდე ვითამაშობდით, მაშინ რა... ცვლილება აქვს, რა უბედურებაა, ხალხო, ჩვენს თავს“. საქმე ისაა, რომ ეს ხდებოდა სპექტაკლის დღეს, როცა მესამე მოქმედება ჯერ კიდევ არ იყო რეპეტიციებზე მოსინჯული... რამაზ ჩხიკვაძე — რიჩარდი, სამიწელი ხილვებით შეპყრობილი, მოახლოვებული აღსასრულის განძობით ძრწოლატანილი, მოვარეულოვით დაბარბაცებს სცენაზე, თითქოს მიწა გამოეცალა ფეხებზე. ხან სცენაზე დადგმული კომქის ხარაჩოებს მიეხულება, ხან მასზე მიყუდებულ კიბეს წყებოტინება, ხან სკამს გამოედება და წააქცევს. უღირსად დაძაბული, ფსიქოლოგიური სცენაა. რიჩარდი აღვზნებულ გონება აბოკალიპსის სურათებს ხატავს და ამ დროს მისი სხეული, თითქოს ჩვეულ ორბიტას აცდენილი ციური სხეულის მსგავსად, მოძრაობის ფიზიკურ კანონებს არღვევს და უგზო-უყვლოდ დაეხეტება. სწორედ ამ სცენაში ვეღარ „იბოენა“ რ. ჩხიკვაძემ ყველა ის საგანი, რომელსაც ეხებოდა და ეჯახებოდა მისი სხეული. ეს საგნები ახლა, არენაზე, სხვა სიბრტყეში იყვნენ განლაგებულნი...




... რ. სტურუა ამ მესამე აქტის ძირითადი მიზანსცენები უცვლელი დასტოვა...

რასაკვირველია, „რაუნდ პაუზში“ შეიძლება „რიჩარდის“ რუსთაველის თეატრის სცენის ვარიანტის უცვლელი გათამაშება — იმ იძულებითი კორექტივის გათვალისწინებით, რასაც სათამაშო მოედანი კარნახობდა რეჟისორს (უბრალოდ, ამ არენაზე სპექტაკლის დეკორაციის ყველა ელემენტი ვერ გაიმართებოდა: დაბლა, თითქოს სცენის ტრიუმფში ჩაშვებული კიბე, საიდანაც ამოიღის რიჩარდის დედა, საიდანაც ამოიღინ მოკლული იორკისა და დედარდის სულები, არენაში ვერ „ჩაიჭრებოდა“ საწამებელი, რკინის ეკლემბიანი ვეება ბორბალი, რომლის ხრჭიალი ჩვენს ცნობიერებას „მოეცმის“ — თუმცა იგი არ ბრუნავს და ა.შ.). მართლაც შეიძლება და, ალბათ, სპექტაკლი მაინც წარმატებით წავიდოდა, მაგრამ რ. სტურუა უკომპრომისო ხელოვანია, დაჯილდოებული არა მხოლოდ

გია ყანაჭი

მირიან შველიძე

იერი ზარეცი



სიტუაციის ლოგიკის უტყუარი ამოცნობის უნარით, არამედ იმპროვიზაციის ნიჭით, რაც მას უბიძგებს თავისი თავი და დასი ახალი სცენური ამოცანის წინაშე დააყენოს და თავისსვე შემოქმედებას სხვა თვალთ შეხედოს.

მაინც რა არსებითი ხასიათის ცვლილება მოჰყვა „რაუნდ ჰაუნის“ არენაზე „რიჩარდის“ ადაპტაციას? აქ ორი მომენტია რელიეფურად გამოკვეთილი. სპექტაკლი ერთდროულად კიდევ გაიშალა სივრცულ და ენაზე შეიკუმშა სათაბაშო არენაზე, მოხდა მისი კონცენტრაცია. როგორც ვთქვით, „რაუნდ ჰაუნის“ ამფითეატრის ერთი დიდი სექცია გახსნილი იყო და ვრცელი პერსპექტიული სიორბე იშლებოდა. ამ სიღრმეში დიდგვ ვერცხლისფრად მშხინავრ თუნუქის ის ჩაქროლი სიბრტყეები, რომლებიც რაღაც უცნაური გამოქვამულის შიბამქედლებას სტოვებს. ამის ფონზე გათამაშდა ვაღვიძებელი ქალაქის ორგანული სცენები და ეს შესასუფრეების ლონდონის სრულ ილუზიას ჰქმნიდა. ამ სიღრმიდან შემოდიოდა კლარენსი — გ. ხარბაძე და რიჩარდის რეპლიკა „კლარენსი მოჰყავთ“ — აღიქმებოდა როგორც სივრცეში ვატორცინილი ფრანკა, რომელიც ისე შორს გახმინდა, რომ მისწვდა კლარენსის სმენას და ტაუერში მიმავალმა აქ შემოიბრინა. ასევე „შორიდონ“ შემოდიოდა ლორდი ჰესტინგსი — ქ. კავსაძე — დროშით ხელში (რიჩარდი: „ჰესტინგსი გამოუშვიათ!“). რიჩარდი თითქმის თავისი განსაკვირვებელი ინტუიციით ხედავდა, თუ რა ხდებოდა იქით, შორს, სიღრმეში და წინასწარ გვაგონებდა მოსალოდნელ ამბებს. მაგრამ მხოლოდ ეს არ აერთებდა არენასა და იმ სიღრმეს, რომელიც ჩვენთვის ხან „ჰქოლბიქი“ იყო, ხან რიჩარდის კომპარატივი ხილვებით შექმნილი იმიჯეყნური სამყარო, სადაც მის მიერ მოკლებულთა სულები დაბორილობდნენ. ეს „სულები“ ამფითეატრის სხვადასხვა სექციიდანაც გამოდიოდნენ და არენაზე მდგარ რიჩარდს ყველი მხრიდან ჩაუვლიდნენ. ამიტომაც, სავსებით ორგანული იყო რ. ჩიკვიპაძის-რიჩარდის განწირული სელა ხან სივრცეზე, ხან დიაგონალურად, ხან კიდევ ამ ნახევრად ბნელ სივრცეში გაუჩინარება, რათა ავონით შეპყრობილი კვლე დაბრუნებულიყო „სცენაზე“. ამგვარად, სივრცეში განლაგდა მიზანსცენები, დიდ მანძილზე გაიშალა, „გაიწეულა“, რაღაც გმირები არა მხოლოდ ერთმანეთს აწვლდნენ შორიდან რეპლიკებს, არამედ მაყურებელთა დარბაზსაც. ასე გაერთიანდა არენა და მის უკან არსებული სივრცე, ასე მიეცა მასშტაბი ჩვენს თვალწინ გათამაშებულ ტრაგედიას. ამით მაყურებელთა შეგრძნებაში, ისტორიული სინამდვილის შეგრძნება და რწმენა რეალურად არსებული ტრაგედიისა გაერთიანდა, ისტორია და დღევანდლობა შეერთდა და ზარების რეკვა სპექტაკლში ისე ისმოდა, თითქმის, მართლაც ამ წუთში დაარსებისა ზარები წმინდა პავლეს ეკლესიაში (ბრეკენბერი: „ამ განაჩენს წიკითხივანე წმინდა პავლეს ეკლესიაში“). ასევე „მოკულობითი“ გახდა ვია ყანჩელის მუსიკაც, რომელიც „პირდაპირ“ კი არ ისმოდა, არამედ ყოველი მხრიდან, თითქმის გამოკვეთილი რიტმისა და მელოდიის ერთიან „საბურველში“ აქცევდა რიჩარდისეულ სამყაროს.

მეორე მომენტი: სპექტაკლმა შეიძინა ახალი ნიჟან-

და კულტურული კონტაქტების სფეროში და შემოავთავაზა ტერმინი ნაწარმი — რამაზ ჩხიკვაძის დიდებული თამაში.

რიჩარდის როლით რამაზ ჩხიკვაძემ დამოკიდარადი მსახიობა იმ კლიბაში, რომელსაც ამჟღავნებენ ოლივე, იენ ჰოლმი და რობერტ ჰარტი. ამ სახის ჩხიკვაძისეული ინტერპრეტაცია სავსებით ფასადგება სპექტაკლის გააზრებას, რომელიც უფრო ესაბილტურია, ვიდრე მაკავალისტული. დიდფოლი მარგარეტე ღამის დედფოლასა მკავს და ყველა პერსონაჟის მავწურთა, ტავემფორული წიგნიდან ამცნობს მათ სახარელ ბედსწერას. ჩხიკვაძის რიჩარდი ნაქლამად განსაზღვრავს სპექტაკლში ჩადენილ მკვლდობებსა და ავკაობას, იგი უფრო მოვლენათა დინებას მიჩვევბა. პირველად სცენის სიღრმიდან შემოდის დახაროული ნაბიჯებით — სასწაული საიარული სპექტაკლის უარჩესად რეფტურთა მუსიკის მკავასად, რიჩარდიც თანდათანობით, ნელ-ნელა მკავრდებბა სცენაზე. ქწერე დიდფოლთან არშვის სცენა ერთდროულად მარკოვანიც არის და ხორცილიც. აქ რიჩარდის ყოველ ფრასს თან ახლავს სახის მკავირა გამოშტკენვლება და გამოლი მწერა, წამით თითქმის კიდევ გიჩვენება, რომ მისმა თვალის გუგუბმა დასტოვბა ბუდღები და თავის ქალაში გაუჩინარდნენ. გვესმის ციტატები ბაზის და მინორის პრეულიდიდან, გუნოს „ავე მარადან“, მოკრატის „რეკვიემიდან“ და აგრეთვე მხიარული რეგეამბის მოტივი, რომელიც ტახტისაკენ პატეფოყვარული სწრაფობის უარსობას ცხადყოფს. რეკენ-როლის მელოდათაგ ადამიანები ხან იღებენ და ხან იხსნიან თავიდან სათამაშო იქროსურ გვირგვინებს. ვარემო, რომელიც რიჩარდის ტრიალებს, ვაცლიებით მტეი შემოქმედების უნარს იძენს სპექტაკლის ბოლოს, როცა სცენაზე შემოდის დიდირა ბრეტენი მასხარა — ავთაღლი მახაძე, ლანდივით რომ ასდევნებბა მეფეს. ეს მსახიობი თამაშობს აგრეთვე აქონინებულ, ირსობას ედგარტე მეფეს, რომელიც კოჭინას დააიკრებს, და შეხიზულ არქიბისკოპოსს. რიჩინოში თავიდანვე სცენაზე და ბოლოს შენელებული, მძიმე მარბაობით ებრატბს თავის მტერს ევროპის ვიეებერთლთა რეკის ზედპარტე.

რეკისობრა რომერტ სტურუმი მაქსიმელურად გამოიყენა „რაუნდ ჰაუნის“ სცენა. სივრცეში ისე განალაგა პერსონაჟები, რომ დუნახვი არ ჩრება არც ერთი მნიშვნელოვანი ფესტი ან გამოხედა.

ეს არის ყველაზე საუეთობო საშუალო ახაკის მსახიობა დახი, რომელიც კო ოღენსე უარსხავს. უნდა ითქვას, რომ მექსიკაში მათგან მიღებული შთაბეჭდილება, მათი შემოქმედებით აღმრული ენთუზიამში სულაც არ გამოხლებია.*

„დილი ბლმლაზონი“, 29 იანვარი

ჯონ ბარბერი

საბამოთა რიჩარდი გვატყვევებს

წუხელ „რაუნდ ჰაუნის“ მაყურებლებმა ჩაურდის დემონსტრანტებს, რომლებიც პლაკატებსა და ტრანსპარანტებს იჭვენდნენ. დემონსტრანტების თავშეყრა რუსთაველის თეატრის ჩამოსვლამ განაპირობა. ქართ-

* მიუღი კოვენნი რეცენზია დაწერა და აღტაცებით ასევე სტრეიქონები უძღვნა რუსთაველის თეატრის გასტროლუნს მექსიკაში.

სები, იგი შევისო მოულოდნელი დეტალით და შტრიხებით, რამაც, საბოლოო ვაშში, ფსიქოლოგების სიმართლითა და დაძაბული შინაგანი ცხოვრებით აავსო სპექტაკლი. ერთის მხრივ, ვახრდილი დისტანცია არეხსა და უკანა, გაიკვლებულ სივრცეს შორის და მეორეს მხრივ უღარსად მოკლე დისტანცია მაყურებელსა და სათამაშო მიედანს შორის. სწორედ არეხზე ვათამაშდა ყველაზე მძაფრი სცენები, სადაც რიჩარდის მკაცრ-ველსტური სულის ყოველი მოძრაობა — სისხლისგამ-ყინავი მზაკვრობიდან მოჩვენებით მორჩილებამდე, არა-ადამიანური ენერჯის მოზღვავევიდან სულიერ პროსტა-ციამდე — მაყურებლის თვალში დაიბადა და იქვე გაპ-ქრა, რათა ყოველზე ეს მის მესხიერებაში აღბეჭდილიყო, როგორც ნიშნუში მსახიობის დიდი ისტატივისა. მა-ყურებელთან სულ ახლოს მივიდა, თითქოს კინო-კამე-რამ წამოსწიათ, ეპისკოპოსის (ა. მახარაძე) ვაფთხიერეუ-ლი და ტანჯული სახე, რომლის თვალეში სასოწარკვე-თასა და ტყვიის დაუსადურებია, მან შენიშნა, თუ რო-გორ გადაუსვარა სახე ლორდ ბაიენგემს — გ. გეგუკვიორს, ირონიულად დიმიტრა სიკვილის წინ და რა თავზარდამ-ცემი იყო ლედი ანასათვის რიჩარდის უკანასკნელი კოც-ნა, რომელიც თავისი შეუბრალებელი ხორციელებით ენებსა კი არ აღუძრავდა, არამედ ძრწოლას, რასაც ვა-ნიციდის ჰიპნოზირებული ცხოველი ანაკონდას აღუ-რისხგან...

„სპექტაკლი უქეთესია, ვიდრე ედინბურგში იყო. როგორღ სტუროუს „რიჩარდ მესამეს“, რომელიც წარ-მოდგენილია ვასაოკარ ექსპრესიონისტულ ფარსად, მოემატა შავი იუმორის დეტალები, რო-გორც ჩანს, დასე გაცილებული შინაურულად ვრძობს თავს „რაუნდ პუბლის“ სიღრმეში შეჭრილი მოედანზე, სადაც პერსონაჟები ჯოჯოხეთური შო-რეთიდან მოემართებიან და ისე ახ-ლოს მოდიან ჩვენთან, რომ შეუძლებ-ელი არ ჩრება არც ერთი ნიუანსი — სისხლის არც ერთი წვეთი“ („ტიმისი“, 29 იანვარი, ხაზი ჩემია. ნ. გ.).

ყველაფერი ეს — რასაც მოკლედ მოგიხრობთ, ერთბაშად გამოჩნდა პირველ სპექტაკლზე. მანამდე კი, რეპეტაციებზე მთლიანობის აღქმა შეუძლებელი იყო, რადგან რეჟისორი, მხატვარი და მსახიობები თვალდაშო-გავი შრომობთ, წვეთ-წვეთობით აგროვებდნენ ამ ახალ ნიუანსებს, რათა ყველაფერი იმასთან ერთად, რაც უკვე იყო და არსებობდა, მათ შეეჭმნათ ტრავმების გრანდი-ოზული პანო.

დღევანდელი ჩანაწერი:

28 იანვარი.

პირველი სპექტაკლი...

... ფენომენალური წარმატება...

2. სიჭაუხვია

როგორც ვთქვი, რუსთაველის თეატრის ლონდონში გასტროლები მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირე-ბული. საგასტროლო პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევა, როცა ერთი თეატრი ორგანის ჩადის ერთსადაიმდე ქვე-ყანაში, თანაც, სულ რაღაც ხუთი თვის მანძილზე. ამ

ხუთ თვეში კი ისე დაიბადა პოლიტიკური ვითარება, რომ უკლებლად კონტაქტებზე ლაბარაჟი ყინული ბა-რიერს აწყდებოდა. და თუ რუსთაველის თეატრის მსხ-როლები მაინც შედგა, ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენა-ში გადამწყვეტი როლი შესარლუს საბჭოთა კავშირის კ ენტრალური კომიტეტის პოლიტიკურის წევრობის კანდიდატებმა, საქართველოს კ ენტრალური კომიტე-ტის პირველმა მდივანმა ანხ. ე. ა. შვეარდნაძემ და სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ანხ. პ. ნ. დემირეშმა. მათი მეცადინეობის წყალობით მოხერხდა ყველა სინე-ლის ვადალახვა. ჩვენში თუ ენზე სიფხზულს იჩენდა გა-სტროლებთან დაკავშირებით, ეს უპირველესად გაბი-რებულ იყო ქართული კულტურისადმი, რუსთავე-ლის თეატრისადმი ღრმა პატივისცემით. ექვი არავის ვა-მოუთვანდა სპექტაკლის, საერთოდ თეატრის შემოქმე-დების მიმართ, პირიქით, კოლექტივის არაერთგვის წარ-მატებითმა მოგზაურობამ საზღვარგარეთ მას ფრიალ მა-ღალი არტუტაცია მოუხვეჭა ყველგან. იყო მოსაზრე-ბა — არსებულ უსაფუძვლად — ინგლისში იმდენად ძლი-ერია ანტიკავშირთა განწყობილებამ, იმდენად დამუხტუ-ლია პოლიტიკური ბრძოლათა ენებანი, რომ ამ დროს ვა-მირიბეხული არ არის თეატრის გამოუსწორებელი მორა-ლური ტრავმა მიაყენონ უქედურესმა ექსტრემისტებმა. საბჭოთა კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ნ. მ. ლუკო-ვი, რომელმაც შესანიშნავად იცო და არა მხოლოდ პოლი-ტიკური ვითარება, არამედ საზოგადოების ფსიქოლოგი-ური განწყობილება, მტკიცედ უჭერდა მხარს რუსთავე-ლის თეატრის ლონდონში ჩამოსვლის იდეას — სწორედ პოლიტიკური მოსაზრებებით. მისი ღრმა რწმენით ედინბურგის წარმატების ძლიერი რეზონანსის უფუ-ლვედროვად შეუძლებელი იყო. ამას გარდა, იგი გამო-სთქვამდა საფუძვლიან მოსაზრებას — მაღალი, დიდი ხელოვნება შესძლებს ყოველგვარი პროვოკაციის და-ძლევას და გზას გაიკვლევს მაყურებელთა გულუბრა-კენ. (გაიკლის მცირე დრო და 29 იანვარს „გზადივნი“ დაწერს: „...ჩვენ ვეზიარეთ ისეთი დონის ღრამას, რო-მელმაც სძლია თანამედროვე საერთაშორისო ანტაგო-ნიზმი“. ამავე აზრს გამოვირებს „უაინიშელ ტიმისი“: „რუსთაველის თეატრის უქედურესად ნიჭიერმა დასმა სძლია სიცივეს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გამეფა უკლებლად კონტაქტების სფეროში და შემოგვთავა-ჰეშმარტის ნაწარმი — ჩ. ჩიკვიასი დიდებულ თამა-ში“). ყოველივე ეს და კიდევ სხვაც ბევრი რამ, დაკა-ვირებული ქვეყნის ტრადიციებთან, ჩვეულებთან, საზოგ-ადოებრივი ცხოვრების ნიუანსებთან, მან ვეიამბო იმ შე-ხედრებების დროს, რომელიც საელოზში, მის პირად აპარტამენტებში თუ თეატრ შედგა. მანვე ვეამცნო, რომ დიდი ბრიტანეთის მაღალ ინსტანციებში საკმაოდ ცხავე დებატები გამართულა რუსთაველის თეატრის ვა-სტროლების გამო და ხელისუფალი მხოლოდ უკანას-კნელ მომენტში დაურთავთ ნება გასტროლების ორგანი-ზატრობისათვის სისრულეში მოყვანათ ეს განზრახვა. გასტროლების მანძილზე ჩვენ ერთის წყითით არ ვე-ვრძენია მარტოობა. პირიქით, ვიცოდი თუ რა დაინტე-რესებს იჩენდა არესპუბლიკის ხელმძღვანელობა თეატ-რის გამოსვლების მიმართ, ვხედავდი ჩვენი მეგობრების გამბწყინებულ სახეებს (რომელთა შორის ჩვენი თანამე-

მამულნიც იყვნენ — საკავშირო რადიოსა და საყვების კორესპონდენტები თ. კობახიძე და ვ. მაისურაძე, ხოლო საკავშირო ტელევიზიის ტელე-კორესპონდენტი ბ. კალიაინი თავის ოპერატორთან ერთად თეატრის უტყუარ მემკვიდრე იქცა — და ჩვენ ვხედავდით, თუ რაოდენ სიყვარული აკეთებდა იგი ყოველგვარ იმისათვის, რომ მრავალმილიონან სამკუთხე მავურებელს სრული ინფორმაცია ჰქონოდა თეატრის გამოსვლის შესახებ.

„პოლიტიკურ სიციყეთა მიუხედავად, საქართველოს რუსთაველის თეატრი მინც ჩამოვიდა ლონდონელ მავურებელთან შესახებდრად“ — შენიშვნავდა 29 იანვრის „ბიამისი“.

25 თებერვალს, დასის ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე, რობერტ სტურუა, მხატვარი მირიან შველიძე, ტექნიკური ჯგუფი და ამ სტრუქტურების ავტორი, „რაუნდ მაუსში“ გვეშუქრეთ ზოგიერთ ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად, რათა მეორე დღეს მსახიობებს დაუყოვნებლოდ დეაწყოთ რეპერტოციები. ის იყო ჩვენი მანქანა მიადგა თეატრის შენობას და საპარკოვარის წინ მამლოდინე ფოტო და ტელერეპორტიორების ჯგუფი დაიძრა ჩვენსკენ. გარს შემოგვეტყუნენ და ამ საპატო ექსკორტის თანხლებით შევედი თეატრის ფოეში. რობერტ სტურუსს უმაღ მიაწათეს ოპერატორული პროექტორები ყოველი მხრიდან და რამოდენიმე მიკროფონი მიუტანეს პირთან. სინათლის შუქმა ინტერვიურის სახეც ვაანათა: „რას ფიქრობთ — ჰკითხა მას რ. სტურუსს, — ავლანეთის საკითხისა და აკადემიკოს სახაროვის მოსკოვიდან გასახლების გამო“.

უკვე მრავალ პრესკონფერენციებზე და ინტერვიუებში გამოწრითობლი რ. სტურუსს, ცხადია, არ გაუტრედებოდა ამ კითხვებზე პასუხის ვაცემა, მაგრამ ასე, თოიქმის ავტომანქანის საფეხურიდან ამ სერიოზულ კითხვებზე (რომელთა პროვოკაციული ქვეტექსტი არ იყო ძნელი ამოსაცნობი) პასუხი, რბილად რომ ვთქვა, რალაც კომიქურ სიტუაციას შექმნიდა. ეს უმაღე იგრანო რ. სტურუსამ:

— თუ თქვენი გუთით ამ კითხვებზე სერიოზული საუბარი, — უპასუხა რ. სტურუსამ, — მე მზად ვარ ამისათვის. ახლა მე აქ მოვიდი საქმისათვის და თუ მოიცილით, ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ საუბარი.

ტელეკომენტატორებმა მაშინვე მოხსენეს ალყა და იქვე მდგარ თელმა პოლს სთხოვეს ინტერვიუ.

ავლანეთთან დაკავშირებულმა ამბებმა, — რომელიც, ცხადია, რეაქციულ პრესაში თავდაყირა შეუქცებოდა, — თავის აპოგეას მიღწაწა სწორედ იმ დღებში. 25 იანვრის ყველა გაზეთმა მთელი გვერდები დაუთმო ანტი-საბჭოთა კომპანას, ხოლო ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გავლენიანი გაზეთის „დელი ტელეგრაფის“ (სამ მილონზე მეტი ტირაჟით გამოდის) მთელი ნომერი მიძღვნა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გესლიან კრიტიკას. 25 იანვარს უკანასკნელი ცნობების ვადაცემას მოჰყვა პოლიტიკური კომენტატორის გამოსვლა. ჯერ უჩვენეს „ინტერვიუ“ რობერტ სტურუსთან. რატომღაც კორესპონდენტის მიერ დასმული კითხვის პირველი ნახევარი დატოვებიათ მონტაჟის დროს („ავლანეთის საკითხი“), რ. სტურუსს მიმართ ითქვა, რომ თით-

ველები ითამაშებენ საუცხოო სექტორს, რომელიც შექმარის „რიჩარდ მესსის“ ფანატორების წარმოადგენს.

მაურებელი დიდხანს და მსურველედ ესალმებოდა ქართველ მსახიობებს, რამაშ ჩხიკავასი საპატეცნიეროლო კი ფხვჩ წამოღდა და ოცავინო ბოლო არ არ უნდა. ქართველმა იტაკი თოთრი ქსოვლილი მოფარს, შემდგ სცენის რკალი ვარჯიხეს და საიდუმლოებით მოცული სიღრმე შექმნეს სცენაზე გამოსახულად. მოქმედება შემზარად პლატონოვებზე წითარდება, სამფოტო ტახტი თოთქის სახარობლას ვიკავხ, უცნაური, თანამედროვე ტანსაცმელი აცვიო მსახიობებს, რომლებიც ზოგჯერ ურციკებით შემოაკავთ.

რევისორმა რობერტ სტურუსამ პიესა მოლაპარაკებულად გაიარა ექსპრესიონისტულ სტილში. სცენაში გაგრთიანებულა, პერსონაჟები შერწყმული და ერთი გმირი ახალა, დამატებული — ესაა მახარა, რომელიც კომენტარს უკეთებს მოვლენებს. მუსიკა — თანამედროვე ტკბილი და შემზარად — მოიცავს თეატრის პაზიდან, აგრეთვე მელიოდის „დმბრთა, იხსენ მეფე!“ და „The dants!“-ს.

თუმცა ჩხიკავასი რიჩარდი შემარწმუნებლია, ზოგჯერ მინც ვეცევილი მისი სარდლილოლი დიმილის ტყვეობაში და ღამის თანამდროშებმა ვეცევიტახტისაქენ მინავალ სისხლიან გზაზე. ნაპოლიონსტურაქრედ პალტოში გამოხეცულ. დიდოვდა — თვალმებამოკარკულ რიჩარდს — ამ საშუა კამაზს თავისუფლად შეუძლია მოიგოს უკვდევეარი ნიღაბი: მელიოვარე, დაწურებული კაცისა თუ სათავანებელი წინდახისა. არცერთი რიჩარდა არ ყოფილა ასეთი კარგი მსახიობი.

მაილქეს თუ არა მიზანს, მოისხრის უსალმუნს, ზღს კახს დედს და მქერდზე ვენებანად მიხუტებულ ცოლს ეშაფოტზე გაგზავნის. მისი ცევი ცინიშმა უძღვევლია.

ტექსტი საქამოდაა შეკულილი და დეტალებში გარკვევა ძნელია, მაგრამ უკვლავური ვახავთა, რადგან სათქმელი ცოცხალი, გამომხატვლობითი საშუალებებითაა მოტანილი. დედოფალი მარგარეტი მთელ სექტაკლს მიჰყვება, როგორც შურისძიების სიმბოლო. მოჩვენებები, პიესაში თავს რომ ვახებურებენ, აქ შიშომოგერულად დაბორალებენ სცენაზე მოქმედების მხედლობის დროს. ფინალში რიჩარდი და რიჩარდი, წყალად შეშვლები, ინგლისის რუკის ზედაპირზე იბრძვიან.

დასიდან განსაკუთრებით შთამბეჭდვი რიჩარდ მახარა — ავთანდოდ მახარები და ირი დედოფალი — სალომე ყანჩელი და მუდია ჩახავა. რუსთაველის განსტარებები სულ 12 წარმოადგენს მოიცავს.

„პარლიმენი“, 29 იანვარი

მაიკლ ბილინგტონი

რიჩარდ მესსამ

„რაუნდ მაუსის“ თეატრის წინ, „რიჩარდ მესსის“ პრემიერის დამეს თავი მოყარეს პოლიტიკურმა დემონსტრატებმა, რომელთა შორის იყვნენ ანტისაბჭოურად განწყობილი და ცევი ომის მოწინააღმდეგე ჯგუფები. სექტაკლის დაწყებამდე კი რობერტ მაქს-



პიტერ ბრუო
რუსთაველელთან

ქოს მან ძალიან ოსტატურად აუარა კითხვას გვერდი (აქვე დაურთო კომენტატორმა ვერაგული შენიშვნა — „არ დაგავიწყდეთ, რომ ესენი ქართველები არიან და არა რუსები“).

შემდეგ გამოვიდა თელმა ჰოლი, რომელმაც ძალიან კარგად ილაპარაკა. რუსთაველის თეატრის გასტროლები დიდი მოვლენაა ლონდონის კულტურულ ცხოვრებაში. თეატრის ჩამოსვლას მრავალი წინააღმდეგობა შეხვდა, ბოლოს მაინც გაიმარჯვა გონიერებამ. მე მომხრე ვარ ამგვარი კონტაქტების და მათი შეწყვეტა ორივე ქვეყნისათვის საზიანოა. ბედნიერი ვარ, რომ რუსთაველის თეატრი ლონდონშიაო.

ახლა მის გამოსვლას გაუკეთა კომენტარი „ბი-ბი-სი“-ს მიმომხილველმა. კონსერვატორული მთავრობა ერთს ლაპარაკობს და მეორეს აკეთებსო. საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კარტიგონმა განაცხადა საბჭოთა კავშირთან ყოველგვარი კონტაქტების გაწყვეტით. თუ არ ვცდები, რუსთაველის თეატრი საბჭოთა კავშირიდან უნდა იყოსო. მაშ რას ნიშნავს ამ თეატრის ჩამოსვლა? ამ კონტაქტების გაწყვეტის?

ეს იყო ფაქტურად დემაგოგიური მოწოდება — ბოიკოტი გამოვეცხადოთ რუსთაველის თეატრს. ამავე ხაზს აგრძელებდა „ინგენ ნიუსი“, რომელმაც დაბეჭდა რუსთაველის თეატრის კოლექტივის მსახიობების ფოტო, „პითროუს“ აეროდრომზე გადაღებული, ასეთიხაირი წარწერით — დღეს, ნაშუადღევს ლონდონში ჩამოვიდა რუსთაველის თეატრის დასი. ეს არის პირველი და უნდა ვიფიქროთ, უკანასკნელი კოლექტივი, რომელიც ამ სიტუაციაში ჩამოვიდაო. უფრნალ „ვოლუგის“ (რომელიც საერთოდ შორს დგას ხელოვნებისა და კულტურის პრობლემებისგან) ერთმა თანამშრომელმა გამოაცხადა —

რუსებისადმი პროტესტის ნიშნად მე არ წავალო რუსთაველის თეატრის სპექტაკლის სანახადად, რის გამოც ჩვენთვის ცნობილმა მაიკლ კოვენმა სასაცილოდ აიგდო იგი: „ალბათ, კრემლს შიშის ხარის დაეცემა, როცა გივგებს, რომ „ვოლუგის“ დაქირავებულმა კრიტიკოსმა ბოიკოტი გამოუცხადა რუსთაველის თეატრის გასტროლებს“.

ცხადია, ყოველივე ეს იყო ანარეკლი იმ „დიდი პოლიტიკისა“, რასაც კონსერვატორული პარტია აწარმოებდა საბჭოთა კავშირის მიმართ. ისეთი შთაბეჭდილება არ შეიქმნას თითქოს პრესა, რადიო, ტელევიზია კონკრეტულად რუსთაველის თეატრის წინააღმდეგ იყო მიმართული. იმდენად მკვინვარა ინგლისში ანტისაბჭოთა განწყობილების ტალღა, რომ მან, ლოგიკურია, არც რუსთაველის თეატრი დაინდო, როგორც საბჭოთა კულტურის, შემოქმედებითი კონტაქტების, ეროვნებათა თავისუფალი განვითარების გამოსატყუებელი.

მიუხედავად ასეთი წინასწარი „რეკლამისა“, რუსთაველის თეატრის პირველ სპექტაკლს სრული ახშლაგი ჰქონდა...

ჩვენი ძველი ნაცნობი ანტონი ისაკი — „ბი-ბი-სი“-ს ტელეხედვის „გარესამყაროს“ მთავარი რედაქტორი, რომელმაც საქართველოზე ფერადი დოკუმენტური ფიკრი გადაიღო, დიდხანს იყო თბილისში და კარგად იცნობს რუსთაველის თეატრის შემოქმედებას — გვეუბნებოდა: ჩვენი ტელევიზია ათასგვარ სისულულეს უკეთებს რეკლამას, ხშირად ისეთ ნაწარმოებებს უწევს პროპაგანდას, რომლებიც შორს დგანან ხელოვნებისაგან და ამ დროს არაფერს ამბობს თქვენს სპექტაკლებზე, მაშინ, როცა სწორედ ახლა უნდა იყოს ჩვენი ეკრანი გაქედნილი თქვენზე გადაცემებითო. მაგრამ მძიმე პოლი-

ტიკურ სიტუაციაში ჩამოხედითო. მე თითქმის შხად მაქვს ჩემი ფილო სპარტეველოზე (ამ ფილოს ფრაგმენტები „ბი-ბი-სი“-ს სტუდიაში ენახეთ რ. ჩხიკვაძემ, რ. სტურუამ, ვ. ყანგელმა, ველა ჩარკვიანმა და მე. იგი — მონტაჟის შემდეგ, უთუოდ საინტერესო იქნება), მაგრამ მისი ჩვენება ახლა გამორიცხულია. ამას, ალბათ, თქვენც ხედავთო. ახლა თქვენც საკუთარი რისიკით თამაშობთ, ასე ურეკლამოდ აქ ვერაინ ვაპირდავს გამოსცლას. აქვე ვიტყვი ბარემ, რომ ანტონი სიასკმა ავგარიოდა „ბი-ბი-სი“-ს მრავალი კორესპონდენტი, რომელთაც პოლიტიკური სენსაციები იზიდავდათ — ესენი დიდი და სერიოზული საქმისათვის არიან აქ ჩამოსულინი და არა სცალიათ თქვენი პოლიტიკური ვენებებისთვისო.

საკუთრივ, თეატრალურ რეკლამას რაც შეეხება, აქაც ცუდად იყო საქმე. ქალაქში გამოკრულ უმარავ აფიშათა და პლაკატთა შორის ამაოდ დაუწყებლად ძებნას რუსთაველის თეატრის გასტროლების მთუწყებელ რაიმე ცნობას. მხოლოდ „რუნდ პაუზის“ კედელზე იყო გაკრული უზარმაზარი, წითელი ნაჭრის ანონსი. ხოლო ფოიეებში და თეატრის მისაღებოთთან გამოკრული იყო მკითხე ზომის აფიშები რამაჲ ჩხიკვაძის გამოსახულებით (მკრთალ ვარდისფერში დაბეჭდილი ნეგატიური გამოსახულება). ასე რომ, თეატრი დაქტიურად რეკლამის გარეშე მართავდა სპექტაკლებს.

თელმა პოლი გვეუბნებოდა, აფიშებისა და პლაკატების შესანიშნავი ესკიზები გვექონდა, მაგრამ ბოლო წუთამდე არ ვიყავით დარწმუნებულნი თქვენს ჩამოსვლაში. ასეთ ვითარებაში დიდი სარეკლამო აფიშების დაბეჭდვა ფინანსურ რისკთან იყო დაკავშირებული. ასეთ რისკზე ჩვენ ვერ წავედით (საერგაშონ პრესის“ გამოცემელს — რობერტ მაქსელს, არ გაუპრადებოდა, დამერწმუნეთ, აფიშის დაბეჭდვა. მის ფირმას ფილიალები აქვს ნიუ-იორკში, პარიზსა და ტოკიოში. აქ პოლიტიკური მოსაზრებანი თამაშობდნენ თვალსაჩინო როლს).

მაგრამ, აქ ერთმა გარემოებამ ითამაშა გარკვეული როლი. ედინბურგის ფესტივალზე წარმოდგენილ „რიჩარდ III“-ის ძალიან მაღალი შეფასება მისცა დიდი ბრიტანეთის ყველა დიდმა გაზეთმა, რომლებიც თავიანთ მკითხველებს აღტაცებული ტონით შთააგონებდნენ, ეს არისთ თეატრალური მოვლენა. ახლა, იმავე გაზეთებს, აღარ შეეძლოთ მკვეთრად დანებათ თავისი ძველი პოზიციებიდან და „რკირის ლედის“ პოლიტიკური შთაგონებულებს, სხვაგვარი შეფასება მიეკათ იმავე სპექტაკლისათვის. ჩვენ, უბრალოდ, ველოდით, გაცილებით ცივ ტონს, უფრო კრიტიკულ შეფასებებს და არავითარ შემთხვევაში სპექტაკლის თეატრალური ესთეტიკის უარყოფას. სინამდვილეში სულ სხვა რამ მოხდა. ჯერ იყო და — გასტროლების დაწყებამდე — „დეილი ტელეგრაფისა“ და „ტაიმის“ თეატრალურმა მიმოხილველებმა — უნდა ვთქვა კომპლიმენტი მათი მისამართით — ანგარიში არ გაუწყეს არც პოლიტიკურ კონსერვატორს, არც თავიანთი გაზეთების მიმართულებას და საკმაოდ ობიექტურად წარმოადგინეს ის საუბრები, რომლებიც მათ ჰქონდათ ერთად თუ ცალ-ცალკე რ. სტურუსთან, რ. ჩხიკვაძესთან და ჩემთან. ეს ჩვენთვის ნაცნობი მიმოხილველები იყვნენ, რომლებიც

ველმა მშვიდად შეგავახსენა, რომ ქართული დასი თავისით არ ჩამოსულა, მან მოახატა. სახედონიერად, დარბაზში დემონსტრაცია ეს გარუმართავ სპექტაკლის დამთავრებამდე, ის მერე მოხდა, როცა დარბაზში მძობილით აღტაცებული მარტაბლები უნებლიედ ფხტურ წაიბორჩნენ, რათა მისაღებოდნენ მასხობებებსა და რობერტ სტურუს სენსაციურ სპექტაკლს.

ინგლისური თვალისა და უკრაინათვის სპექტაკლის ტონი ურვეულა. ჩვენთვის შექმნილის ისტორიული პიესები დაკავშირებულია სუვერენთან, სისხლთან, ხმლების ჩახა-ჩუხთან. ელვისტების პარტუტული სიბავისა და გვირგვინისაკენ ორგანული სრავაჲს შემოქირებად რ. სტურუს სპექტაკლი თამაშობდა გონებაშავილურ, ცივ და ირონიულ ტრალიზში. მარტო, რაზ საცეკვაო მელოდები, ფუნდემანს და აღდნის ნაზი მოკვავონებს, ფორტალიზდ სრულდება და თან აღხავს ვას, რომელსაც რიჩარდი ტახტისკენ იყვალავს. თეთრამოსის სულდენ სპილითინდ მოვლენის სტურებებთან დაკრავენ ვითარული ბურუსით მოცულ სცენაზე. სიკვდილის სიმბოლოა დედოფალი მარგარეტა, რომელიც ქორის მოვალეობას ასრულებს, და ცალფრთა დამუხრავით უტრიალებს ხოლმე განწარულებს ცხვირთან მოსახსიბის კალთას. სპექტაკლის ამგვარი ტრალიზის მოუხედავად, სტურუს შეინარჩუნა დრამის მორალი — უფალი გვქნის ჩაენილი ცოდვისბათით. დაფთულით თითო კრავში სტურუა ზაჲგანსით წარმოგვიდგენს თვალდამაფრთხილელი რიჩარდის ხელისუფლებისაკენ გიურ სრავაჲსა და ამ სრავაჲს ბორიტებასა და აბსურდულბას.

გვირგვინი სპექტაკლის მთავარი სიმბოლოა. მასტინგის კი წაებანება მას, თავზე მოიბრავდება ტახტურ ქდება დონეჲყოფილი, ხოლო ელვისტებსა და ბაკინგებს სახურავად გაუხედათ ეს სახურავილი ლითონის სალექ. ბოლოს, როცა ელვისტირ მვეუ ხდება, ისეთი უნით ჩამოიბნობს თავზე სამეფო გვირგვინს, რომ წარბებზე კი აღარ უჩანს — აქ ეს შესანიშნავი სახე, მხავსადა არტურო უჩისა და „დიდი დიქტატორის“ სახეებისა, ამხელს ტრანიის მეორე მხარეს — სასაცილოსა და აბსურდულს. ეს კონსტრუქცია, რა თქმუნდა, თვალსაჩინო არ იქნებოდა, რიჩარდი რომ დიდ მასხობის არ ეთამაშა. და რამაჲ ჩხიკვაძე ადსტურუად ედინბურგში შექმნილ შთაბეჭდილებას, რომ იგი ურუდარბებლი აქტიორია.

ქმუხა აღნავაშა, თხელი, ბოროტი პირი, მოცლედ შეკრებილი თმა და გადმორაკლებული თვალბი თითქმის ცხადად წარმოგვიდგენს გიუად ქვეულ დამახსიჩებულ ნაპოლეონს, რომელსაც გაჲფუფის წყურავილი ახრჩობს. იგი გვირგვინს ისე შემარავად უტრიალებს, თითქოს მუქის ზაჲგანს მოჲწყუდევა სურდეს. შაველთათამანიანი ხელები ცხვირბებს ჩქმაღლებენ — აი, ისინი ეფერებიან მასტინგს და ხელის თათონი ბოლოს ალუფურად იქცევა, თითქოსდა გახედლებით იხებებენ გაწირულ ლდი დას და ბოროტი ფრინველის ფრთებივით თავს დასტრიალებენ შთაბეჭდილულს. სახე სახეს ცვლის და საშუალებად რჩება ჩვენს მხესივრებაში: ქოჩინას მოკარბებს გამოხეზო-სავით გახიბული ედვარდი, საწამებლად გაბეჭებული არქიპისკოპოსის თავს მუხლბეში იქცევენ ბრეჲკენბე, და ბოლოს სამეფლო-სასიოცხლო შეტავებული რიჩარდისა და რიჩმონდის თავებს ვხედავთ გიგანტური რუკის ზედაპირზე.

ედინბურგში სპეციალურად იყენენ ფესტივალზე აკრედიტებულნი თავიანთი გაზეთების მიერ. აგვისტოდან იანვრამდე მათ არა თუ განულებია ჩვენი სპექტაკლიდან მიღებული შთაბეჭდილებანი, არამედ ახლა, უფრო მეტის აღტაცებით ლაპარაკობდნენ მასზე, რეჟისორის და რ. ჩიკვაძის ხელოვნებაზე, რაც აისახა კიდევ მათ მიერ გასტროლებამდე გამოქვეყნებულ წერილებში. აი, ეს იყო ნამდვილი რეკლამა, თუ რეკლამაზე ვილაპარაკებთ. გულწრფელ გაცემას გამოხატავდნენ ჩვენი სპელჩოს დიპლომატები, რომლებმაც შეუდარებლად მეტი იცოდნენ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე, ვიდრე ჩვენ: საოცარია, როგორ მოუხიბლავს თქვენს სპექტაკლს ედინბურგში მყოფრებელი, რომ თვით ის გაზეთებიც კი, რომლებიც ჩვენი პოლიტიკის პირქუშ

ფერებში წარმოდგენის გარდა არაფერს აკეთებენ, წინასწარ ამგვარ წერილებს ბუჭდებენ.

მაგრამ მთავარი ამბავი პრესაში, სწორედ პირველი სპექტაკლის შემდეგ დატრიალდა... მანამდე კი რუსთაველის თეატრის დასი ერთი პოლიტიკური დემარშის მოქმედებას განაგრძობდა, რომლის მიზანი იყო მტრულად განწყობილ მყოფრებელი თეატრის მიმართ და დსქიოლოგიური ზემოქმედება მოეხდინა მასზე. ამ დემონსტრაციის ამბავი, როგორც ჩანს, წინასწარ შეიტყო თეატრის დირექტორმა თელმა პოლმა, რომელმაც გეოსთხა, თუ საკმე გაკვირდა, თეატრში მომუშავე მაგარ-მაგარ ბიჭებს მოგახმართო (სცენის მუშებთან, საერთოდ ტექნიკურ მუშაკებთან კი თავიდანვე დამყარდა მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა. სეზონურად მომუშავე ეს ახალგაზრდები ძირითადად ხელოვნებისა და ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ). პირველი სპექტაკლი იწყებოდა შვიდ საათზე. როგორც კი თეატრის მიუახლოვდა ჩვენი ავტობუსი საპარადო კარისკენ მიმავალი ფართო კიბეები დემონსტრანტებით გაივსო. მათ ხელში ეჭირათ პლაკატები, ლოზუნგები, ტრანსპარანტები. დასი შშვილობიანად შევიდა თეატრში და შემდეგ კი, რაკი სპექტაკლის დაწყებამდე საკმაო დრო იყო, ისევ გამოვიდა გარეთ „სერიის“ საყურებლად. ამან საოცრად იმოქმედა დემონსტრანტებზე. ისინი დაიბნენ, თითქოს ხალისიყ წყაროვითა — ძველებური ენერჯითა და ენთუზიაზმით არ გაპყრობდნენ ლოზუნგებს. მაგრამ მალე მოეგნ გონს და წვიმაში წამომართეს, ააფრიალეს ტრანსპარანტები.

ეს არ იყო ერთგვაროვანი მასა. იმის გამო, რომ მათ აკლდთ ერთსულოვნება, დემონსტრაცია ისეთი შთაბეჭდვადი ვერ გამოვიდა, როგორც იყო ჩაფიქრებულნი. თუმცა, მეორე დღეს, ზოგიერთი გაზეთი ამ დემონსტრაციის მნიშვნელოვან პოლიტიკურ აქტად წარმოგვიდგინდა, ეს სინამდვილეში იყო ფარსი, პაროდია დემონსტრაციისა. ერთი ჯგუფი ანტისაბჭოთა ლოზუნგებს გაჰყვირდა — ეს იყო პოლიტიკური ფრთა დემონსტრანტებისა, მეორენი ჭარბელებს გვასწავლიდნენ, თუ როგორ მოეპყრობოდით ებრაელებს („თბილისელებო! — გამოუშვით ძმები გოლშტეინები“ — სიმართლე გითხრათ, ასეთ პოლიტიკურ მოღვაწეებს პირადად მე არ ვიცნობ). ეს იყო დემონსტრაციის სიონისტურ-რელიგიური ფრთა. მესამე ჯგუფი ანტიტეტჩერისტებისგან იყო შემდგარი. „ტეტჩერ წაბრძანდით!“, „ტეტჩერი უგულუბელოყვს ჰელსინკის სულისკვეთებას“ — ეწერა მათ პლაკატებზე. მეოთხე ჯგუფი ძირითადად ახალგაზრდა მუსულმანებისგან შედგებოდა, ისინი რიტმულად გაიბახოდნენ „გამარჯოს ავღანეთის რევოლუციას“, „გამამარჯოს წითელ არმიას“ — მათთან ერთად იყვნენ ახალგაზრდა ინგლისელებიც. ყველაზე დიდი პლაკატი უკვე იყო ვაკრული — „მივესალმებით რუსთაველის თეატრის გასტროლებს ლონდონში“. ეს პლაკატი დომინირებდა. უცებ, ერთი პატარა ჯგუფი წამოვიდა მაღლა. მათ ამკარად უნდოდით ამ პლაკატის ჩამოგლეჯა და მის სანაცვლოდ თავიანთი პლაკატის გაცერა („შექსპირისეული ტრადედია ორი კვირით ლონდონში და კავკასეული მარჩიული ტრადედია კემბრიში“ — ეწერა მათ პლაკატზე), მაგრამ სამარცხინოდ იქნენ ისინი უეჭუტეულნი.

სპექტაკლის პლაკატი-პროგრამა.

The Round House
January 1980
Chalk Farm Road, London NW1
Box Office 01-267 2564
(Open: Mon - Sat 10am - 8pm)

28 January - 9 February

The Rustaveli Company
in
RICHARD III

ყოველი მხრიდან გამოძევების კორესპონდენტები მხოლოდ ანტისაბჭოთა ლოზუნგებს იღებდნენ, რათა დოკუმენტურად დაემტკიცებინათ მეორე დღის პოლიტიკური დემონსტრაციის მითი. საოკრუო ეფექტი მოახდინა იმ გარემოებამ, რომ ჩვენ არა თუ შევემინდით და თეატრში შევიკეტეთ, არამედ, პირიქით, იქით დავეუწყეთ ფოტოსურათების გადაღება და მთლად გაიგნდნენ, როცა ჩვენმა ოპერატორმა ლომერ ასველდიანმა მძლავრი შუქი მიანათა და კინო-კამერა ააუშვა... დავტოვეთ დემონსტრანტი, რომელთა ენთუზიაზმი ჩვენმა გულციგობამ და განხორბეულმა წყნობამ დაკარგა ჩააცხრეს და შევედით თეატრში. მთელი თეატრალური ელიტა იყო მოსული ამ საღამოს, ყველა ის, ვისაც სმენოდა „რიხარდის“ წარმატების ამბავი. აქ ვხედავდი ნაცნობ სახეებს ედინბურგიდან, რომელთაც წინ მოუძღოდათ ფესტივალის დირექტორი, მაალი, ლამაზი მამაკაცი — ჯონ დამონდი, თეატრალური კრიტიკოსები და ხელოვნების დირექციონერი, რომლებიც სხვადასხვა შეხედრებზე და პრესკონფერენციებზე გაეცნა.

გაქედელი ამფითეატრის წინაშე გამოვიდა ჩვენი მთავარი იმპრესარიო რობერტ მაქსელი, რომელიც სერიოზულად იყო შემოთვალული მომხდარი ამბებით და რომელსაც (როგორც შემდეგ შევატყვევებ) თავისი ისედაც შელახული პოლიტიკური რეპუტაციის ეკვის ქვეშ დაყენება არ სურდა. პირიქით, მას სწორედ თავისი მოღვაწეობის ერთ დროს ბრწყინვალე ფასადის რესტავრაცია სურდა. მან არსებითად პოლიტიკური „სპინი“ წარმოსთქვა, სადაც განსაკუთრებით იყო ხაზგასმული დიდი ბრიტანეთის ჰუმანიზმი და თავისუფლებისმოყვარე ტრადიციები. ჩვენ თავისუფალი ქვეყნის მოქალაქე ვართო და ჩვენს თავისუფალ ქვეყანაში ყველას თავისუფლად შეუძლიათ თავისი აზრებისა და განწყობილებების გამოხატვა. მე ვიცი, რომ დღევანდელ მსაჯურებელთა შორის არიან ისინიც, რომელთაც სურთ ბოიკოტი გამოეხადონ და ჩაშლონ სექტაკლი. მიიღი შევთანხმდით — თუ ვინმეს სურს თავისი ემოციების გამოხატვა — დაე, გამოხატონ ისინი სექტაკლის დაწყებამდე. პაუზის შემდეგ: რაკი ახლა არ ამკლავნებთ ემოციებს — შემოვიწახით იგი სექტაკლის დასასრულისთვის, მითუმეტეს, რომ დღეს თქვენ უყურებთ ბრწყინვალე სექტაკლს ბრწყინვალე თეატრისა, რომელსაც თვითონ კი არ უთხოვია ლონდონში ჩამოსვლა, არამედ ჩვენ ვთხოვეთ — დაახლოებით ასე ღობარაკა იმ საღამოს რ. მაქსელიმა და მისი სიტყვები მოზავაგზის გამიორის მეორე დღეს გახეთქების რეპორტიორებმა.

უკვე სექტაკლის მსვლელობისას ნათელი გახდა, რომ თეატრის გრანდიოზული წარმატება ხედვითაა წილად. აღტაცებისა და ოვაციის ამ მოზღვანებულ ტოლდას ვერ გაუღლებდა ვერცერთი პოლიტიკური აქცია თეატრში. ამ დროს, როცა ზოგიერთი დემონსტრანტი ფოიეში დაძრწოდა, ფეხზე მდგარი მაყურებელი ესალმებოდა ქართულ მსახიობებს. აშკარა იყო, რომ მთლამა პროფესიულმა ოსტატობამ, დიდმა ნიჭიერებამ, შენაწინაშემა სექტაკლმა გადალახა ყოველგვარი პოლიტიკური ბარიერი, როგორც ამბობდნენ, ამ ნიჭიერმა კოლექტივმა გააღწო კულტურულ ურთიერთობაში არსებული ყინული. ჰუმანიზმმა ხელგონებამ არსებითად პო-

სექტაკლის დასასრულს რიჩარდი იმ ქვეყნის რუკაში გახვეული ღაფავს სულს, რომელიც ამდენი სისხლისღვრა და უბედურება მოუტანა.

ბრუნდები შინ და ვერცხება, რომ ქვეყნიერება განწმინდა პორტუგალიაზე. სტურატი, რუსთაველის დახმა (და არააქლებ გია ყაჩაღი)მ დაგვანახებ, რომ ქართველებს უნარი შესწავლონ გვასწავლონ ზოგი რამ შესწავლის პიესების დადგმასთან დაკავშირებით. და მაილის, შთიშობა იქნება უფრო რთული — ჩვენ ვეზნარათ ისეთი დონის დრამას, რომელმაც სძლია თანამედროვე საერთაშორისო ანტაგონიზმს.

„დღეილი ბელმეზარში“, 28 იანვარი

ქონ ბარბერი

მსოფლიო მასშტაბის მსახიობი

„არუნდ მაუსი“ რომ პირველად ნახა, რამაზ ჩხიკვაძე გაოცდა. თეატრის შენობა, რომელიც წინათ რეინგის დეპო იყო, ნაღებება ჰგავდა ჰალარა ობილიის მოხდენილ თეატრს, რომელიც რუსთაველის სახეობა ატარებს და მაღელ ოზეიმებს თავისი დაბადების ასე წლისთავს.

მე ვევი არ მუხარება, რომ რამაზ ჩხიკვაძე მსოფლიო მასშტაბის მსახიობია. მისი ინიარდ III, რომლის პრემიერაც დღეს უნდა შედგეს და რომელიც მე ედინბურგში ვნახე, დამაზრვეული ძალის, მაკავალისეული ცბიერებისა და მძქვერებ იუმორის თავბრუდამხვევად წარმოჩენა. არავე მოძრაობა სცენაზე ასე საკეთილად და შეწარავად არავე იცვლის ბუნებას ასეთი დაუნდობელი სისწრაფით — ალტრისიან ფლიდეს უბნად შეუძლია სხვათაშორის გულგრილად ბრძნოს! — თავი მოკეთეთო.

შაბას ჩვენ ერთად ვისადლოეთ, თუმცა რამაზ არაფერს ჰამად, ეწეოდა და ლუღს წრუთავდა ვისოლ (სივარტის იმ დღეებში ვეწევი, როცა და მთაშობა). 51 წლის, ჰალარა, ძლიერი აღნაგობის რამაზ ჩხიკვაძე ხარითი ჰანრთული კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს. ცოტა ხანიც და იგი თავს ჩემთან შინარულად გრძობს, ხშირად იცინის. აშკარად ეტყობა, ცოტა არ იუოს გაკვირვებულა იმ ინტერესით, შინმა თამაშმა რომ გამოიწვია ამ ბოლო ხანებში — პოლონეთში, რუმინეთში, აუგოსტოვიაში, გერმანიაში და განსაკუთრებით მექსიკაში. მასზე დიდი შთაბეჭდილება დაუტოვებია ედინბურგის მყურებელმა — „მართაკაცია ზუსტად იყო, სწავლობდნენ ყველა ნიუნიანს, კიხოხობდნენ ყველა ეპოქაში“. აი, ლონდონელ მაყურებელთან შეხვედრა კი ძლიერი აუტორებს, ვითოუ ამ სცენაზე დაწარალდეს სექტაკლი. ჩვენ ვერ ვიწყებთ ისეთები, როგორცა ვართ“.

„ყველა ბავშვი იცნობდა სცენაზე“ — ამბობს იგი, — მეც ვიწყებობდი 2-4 წლისად და შემდეგომში აზრი აღარ შემეცვლია. მუსიკალურ ოქაში ვიწრდებოდი, დედა მფეროდა, მამა მუსიკაჟოლეუტი იყო. ჩემი მომავალი იმ საღამოს გადაწყდა, როცა პირველად წამოვიდა თეატრში და სცენაზე გაცოცხლებული ზღაპარი ვნახე. მოქალაქეული დაგრი. ჩემი აზრით, უღრმესად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები დავსწრრობ იმ სექტაკლებს, რომლებიც მათ ისმით, თუ ვსურს განითავრდნენ და ეწარონ დრამას. მაგალითად, შეცდობა იქნება, ბავშვი რომ მოვიყვანოთ „რიჩარდ მესამეზე“.



სცენა სპექტაკლიდან „რიჩარდ III“

ლიტერტური გამარჯვებაც მოიპოვა. სპექტაკლის შემდეგ თეატრის შენობაში თელმა ჰოლმამ გამართა ე. წ. კოქტეილი, რომელსაც თეატრალური საზოგადოებრიობა და პრესა დაესწრო. შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს თეატრიდან არავინ წასულა. სტუმართა აღზნებულ სახეებზე გაკვირვება და აღტაცება იკითხებოდა ერთსა-დამიანვე დროს. ამ საღამოს (და შემდეგ, მთელი ვასტაროლების მანძილზე) გმირები იყვნენ რამაზ ჩხიკვაძე და რობერტ სტურუა. ამ პირველსავე საღამოზე გამოიკვეთა აეთო მახარაძის წარმატების პირველი ნიშნები, რომელიც შემდგომ, მის ნამდვილ გამარჯვებაში გადინხარდა.

... შვიდი, ოუმორითა და შინაგანი სიკეთით სავსე ა. არბუზოვი, ცნობილი საბჭოთა დრამატურგი, დიდხანს ლაპარაკობდა სპექტაკლის ღირსებებზე. ამ დღემამ მე მომეგონა ის კეთილი, ნეტარი დრო, როცა საბჭოთა თეატრში ნამდვილი თეატრალობის ზეიმი იყო. ახლა ხშირად ვეძილვით ილუზიებს და თეატრს ვხედავთ იქ, სადაც იგი, სინამდვილეში არ არის. ეს დადგმა სწორედ თავისი თეატრალობითაა განსაცვიფრებელი. მე მგონი დღეს რუსთაველის თეატრი საბჭოთა თეატრს ტონს აძლევს სწორედ თეატრალური ძიებების სფეროში. ეს კეშმარტივად დიდი ხელოვნების ნიმუშია.

ეს აზრი მან გაიმეორა რ. მაქსიცილის მიერ ოქსფორდში გამართულ ბანკეტზე (რომელსაც ესწრებოდა ჩვენი დიპლომატიური კორპუსი, ელჩის ნ. მ. ლუნჯოვის მე-ათურობით), შემდეგ ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში, როცა ვასტაროლებიდან დაბრუნებულ რუსთა-

ველის თეატრს მოსკოვის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ დიდი შეხვედრა მოუწყო და ბოლოს — უფრო გამოკვეთილად — საკავშირო ტელევიზიაში თეატრის საერთაშორისო დღისადმი (27 მარტი) მიძღვნილ სპეციალურ გადაცემაში, სადაც მან განსაკუთრებით გაუხსნა ხაზი იმ აზრს, რომ ნამდვილი ხელოვნება ყველაზე მძაფრსა და მტრულ პოლიტიკურ ვითარებაშიაც ყოველთვის გამოდის გამარჯვებული და გზას იკვლევს ხალხის სულსა და განებისაკენ, რაგინდ პოლიტიკური სენტენციებით და განწყობილებით არ უნდა იყოს იგი დამძიმებული.

მეორე სპექტაკლზე მოსულები (29 იანვარი) სახტად დაკრჩით. დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო (ოპტიმისტი იტყვოდა: ნახევრად სავსე იყო). ასეთი წარმატება ასეთი სიტყვებით! ბოლოსდაბოლოს, ასეთი პრესა და ასე მცირე მაყურებელი? გაუგებარი იყო! ავიხსნეს, ჩვეულებრივი ამბავიაო ჩვენში. ელტარული საზოგადოება, თეატრალური მაყურებელი (თეატრის ქარგონით: — „პრემიერის მაყურებელი“) მხოლოდ და მხოლოდ პირველი სპექტაკლის ნახვას ისწარფვის. თუ ეს ვერ შესძლო, ის არ მთავა მერე სპექტაკლზე. ელოდება პრესის (რომელსაც ძალიან უწყვეენ ანგარიშს) და თეატრალების ავტორიტეტულ აზრს. მართლაც, მომდევნო სპექტაკლების მიმართ ლონდონელმა მაყურებელმა უჩვეულო ინტერესი გამოიჩინა, რაშიაც, რასაკვირველია, დიდი როლი ითამაშეს იმ რეცენზიებმა, რომელნიც მეორე დღეს დიდი ბრიტანეთის ოთხმა უდიდესმა გაზეთმა დაბეჭდა.

ეს ინტერესი დეტალურად გამოიხატა. სპექტაკლის პროგრამა (მშვენივრად გამოცემული ფოტოებით, რუსთაველის თეატრის მოკლე ისტორიით, სტურუსის მიერ ადაპტირებული ტექსტის განმარტებით) ღირდა 50 პენსი, შემდეგ 75, ბოლოს ერთი ფუნტი. ფოიეს კედლებიდან ნელ-ნელა ქრებოდნენ ჩვენი აფიშები და „რიჩარდში“ გადაღებული ქართველი მსახიობთა ფოტოსურათები. ბოლოს, თეატრის მუზეუმისათვის ძლიერ გადავარჩინეთ ერთი აფიშა.

ამგვარად, მესამე სპექტაკლიდან მოყოლებული მეთორმეტამდე (ერთი უთქმელი ტვირთი დაწვა რ. ჩხიკვაძეს; თორმეტი სპექტაკლი ერთი ამოსუნთქვით თიამაშა. ამ პერიოდში იგი იყო ასევე — ყველაფერი შეწყვირა თეატრის ინტერესებს) აღმავალი გზით მივიბრუნებოდა ყოველი სპექტაკლი და თუმცა, ბოლო — მეთორმეტე ღამე — წარმოუდგენელი, ერთი ალყურელი, ზემიძისა და გამარჯვების ღამე იყო. მე გასტროლებს კულმინაციად მიმაჩნია ის საღამო, როცა ჩვენი დროის უდიდესი რეჟისორი, ერთი თეატრალური ეპოქის შემქმნელი პიტერ ბრუკი მოვიდა სპექტაკლზე...

წარმატებათა ეს, როგორც იპოქრემები იტყვიან — „ყველივანი გზა“ კინლამ დაიბრუნდა 31 იანვარს, როცა ექსტრემისტულმა განწყობილებამ საკმაოდ მძაფრად იჩინა თავი. ის იყო დაიწყო სპექტაკლი და ვილად უცნობმა პირებმა დარეკეს თეატრში, რომ ნახევარ საათში აფეთქდებოდა. ტელეფონებით ამგვარი ამბების შეტყობინება არაა დიდი იშვიათობა ინგლისში, კონსტანტინოპოლის პერმანენტული ტრაგიკული კონფლიქტის ვითარებაში (ორი კვირის წინ, ოქსფორდ სტრიტზე, ორ უნივერსალურ მაღაზიაში ერთდროულად აფეთქდა ბომბი, რასაც მსხვერპლი მოჰყვა). სასწრაფოდ გამოვიძახეთ რობერტ მაქსველი — რომელიც ოქსფორდში ცხოვრობს; მაგრამ იმ საღამოს რატომღაც ლონდონში შეჩერებულა. იგი დაუკავშირდა ლონდონის პოლიციის შეფს, რომელმაც არავითარი გარანტია არ მოგვცა, რომ მსგავსი არა კიდევ არ განმეორდება, პირაქით, საერთოდ დასის ევაკუაცია მოითხოვს ლონდონიდან. ყოველ საღამოს ასეთი რამ რომ განმეორდეს, მსახიობების სრულად გაუძღვებო ამ ფსიქოლოგიურ შემორტყევებს.

 ზრდის ამჟამად პირდაპირ პროპორციულია.

განა შესაძლებელია, ყველა ამომწურავი ნაღირ-
 ფრინველის დასახლება? მათი სახე, გარეგნობა,
 მსგავსად დინოზავრებისა, შეგვიძლია წარმოვიდგი-
 ნოთ მხოლოდ და მხოლოდ სურათებით, სამშუფუშო
 ექსპონატებით, მოგზაურთა აღწერილობით. ზოგიერთი
 თი ხომ სულ ახლახან ცხოვრობდა. შორს რომ არ
 წავიდეთ, ჭერ კიდევ ჩვენი საუკუნის ათთან-ოციან
 წლებში კავასიის ტყეებში ნადირობდნენ ისეთ მშვე-
 ნებაზე, როგორც იყო კავასური დომბა. 1928
 წელს აფხაზეთის მთის ტყეებში მწყემსებმა მოკლეს
 უკანასკნელი დომბა. ლამის ასეთვე ბედი ეწიოს
 ევროპულ დომბასაც.

მსოფლიო ფაუნაში ამჟამად აღარ ირიცხებიან
 ადამიანთა თუნდაც დღევანდელი თაობის შესხიერე-
 ბაში შემორჩენილი ისეთი მსხვილფეხა ცხოველთა
 უნიკალური წარმომადგენლები როგორებიც იყვნენ:
 კვაგა (ზებრის მსგავსი ჩლიქოსანი), ბურჩელის ზებ-
 რა, შობურტკის ირემი, ირანული ლომი, კენგურუს
 რამდენიმე სახეობა, ზანზიბარის აბრეშუმის მსგავ-
 სი მაიმუნი, ფოლკლენდის მგელი, ჩანოოსანი მგელი
 და ბევრი სხვ.

დღეს ისტორიას შემორჩა სახელები „სახელგან-
 თქმული“ გამჩანავებლებისა და მათი პეროსტრატეტი-
 ბური რეკორდები. ვინმე აპრამამ კინგმა ჩრდილოეთ
 აფრიკის ნაპირებთან გაანადგურა მილიონი სელაპი;
 უილიამ კოდი, მეტსახელად „მაფალოუ (კამერი) ბი-
 ლი“, ყოველწლიურად ხოცავდა 4000 ბიზონს, კარა-
 მაჭი ბელმა აფრიკაში დახოცა 2000 სპილო, საყ კარ-
 ტიმე კეთით ერთ დღეში ამოხოცა ათასამდე ბატა-
 სინი.

დღეს ამ ადამიანთა სახელები ბუნებისადმი მფლან-
 გველური, დაუფორებელი და მკაცრი დამოკიდებუ-
 ლების სიმბოლო გახდა. რატომ ხდებოდა ეს? გულ-
 დასაწყევები ისაა, რომ ბევრი ცხოველი განადგურე-
 ბის ზღვართან დაუენა არა ადამიანის სასიცოცხლო
 მოთხოვნილებებმა, არამედ ვილაკების ახირებამ,
 ცრუ რწმენამ, უშეო პატავმოყვარობამ. ათასობათ
 სპილო ნადგურდებოდა მხოლოდ ეშვებისათვის,
 რომლებიც გამოიყენებოდა ბილიარდის ბურთებისა
 და სხვა წვრილმანებისათვის, რომელთა გარეშე და-
 მინათა ყულენა-არყოფნას არაფერი შეემატებოდა.
 მარტორქებს ორმაგი-სამაგი დენითი დატენილი ვაჟ-
 ნებით აღუტურებელი სპეციალური ვინჩესტერებისა
 და შსამიანი ისრებით სპობდნენ ერთი სულელური
 ახირების გამო: თითქოსდა ამ ცხოველის ერთადერთი
 რქისაგან დამზადებულ ნაყენს ელექსირის ძალა ჰქო-

ნოდეს — მიხუტებულს ახალგაზრდობას უბრუნებ-
დეს. მოიღოს მიმდევარა ახირებას ძლივს გადაურჩი-
ნენ სიმაკლებში. ფუფუნებით განებებულ ბანა-
რანებს ექსტრავაგანტური ქუდიებისათვის ერთობ მოს-
წონებს სირაქლების ფრთები. ამავე მიზეზით კინა-
დამ ამოწვდა თეთრი წეროც. არც ნაინგებს დაადგაო
უკეთესი დღე: მათი ტუპისაგან დამზადებულ ეგზო-
ტიურ ჩანთებზე ნაღვლიანი ციბე-ცხილება გაჩაღდა.
პირველ მსოფლიო შემტყო გერმანიელ ზოოლოგმა
მაოფესორ ბერნარდ ტრეიბის მიერ სახელგანთქ-
მული კინოგარკველავის კინა ლოლობრიფიდახადმი
მიწერილი წერილის შინაარსი. მეცნიერი სიხოვდა
მსახიოსს, არ ეტარებინა ლოპარდის ტუპისაგან შე-
კერილი ქუტი, რომ ამით არ ეყოლებინა მოდის
მიმდევარი ფემინისტური სამკაულის სხვა წარმომად-
გენლები და გადაერჩინა ეს იშვიათი ცხოველი.

აღრე ცოცხალი ბუნების რაგი წარმომადგენლე-
ბის არსებობისათვის ფატალური იყო ბუნებრივი კა-
ტაკლიზმები: ხანგრძლივი გეოლოგიური და კლიმა-
ტური ცვლილებები დაბურულ ტყეებს უწყლო
ულაბნოლ აქციდენდს და პირველი, ეს კი გარემო პი-
რობებისადმი მგრძობიარე ცხოველთა მთელი გჯე-
ფების ამოწვევას იწვევდა. ბოლო ირი საუკუნის
მანძილზე ცხოველთა სამუაროს ბუნებრივი კატაკლი-
ზმების, სტიქიური მოვლენების თანაბრად მოცელი-
ნა ადამიანი. დღეს უღაყო ფაქტია — სწორედ ადამი-
ანი აუგებს პასხუს ცხოველების მტაცებლურ განა-
დგურებაზე.

მაგრამ ადამიანის მიერ ბუნების განადგურება უო-
ველთვის როდი ატარებს ისეთ მკაცრ, დაუფიქრებელ
ხასიათს, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ ფაქტებშია
ასახული. არის მთელი რიგი ფაქტორები, რომელთა
მიზეღვითაც ერთი საქმის გაყვთებით მეორეს ვვნებთ.
იყო დრო, როცა ნატურალისტებს ვერავინ გაამტუ-
ნებდა მუწუფუთა ექსპონატების გამოიდრებებს მიზ-
ნით ცხოველთა მოპოვებაში. მაგრამ ბუნებრივი პი-
რობების კრიზისის ჩვენს ეპოქაში საჭირო შეიქმნა აწ
საკითხის კრიტიკული გადახედვაც. საქმე ის არის,
რომ მეცნიერული მიზნებით იშვიათი ინდივიდთა მო-
პოვებამ, როცა იგი კონტროლის გარეშე მიმდინა-
რობს, დააჩქარა გადაშენების გზაზე მდგომ ცხოველ-
თა ამოწვევაც. ეს მარტო მსხვილ ორგანიზმებს
როდი ეტება. დღეს ევროპის მთელ რაგ ქვეყნებში
ლიცენზიებისა დაწესებული იშვიათი პეპლების მოპო-
ვებაზე, სამწუხაროდ, „ბუნების მოყვარული“ ვაი-
ტურისტები უკონტროლოდ და განურჩეველად წვე-
ტენ კავკასიონის ალპების ელელვაისებს — ფრინველ-
სა და მეღვარებს. მუსრის ავლებენ აპოლონებსა და მა-
კაონებს. არც კი იციან, რომ ზეალ მათივე მიზეზით,
შესაძლოა დიდმა კავკასიონმა დაეარგოს თავისი შე-
ნანიწნავი საშაულები.

ადამიანის პირდაპირ ზემოქმედებას ფლორასა და
ფაუნაზე ხშირად მოსდევს ერთი შეხედვით უჩინარი,
მაგრამ ხშირად დამლუკველი შედეგები. მართლაც,
ბუნებაში არის რიგი ადგილები (მეცნიერები მათ
ბიოტოპებს უწოდებენ), სადაც ბუნებრივი წონასწო-
რობა საკმაოდ მერყეობს. ადამიანის სულ მცირეოდენ
ჩარევასაც კი შეუძლია მისი დარღვევა. ზოგჯერ ში-
ნაურ ცხოველთა მოშენებაც კი ხაერბოხებს უქმნის ამო-
რიგეულ ფაუნას. განსაკუთრებით ეს ითქმის გარე-
მოსაგან ისეთ მოწვევებულ, ჩაკეტილ ტერიტორიაზე,
როგორებიცაა კუნძულები. მოიყვანით ასეთი მაგა-
ლითი: ახალი ზელანდიის ერთ პატარა კუნძულზე
ცხოვრობდა მოსიარულე ჩიტი — ქენიკუს ლილი.
გასული საუკუნის დამლევს კუნძულზე მოაწვეეს მუ-
ჭურა. მისმა მეთვალყურემ გაიჩინა კატა და, აი, ამ
კატამ და მისმა ნაშთებმა ძირფეხვიანად ამოავლო
ამ სახეობის ფრინველის ყველა წარმომადგენელი.

ზოგჯერ ბუნების გარდაქმნასაც კი, რაც ესოდენ
დამახასიათებელია ჩვენი ეპოქისათვის, შეუძლია
მთელ რიგ სახეობათა დევრადაც აწ სრული განა-
დგურება მოჰყვეს. ტუტების გარეშე, ქაობების და-
შრობა, ვილების გარწყავიანება, ზელოვნური ზღვი-
ბის შექმნა ხშირად იწვევს კარდინალური ხასიათის
ცვლილებებს ბიოცენოზში. ამიტომ არის, რომ კოლ-
ხეთის ქაობების დაშრობის დიდი სახალხო-სამეურ-
ნეო მნიშვნელობის გვერდით უდიდეს მნიშვნელობა
აქვს კოლხეთის წარქვლის, როგორც თავის მხრივ,
საქართველოს განუშორებელი ბუნებრივი პირობე-
ბის იტალიის შერაჩუნებას.

შეიძლება ვიწინს დავებავს კითხვა: საჭიროა კი
არქაულ ცხოველთა გადარჩენა, როცა ისინი ისედაც
განწირულინი უფილანდ ევოლუციის პროცესით? მაგ-
რამ არქაულიც არის და არქაულიც, თუ ჩვენ არ გვა-
კვირებს ის ფაქტო, რომ მთლიანი წლის განმავლო-
ბაში არსებელი დინოზავრები და ავონიტიები (ზღვის
განმარხებელი მოლუსკები) სახეებით გადაშენდნენ,
მეორეს მხრივ, ხომ დღემდე შემოგვრჩნენ მათივე
თანამედროვეები ორმაგად მსოფთაქვი უძველესი თვე-
ზების — ცელაქანტების სახით. მაშასადამე, განა სწო-
რი იქნებოდა გვევარაუდო, რომ პანდა, ტანმანური
მგელი, ანდა იაური მარტორქა ევოლუციის გარდუ-
ვალი მსხვერპლინი არიან? თუ პირიქით, იქნებ უფრო

მთის არწივი



მართებული იყო ვალარით XX საუკუნის ტექნიკური კატალიზმის გავლენა? იქნებ, ჩვენ ბუნებრივ წრებრუნვაში ჩვენივე უცერემონიო ჩარევით გაწერით გარშემო მყოფი ცხოხალი არსებანი უდროოდ დასაღუპავად?

დღეს უკვე ორი აზრი აღარ არსებობს: ბუნებას არ ძალუძს აღამიანის მიერ მცენარეთა და ცხოველთა გადაშენებული სახეობებით გამოწვეული დანაკლისის ანაზღაურება. ჩვენს დროში ჩინური „დათვის“ — პანდასა, თუ ამირტაკაკასიური ჭიჭის მოკვლა, ლიბანური კედრისა თუ უთხოვისის მოჭრა იგივეა, რაც ძველმურ ტაძარში ვიტრავის ქვით ჩამტკრევა, ანდა ნიკორწმინდის ჩუქურთმის სატყეოთი ჩამოტეხა.

მართალია, დღეს უკვე აღარ შეიძლება თავიდან შეიქმნას „ზღვის ძროხა“, ანდა გიგანტური პინგვინი, მაგრამ აბსოლუტური გადაშენების მიჯნამდე მისულ ცხოველთა გადარჩენა კი შესაძლებელია. რას ვვალინსმობთ „დაღუპვამდე მისულ სახეობებში?“. სახეობა დაღუპულად ითვლება მაშინ, როცა სიკვდილიანობა ქარბობს შობადობას და ინდივიდთა საერთო რიცხვი ათასზე ნაკლებია (რამდენდაც ეს ექვემდებარება აღრიცხვას). სულ სხვაა ცხოველთა ისეთი სახეობები, რომლებიც იშვიათია ერთ რაიონში, მაგრამ, სანაგეროდ, ქარბადაა სხვაგან. ასე, მაგალითად, მგელი იშვიათობას წარმოადგენს ევროპის რიგ ქვე-

ნებში, მაგრამ უართოდაა გატრელებული ციმბირში, საქაიოდა კავკასიაშიც.

თანამედროვე ზოოლოგიისა და ეკოლოგიის ტრადიციული ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს იმ მოვებების დაცვა, რომლებიც სახეობათა გადაშენებას იწვევს. რატომ ხდება, რომ აუვაეების კვალიკვალ მცენარეთა და ცხოველთა რიგი წარმოადგენლები ეჩაბებიან ისეთ სიძნელეებს, რომლებიც შემდგომ მათ გადაშენებას იწვევს? ბუნებრივი გადარჩევა, ბრძოლა არსებობისათვის, კლიმატის მკვეთრი ცვლილებები, — აი, მიზეზები, რომლებიც მათ სხეუბათ შედარებით არაჩელსაყრელ პირობებში აყენებს.

ზოოლოგებმა გაარკვიეს, რა ურ.ნკლავა ოცდოთხი პროცენტი გადაშენდა ბუნებრივი მიზეზებით, ოცდათორმეტი პროცენტი იმყოფება გადაშენების საშეშროების ქვეშ. ძუძუმწოვრებში, შესაბამისად დადგენილია ოცდახუთი და თოთხმეტი პროცენტბო. მაგრამ ეს ციფრები გვიჩვენებს უბედურებათა რიცხობრივ მზარეს. ვიცით კი, როგორია ეს ბუნებრივი მიზეზები?


რისთვისაა საჭირო დავიცვათ ცხოველები და მცენარეები, რომლებიც, როგორც ჩანს, მხოლოდ აუადმყოფ ინტერესს წარმოადგენენ? სინამდვილეში ამ სახეობათა მნიშვნელობა ძალზე მრავალგვარია.

ისინი სჭირდება მეცნიერებას. ბევრი „ჩასაფურც-

ანტილოპა



ქვე



გეპარდო



ლი სახეობა? განსხვავდება თავისებური შორეოლოგიითა და ბიოლოგიით, იხინი გვეყვლინებიან ცოცხალ ნაზარხებად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შორეული გეოლოგიური წარსულის მემკვიდრეად.

მათ შეუძლიათ შესარჩეული დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა — გამოყენებულ იქნა საყვებად. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით აფრიკაში გაცილებით რენტგენულით გარკვეულ ჩილიოსანთა დაცვა-გამომარჯვება და შემდეგ მათზე გეგმაზომიერია ნადირობა, ვიდრე შინათა დაცვითა მოწინააღმდეგეობა, უფრო უნდა იქნებოდა ადგილად. მსოფლიოს სხვა სხვადასხვა ნაწილში კავშირში: შუა აზიაში დაიწყო ერთ დროს გადაშენების პირას მდგარი, ახლა კი ორ მილიონამდე მიღწეული საგაიხე სამრეწველო ნადირობა. თბოთმეტიდელ წლის წინათ თავში არავის მართვია დღევანდელი მოწინააღმდეგეობა, დღეს კი იგი სრულიად სერიოზულ საქმედ მიიჩნევა.

გადაშენების გზაზე მდებარე ცხოველებს გააჩნიათ უდიდესი ესთეტიკური მნიშვნელობა. ცხოველთა უნიკალურ სახეობათა გაქრობით კაცობრიობა დგება ურთოდ არახელსაყრელი პერსპექტივის წინაშე — ვი-ცხოვრობო მხოლოდ კოლონ-ბუბუსის, თავებისა და ბელურების გარემოცვაში. ასეთი პერსპექტივა, ბუნებრივით, არავის გავგვარებს, უფრო მეტიც, ცხოველთა საშარას ძვირფასი მემკვიდრეობის დაკარგვით, ჩვენ მორალურად ვაგებთ პასუხს კაცობრიობის მომავლის, ჩვენი შთამომავლობის წინაშე. ცხოველთა საშარას შენარჩუნება სჭირდება იმიტომ, რომ თითოეული სახეობა, მთლა იქნება ეს, პრაქტიკ. თუ შევიღო — ბუნების განუმეორებელი კმნიშლება. შეიძლება თავიდან შევქმნათ ავტომობილი, ავიათი სახელი, ქარხანა, ქალაქი, აღვაღვიწოთ ქანდაკება... დაკარგული ცხოველის ხელხაზი კონსტრუირება კი შეუძლებელია. მისი ხატო მხოლოდ სათამაშოს გაკეთება შეიძლება... ლომის მეფური, ფრთხის ფანჯანტურის გარკვეობა, გეგმადის უნივერსალური ექსტერიერი, შვარდნის კამარა, წეროების გადაფრენა, ზღბუბლის გაღობა იმ აუცილებელ ბიოლოგიურ სტრუქტურათა რიცხვს მიეყოფებნა, რომელთა გარეშე ცხოვრება ერთფეროვანი და მისაწყენი იქნებოდა.

დღეს პირისგან მიწისა ეძება ემუქრება ცხოველთა კიდევ ექვსი (!) სახეობის. ცხოველთა საშარას ექვსი წარმომადგენლის თავზე უფრო ათობა საშიშროების წითელი შუქციმცობა. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირსა ცხოველთა ექვსსავე სახეობაში იქნა განგაშის „წითელ წიგნში“.

1948 წელს იუნესკოს ბუნების დაცვის განყოფილებასთან შეიქმნა ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი. კავშირში გაერთიანდნენ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნები, მან შექმნა უმდიდრე საერთაშორისო კომისია — „იშვითა და მოსლის გზაზე მდგარ ცხოველთა დაცვის კომისია“. ამ კომისიის მიერ მოპოვებული სათანადო მასალების საფუძველზე მომზადდა და 1968 წელს გამოიცა საერთაშორისო „წითელი წიგნი“.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან საერთაშორისო „წითელი წიგნი“ შეტანილია 21 სახეობის და ქვესახეობის ნადირი (თეთრი დათვი, კულანი, მურა დათვის ამირკავკასიური ქვესახეობა, გარალი, კმთლმობობი ირისი ქვესახეობა, ჭირიანი, 8 სახეობის ფრინველი და სხვ.).

1974 წელს გამოიცა „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“. საქართველოს სსრ ფაუნადან მასში შესულია 8 სახეობა: ნიაშორი, ქურქური ანუ ჭირიანი, ზოდებიანი აფთარი, კასისი შურთხი, დურჯი, გნოლი, ველის არწივი და ატლანტიური ზუთხი.

„წითელი წიგნი“ შეტანილი მცენარეთა და ცხოველთა სახეობათა გადარჩენა მითითებს ყოველ-

დღიურ მზრუნველობას. ყველა ქვეყანა, რომელიც ტერიტორიაზე გავრცელებულია მცენარე თუ ცხოველ შეტანილია „წითელ წიგნში“, თავის თავზე დებს პირალურ სასახესმგებლობას მივილი კაცობრიობის წინაშე ბუნების ამ საუწყის გაფრთხილებას და შენახვისათვის.

იმდინარე წელს გათვალისწინებულია „საქართველოს სსრ წითელი წიგნი“ გამოცემა. რესპუბლიკის „წითელ წიგნში“ შევიდა საქართველოს სასარგებლო და სანადირ-ნარეწო ცხოველთა 68 სახეობა. ტვირ არ არის, აღნიშნული წიგნი დღეს მასშტაბურად შეეწევა ადგილობრივი ბუნების რესურსების დაცვის, გაფრთხილებისა და გაუმჯობესების საქმეს.

როგორც ითქვა, XX საუკუნეში გადაშენების საფრთხე ემუქრებოთ არა მარტო ცხოველებს, არამედ მცენარეებსაც.

ზორად საკითხს ასე სავამენ: საჭიროა კი შევიწარმოთ მომავლისათვის ამგვარად არსებულ მცენარეთა ყველა სახეობა? თუ შევიწარმოთ მხოლოდ ადამიანისათვის სასარგებლო და აუცილებელი მცენარეებით, დანარჩენი კი, განსაკუთრებით სარგებლობა და შესანიშნავი, შეუბრალდებლად „ჩამოყვრეთ სიიდანა“?

1961 წლის წინათ, მაგალითად, სიამოვნებით ჩამოსწრდნენ განათვალის აღიონის — ველის საძოვრების ამ შხამინ სარვევლს. ახლა კი სწავლობენ პიობლებს: როგორ შევიწარმოთ ამ ძვირფასი, შეუცვლელი საჭერნალო მცენარის რესურსები. რა თქმა უნდა, ახლა შეიქმნებან გაცილებელი მეტი იცის მცენარეთა თვისებებზე, ვიდრე 150 წლის წინათ. მაგრამ როგორ შევასვენენ ჩვენს ამგვარდელ ცოდნას მომავალი თაობები, ვთქვათ, XXI საუკუნის მოურწინავარი? ამავთ, ასევე მოკრძალებულად, როგორც ახლანდელი თაობა ფასებს ვასული საუკუნის სა-მრედათაინ წლებში დაგროვილ ცოდნას. და თუ მეცნიერები ახლანდელი არასრულყოფილი ცოდნის საფუძველზე გადაწყვიტენ, თუ რა დამავალი მომავალი და რა არა, მოგვიხსენიებენ კი მომავალი თაობები კეთილი სიტყვით?

თვით სიტყვა „სარვევა“ ძალზე შეფარდებულია. ცნობილია, რომ შვაკი მინდერებს პირველად სწორედ სარვევლს სახით მოცოდნის. მეორე მხრივ, ამრეკულ ნეკერჩხალი (ავტრ მგდუღო), რომლის ინტრადუქცია ერთ დროს დიდ წარმატებად ითვლებოდა, ახლა სულ უფრო ფასდება როგორც სარვევლა კიში. ამგვარად მცხოვრებ ბოტანიკოსთა თვალწინაც არაერთი საშიშო სარვევლა იქნა „რეაბილიტებული“, კულტურული მონაწიშქმედების წყალობით იხინი იშვით მცენარეებად გადაიქცნენ.

ამგვარად, რთიადერთ სწორ მიდგომას ყველა იმ მცენარის დაცვაზე ზრუნვა წარმოადგენს, რომლებიც იშვითიათ და რომელთა რიცხობრიობა აშკარად მცირდება. ამ მზნით ცხოველთა და მცენარეთა საკავშირო „წითელ წიგნში“ შეტანილია სათანადო მცენარეთა 600-მდე სახეობა. ისევე, როგორც ცხოველთა შემთხვევაში, საშიშ მოხვედრელი თითოეული მცენარე მიკუთვნებულია ოთხიდან ერთ-ერთი კატეგორიას. აქედან 0-კატეგორია ის ის სახეობებია, რომლებიც, შესაძლებელია, უაპო გადაშენებულნი არიან.

საქართველოს „წითელი წიგნი“ შეტანილია უმაღლეს მცენარეთა 300-ზე მეტი სახეობა. მათ შორისაა მსოფლიო ფლორის იშვითობანი. ხე მცენარეებიდან ისენია: საქმლის ხე, ქართული ნეკერჩხალი, ქართული თელა, თურნალო, ღვია, ძელქვა, ელდარისა და ბიქენიის ფიჭვები, შეგარული და შედვედების არეუბი, ქართული ნუში, ქართული ბერყენა, ქართული თხილი, უნგერისი შქერი და ა. შ. მაღალხებობა —

ქართული წამბახი, მაიკოსა და მლოკოსევიჩის იორ-დასალამები, იულიას ფურისულა და სხვ.

განსხვავებით საერთაშორისო და საკავშირო „წითელი წიგნებისაგან“, საქართველოს „წითელ წიგნს“, გარდა ფლორისა და ფაუნისა, მომავალში კიდევ დაემატება ერთი განყოფილება. მასში შევა საქართველოს არაორგანული ბუნების ის ძეგლები, რომელთა შენარჩუნება ნაკარანახევია ესთეტიკური და მეცნიერული თვალსაზრისით. ესენია გეოლოგიური, გეომორფოლოგიური თუ მიდრეკიერაფიული ობიექტები, რომლებიც შთაბეჭდე სანახაოსა წარმოადგენენ ან გეომორფმებზე წარსულის მნიშვნელოვან ბუნებრივ მოვლენებს.

საქართველოს არაორგანული ბუნების „წითელ წიგნში“ შესატან ძეგლთა სია 65-მდე ობიექტს მოიცავს. ეს ობიექტებია მღვიმეები, უნივარებისა და ლვარცოვების მიერ გადაადგილებული დიდი ლოდები, კლდის სვეტები და კოშკები, ბუნებრივი ხიდეები, შესანიშნავი კანიონები, ტყეები, ნიადაგის მზრალობით გაჩენილი თავიებური ფორმები, ჩანჩქერები, ტბები, ვოკლუზები (დიდდებეტიანი წყაროები) და სხვ.

საქართველოს სსრ „წითელ წიგნში“ მცენარეთა განყოფილებას აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი უძღვევა, ცხოველებისას — პროფესორი ბორის ყურაშვილი, არაორგანული ბუნების თვალსაჩინო ძეგლებს — რესპუბლიკის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიური განყოფილება, წიგნის მომზადებას საერთო ორგანიზაციას უწევს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი (თავმჯდომარე ვილი კაჭარავა).


„წითელი წიგნი“ „მობილურია“: ივსება, ზუსტდება, იხვეწება, უველა დაინტერესებულ პიროვნებს — მეცნიერს, მონადირეს, ბუნების მოყვარულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ დოკუმენტის შედგენაში.

ბუნების „წითელი წიგნი“ სახელმწიფო იურიდიული დოკუმენტია. მისი წესდების დამრღვევნი კანონით ისჯებიან. იშვიათ მცენარეთა და ცხოველთა დაცვის ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი განაპირობებს ჩვენი სამშობლოს ფლორისა და ფაუნის სახეობრივი მრავალფეროვნებისა და გენოფონდის შენარჩუნებას.

დაბოლოს, „წითელი წიგნი“ ადამიანის სინდისის თავიებური დოკუმენტაციაა. მას წითელ ზოლად გაადევს ერთი ასეთი ტემშარტი ცნება — სიცოცხლის არსის ჩანაწევდომად საპიროა დედამიწის მთელი მრავალფეროვანი სიცოცხლის შენარჩუნება. დღეს ადამიანმა დაიწყო ამ ცნების სათანადო შეფასება. წინა პლანზე გადმოინაცვლა ბუნებისადმი სრულიად განსხვავებულმა — ეთიკურ-ზნეობრივმა დამოკიდებულებამ. „წითელი წიგნი“ ერთდელ კიდევ ვაკავსენებს, რომ მსგავსად ძველბერძნული მითის გმირის — ანთოსისა, დედამიწას, ბუნებას მოწყვეტილი ადამიანი კარგავს ძალას.



ველური მზიავი



მთის შროშანი

პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „აპრილი“ ოთარ იოსელიანმა 1962 წელს გადაიღო. 1967 წელს ეკრანებზე გამოვიდა „გიორგობისთვე“. აქ უნებლიედ იკითხება ოთარ იოსელიანის მხატვრული იდეის ქვეტექსტი და მისი ფილმების პოეტური „მწიფედება“ „აპრილიდან“ „გიორგობისთვემდე“. დღეს რეჟისორის სახელი ფართოდაა ცნობილი. „გიორგობისთვის“, „იყო შაშვი მგალობელისა“ და „პასტორალის“ ანალიზი თანამედროვე კინოსადმი მიძღვნილ მრავალ სერიოზულ გამოკვლევაშია შესული. ღირსეულადაა შეფასებული ო. იოსელიანის შემოქმედების თავისებურებანი — საზოგადოებრივი მგრძობიარობა, ფილმების თემატური პოლიფონიურობა, ნატიფი ქარაგმულობა... აღიარების ტალღა ჩვენი ქვეყნის ფარგლებსაც გასცდა: „გიორგობისთვე“ ეორჯ სადლუს პრემიით აღინიშნება, „იყო შაშვი მგალობელი“ — პარიზის კინოაკადემიის პრიზით. გამოქვეყნდა აღფრთოვანებული წერილები, რომლებშიც აღნიშნული იყო ო. იოსელიანის ფილმების მკაფიო ეროვნულობა და პრობლემური თუ ფორმალური აქტუალობა.

ქართული კინოს ამ შესანიშნავი ოსტატის შემოქმედების პრობლემატიკისა თუ სტილის კანონზომიერებათა გამოვლენის ეს ცდა არ არის დაზღვეული უკვე ნათქვამის განმეორებისაგან და არც ამ უნიკალური შემოქმედებითი ინდივიდუალის ამომწურავი დახასიათების პრეტენზიას შეიცავს.

ოთარ იოსელიანი მუსიკალური სასწავლებლის საგუნდო-სადირიგორო განყოფილებისა და თბილისის კონსერვატორიასთან არსებული კომპოზიციის კურსის დამთავრების შემდეგ, სამი წლის მანძილზე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. მათემატიკით სერიოზულად იყო გატაცებული. შემდეგ მოულოდნელად (თავისთვის კი არა, სხვებისათვის მოულოდნელად) კინორეჟისორისა გადაწყვიტა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ჩააბარა მისაღები გამოცდები.

„ყველა ხელოვნება მათემატიკისათანაა ახლოს“, — ხშირად უთქვამს რეჟისორს. თუკი ეს აზრი ეინმეს არადამაგრებლად მოეჩვენება, ო. იოსელიანს გადასაღებ მოედანზე უნდა ეწვიოს. აქ ძალზე უჩვეულო სურათის წარმენი გახდებით — ნახავთ გადაღების წორტილისა თუ კამერის მოძრაობის პროფესიული ინჟინრის ხელით დახაზულ, უკანასკნელ სანტიმეტრამდე განზარალებულ გეგმას, მიზანსცენების ზუსტ ნახაზებს... ასეთი

ოთარ იოსელიანის ტრილოგია

კორა წერეთელი

მომზადდება ეხმარება რეჟისორსა და ოპერატორს საჭირო ამოცანაზე გადაღებები ჩვეულის მიხედვითაა, ზედმეტი დროის დახარჯვის გარეშე.

სანტერესოა ოთარ იოსელიანის მუშაობა ტონოსტუდიაში, როდესაც რეჟისორი იწერს ხმას, ხვეწს ცალკეულ ფრაზებს, ქმნის აზრობრივ ქვეტექსტებსა და ემოციურ ნიუანსებს. იოსელიანის ფონოგრამა, მრავალფენიანია, პოლიფონიურია. იგი გამოსახულებასთან რთული კონტრასტული ვითარდება. ო. იოსელიანის შემოქმედებითი ლაბორატორიის გაცნობის შემდეგ, ვფიქრობ, არცთუ ისე პარადოქსული უნდა იყოს რეჟისორის აზრი თანამედროვე ხელოვნებისა და ზუსტი მეცნიერების სიახლოვის შესახებ. ერთი რამ კი უდავოა — ახალგაზრდობაში მათემატიკით, მუსიკითა თუ ფერწერით გატაცება სასარგებლო აღმოჩნდა მომავალი რეჟისორისათვის.

ოთარ იოსელიანმა კინომოღვაწეობა მოკლემეტრაჟიანი ფილმებით „აპრილითა“ და „საპოვნელათი“ დაიწყო. შემოქმედებითი გზის დასაწყისი რთული და კონფლიქტური აღმოჩნდა... „აპრილს“ კარგა ხანს განიხილავდნენ, ეჭვის თვალთ უყურებდნენ, წუხდნენ უქმად განიავებული სახსრების გამო, მრავალჯერ და კარგად შემოწმებული გადა-

წყვეტისაგან უბიძგებდნენ რეჟისორს. დე-ბიუტანტს თავადაც კარგად ესმოდა, რომ რალაცამი შეეცა, მაგრამ ფილმის გადაკეთებაზე უარი თქვა. ასეა თუ ისე, ფილმი დიდი ხნით შემოდეს თაროსზე.

არც მხატვრულ-დოკუმენტურ ნარკვევ „საბუნელს“ ხვდა უკეთესი ბედი. მიხეილ მამულაშვილზე ჩაფიქრებულ ამ ფილმზე შემოშლის პროექტში გამიჩნდა ჩანაფიქრის საზღვრების გარღვევის პერსპექტივა და ახალგაზრდა რეჟისორმაც უმალ გამოიყენა ეს შესაძლებლობა. ფილმა შეიძინა ნიშნები ივავისა ბუნების მარადიული წრებრუნვის, მის კანონებში ადამიანის ჩარევის შედეგთა ორმხრივობის შესახებ. ვილას ეს აზრი საექვოდ მოეჩვენა. ფილმს განიხილავდნენ როგორც ცნობილ მხატვარ-მებაღე ვადალბელ ნარკვევს და ვერ ხედავდნენ მასში გამოთქმული აზრის აქტუალურობას.

თითი ავტორი მწვეიდ გრწობდა გამოცდილობის უკმატისობას (ჩვენი ადრეულ ფილმებში ფორმა, ისევე როგორც საკუთარი აზრი, გამომწვლბებულია, ალუგორია კი — სწორხაზოვანი. ეს ვასაგებოცა — მე ხომ გამოცდილება მაყლდა“). ამ ჰიპოკისისაგან განუქრნების მიზნით, ოთარ იოსელიანმ კვლავ ყველასაგან მოულოდნელი ვადწყვიტლება მიიღო: მუშაობდა მებრძეოო — რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, შემეე წატროსად თეხსაქერ გეშე. ასე გაიღო ორი წელი. ამ ორი წლის შთაბეჭდილებებმა საინტერესო ასახვა კპოთა „კომსომოლსკიათა პრავდაში“ გამოქვეყნებულ რეჟისორის დღიურში და დოკუმენტურ კინონარკვეე „თუქში“.

შემდეგ ო. იოსელიანი უბრუნდება მხატვრულ კინოს — იღებს „გიორგობისთეეს“.

„გიორგობისთეე“ ისევე ბოეგორაოდ და თანმიმდერულად მოჰყვა „აპრილს“. როგორც სიმწოთის ხანა მოსდესი ხოლმი ყოოილობისას. მაგრამ ამ ორ ნაწარმოებს შორის იყო ცხოვრებისეულა და მხატვრული გამოცდილება.

იძულებითი ვაცდენის წოოსი უქმად არ ჩაუღლია. ეს დრო ცხოვრების სერიოზულ სკოლად იქცა უკეე საესებო ჩამოყალიბებულ ოსტატისაოის.

იმის ვასაგებად, თუ როგორ შექლო ო. იოსელიანმა ერთხარად დაუფლებოდა მხატვრული აზროვნების პირდაპირ და ივავურ სფეროებს და საიდან წარმოიშეა მისი ფილმების მხატვრულა თაისიბურება, უნდა რეჟისორის სტუდენტობისდროინდელ „აპრილს“ მივმართოთ, სადაც, როგორც რენტ-

გენის სურათზე, ისე ჩანს მისი მომავალი პოეტისი ჩონჩხი.

ო. იოსელიანის ეს სურათი ილაშქრებდა ყალბი ფსელულობების წინააღმდეგ, რომლებიც ადამიანის სულის დამოვნების საფრთხეს ქმნიან, კლავენ მასში გრწობისა და აზროვნების უნარს. თავიდანვე აღენიშნავთ, რომ ეს აზრი ვასდევს ოთარ იოსელიანის მთელ შემდგომ შემოქმედებას, ვანაპრობებს მის კრიტიკულ პათოსს.

„აპრილი“ — ო. იოსელიანის ერთადერთი ჰომოფონიური ნაწარმოებია. რეჟისორის ყველა შემდგომ ნამუშევარში ცალ-ცალკე და ერთად, კონტრასტულად თუ ჰოლიფონიურად ეღერს მრავალი თემატური მოტივი. მაგრამ „აპრილის“ თემა ადვილად შესაცნობია ო. იოსელიანის ყველა დანარჩენ ნამუშევარში, „პასტორალის“ ჩათვლით.

„აპრილი“ იყო თეზისი, ჩანახატი, კალმის მოსინჯვა, მაგრამ, ამასთანავე, იყო დეკლარაცია: ეს იყო „გიორგობისთეის“ პირველსახე.

ფილმი ივავის ფორმითაა ვადაწყვეტილი... უცნობი ქალქში ორი შეყვარებული ცხოვრობს, ისინი ბედნიერნი არიან თავიანთ ნაწელ ღობრბულ ოთახში, და ქვეყნად არაფერი უნდათ, ვარდა სულიერი სინათლისა სულ სხვანაირია ნივთების შექმნის ციებ-ციხლებით შეპყრობილი მეზობლების ყოფა.

საერთო ორობტრიალი უნებლოდ ახალგაზრდა შეყვარებულთაც ჩაითრებს. რაც უფრო მეტ ნივთს იძენენ ისინი, მით უფრო ნაკლებად უყვართ ერთმანეთი — ყოველი წერილმანიც კი აღიზიანებთ... ფილში არაფერი არ არის კონკრეტული — არც მოქმედების ადგარი, არც სახელები, არც ეროვნული ნიშნები, არც ტექსტი. ავტორი ცდილობს ალგორისის საშუალებით ვაფართოვოს მომხდარის არსი და არ ემყარება არც ვამოსახულების უტყუარობასა და არც კინოს დოკუმენტურ ბუნებას: ამ სკლამ ო. იოსელიანი სიტყვიერი მეტაფორების გაცევილი გზაზე გაიყვანა.

შეცდომის ვასაცნობიერებლად ცოტადრო აღმოჩნდა საჭირო. მს შემდეგ ოთარ იოსელიანს არასოდეს უღალატა კინოს დოკუმენტური ბუნებისათვის. მასი შემდგომი ფილმების საფუძვლად იქცა მატერიალური სიმართლე მთელი ნივთის მრავალფეროვნებით.

„გიორგობისთეის“, „იყო შაშვი მგალობლისა“ და „პასტორალის“ გმირები კონკრეტულ, ეროვნულ და სოციალურ ვარემოში ცხოვრობენ. უტყუარია მათი მოქმედება და

აზროვნება. მაგრამ მუდამ გრძნობთ ქართული ხალხური ზღაპრის ინტონაციას: „იყო და არა იყო რა...“, რომელიც იძლევა ილუზიის, იგავის, მოქმედების მიმართ მსუბუქი ირონიის შესაძლებლობას. ამ ინტონაციისადმი მიდრეკილებას ო. იოსელიანი ასე ხსნის:

„ხელოვნებაში ყველაზე მეტად სიყალბისა მეშინია. ძალიან ძნელია გულახდილობის, გამბედაობის იმ დონის მიღწევა, რომელიც ხელოვნების აზრს მის რეზულტატს მიუახლოვებს სიყალბის, პირფერობისა და დანაკარგის გარეშე...“

ხმაილალა გამოთქმული აზრი ბევრს კარგავს. იგი ქვეცნობიერად გაივლის მთელ რიგ ინერციულ ფსიქოლოგიურ ბარიერს და მისი თავისუფალი დინება სახეცელოლებას განიცდის. ამიტომაც, ჩემს ფილმებში ვაგურობიერ ინტონაციას, რომელიც მომხდარის

მონატულება, „იყო შაშვი მგალობელში“ და „პასტორალიში“ იგი თანდათან უკანა პლანზე იწევს, თავის ფუნქციებს უთმობს დამოუკიდებელ სტილისტურ სტრუქტურას, რომელშიც დამატებითი ფერებით, აუდიო-ვიზუალური წვრილობანების სახით, ქმნიან უნიკალურ კონტრაპუნქტს. ვაშიფერა ამ კონტრაპუნქტისა და მასში წარმოქმნილი კონფლიქტური დამახლოებისა, რასაც არა აქვს პირდაპირი სიუჟეტური გამოხატულება, ჩემი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა.

მაგრამ ყოველივე ეს თანდათანობით ხდება. „გიორგობისთვეში“ მოთხრობილია ცხოვრების ნაკადთან თითქოს შემთხვევით ამოტაცებული რამდენიმე დღის ამბავი. კამერა ყურადღებით აკვირდება ყოფის წვრილმანებს, გმირთა საქციელს, მოქმედებას. მოქმედება იშლება უეგარგისი ღვიზის კასრის



კალი დილიძან „პასტორალი“

უტყუარობას ასაბუთებს. ყოველთვის ჯობია ცოტა დასცინო საკუთარ თავს — ასეთი ამბებიც ხდება ცხოვრებაში, გინდა დაიჭერეთ, და გინდა არაო. გახსოვთ როგორ ყველა შევიკი თავის იგავეს: „ამასთან დაკავშირებით კი ასეთი ამბავს მოვაცხებთ...“

მასაღასადმი ასეთი დამოკიდებულება გულისხმობს სიფაქიზეს, თავშეკავებულობასა და სიფრთხილეს დასკვნების გამოტანისას. იგი გამორიცხავს ყოველგვარ „მორალიზებას“. აზრის წინასწარგანსაზღვრულობას. ჩვენ შევეჩვიეთ იმას, რომ იგაური ფორმა ემყარება ავიდელა გასარჩევ სიუჟეტურ სტრუქტურას. ოთარ იოსელიანმა არსებითი ცვლილება შეიტანა ჩვენს წარმოდგენაში. თუკი „გიორგობისთვეში“ კოხფლოქტს გააჩნია გარკვეული სიუჟეტური გა-

გარშემო, რომელიც გეგმის შესასრულებლად, რაღაც არ უნდა დაუჭდეთ, უნდა ჩააბარონ სახელმწიფოს. დირექტორს ახალგაზრდა ინჟინერი ნიკო დაუპირისპირდება, მუშების ბრიგადისთან ერთად ნიკო გადაწყვეტს კასრში ელვატორი ჩაასხას და ამით წვინო ჩასაბარებლად გამოუსადეგარი ვახალოს. ერთი შეხვდით, თითქოს ტრადიციული სიუჟეტური დრამატურგიაა, ტპაიური საწარმოო კონფლიქტია. სინამდვილეში ფილმის მთავარი აზრობრივი აქცენტები ამ სიუჟეტურ ხაზზე კი არ ნაწილდება, არამედ კონტრაპუნქტშია მასთან. ჟერ ერთი, ნიკო არ არის გმირი ტრადიციული გაგებით — იგი მორკანია, გაუბედავია, მოუხერხებელი, უგერგილო... ქარხნის დირექტორი კი პირიქით — წარმოსადეგი და მოხერხებელია. საქ-

მიანი და მომხიბლავი ნიკოს ანტიპოდი — ახალგაზრდა სპეციალისტი ოთარი. ვინ ვაიმარჩევებს „სალი ვონების“ და ფაქიზი ზენეობრიობის ამ ორთაბაძოლაში. სიუჟეტით, რა თქმა უნდა, იმარჯვებს ნიკო, გამარჯვებას ზენეობის მორალა. კანონზომიერებაა ეს, თუ კერძო შემთხვევა? რამდენად საბოლოო შეიძლება იყოს ასეთი გამარჯვება? წერტილი ფილმის დასასრულს ერთი კადრით გამოხატულ მრავალწერტილად იქცევა. ფილმის გმირები, დრამის მონაწილეები — მანანა, ოთარი და ნიკო ქალაქგარეთ წავიდა სეირნობენ, თევზაობენ. ეს ხაზგასმული ვიდეო-ურჩი სცენა აღძრავს შიშისა და ეჭვის გრძობებს ბძოლის საბოლოო რეზულტატის მიმართ. საწარმოო ფილმის ტრადიციული „ჰეპი-ენდი“ გადააზრებულია თავისებურ აღტრანსატივად, რომელიც უფრო ზუსტად გამოხატავს სინამდვილეს. ბორჩტება ძნელად შესაცნობია და ამიტომ განსაკუთრებით საშიშია საზოგადოების ზნეობრივი ორგანიზმისათვის. სიუჟეტური კონფლიქტი იძლევა მის მხოლოდ გარეგნულ დახასიათებას, რომელიც ბოლომდე ამოწურავი როდია. რეჟისორის დამოკიდებულებაც ამ კონფლიქტისადმი სერიოზულიცაა და პაროდულიც. იგი თვითონ აიბნა ამ სიუჟეტურ სტრუქტურას და თვითონვე ხსნის მას მივიდან, გვიჩვენებს მის სქემატიზმსა და უსუსტრობას.

კიდევ ერთი თანამედვერული ჭიშანხი ო. იოსელიანის ფილმების დრამატურაგისა რეჟისტის, დიალოგის ზედმიწევნითი სძიქნეწი და ფუნქციონალურებისა. გმირების მიერ წარმოთქმული სიტყვები მათ სულოირ მდგოზარეობას კი არ გახიზნავენ, არამედ მოქმედების ქცევიტ მხარის. ეს თავისებურებაც უნიკალური იოსელიანისეული სტრუქტურის ნაწილია. ეს სტრუქტურა შეიძლება კალივლოსკაპურად და მოუწესრიგებლადაც მოგვიჩვენოს („იყო შაშვი მგალობელი“) ან გაწელილად და მერყეად, როგორც „პასტორალიში“. მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს შთაბეჭდილება გარეგნულია. ითარ იოსელიანი ზუსტად, ჩანაფიქრის შესატყვისად, გულდასმითა და გააზრებულად ქმნის თავისი ფილმების სტრუქტურულ ორგანიზმს. მისი მიზანია მიახლოვოს მყურებელი გმირების ირგვლივ აღმოცენებულ კავშირთა ბუნების გასაგებად.

„იყო შაშვი მგალობელი“ არ არის ინტრიგა, არის მთავარი გმირის მუდმივი მოძრაობა. საოპერო ორქესტრის მედაფდაფე ვია ავლაჟე აქლოშინებული შევარდება თეატრის სადარბაზოში, მლიცხა ასრუებს თავის ადგილზე ლიტარების ფინალურ აკორდს. ერთი დღის განმავლობაში მან მოასწრო ექიმთან ავადმყოფი მეზობლის მიყვანა, მე-

გობარს შეპირებული ფირფაც უშოვნა, რუსეთიდან ჩამოსული ტურისტები სტუმრად წაიყვანა, ნაცნობი მესათეც მხიზნულა, ნაცნობ ქალიშვილიან სამსახურში შეიბრინა, სხვა ქალიშვილის ვაცნობაც მოახერხა... უამრავი დრო დაუთმო მუჩაში მომხდარ ამბებს, საბავშვო ტელესკოპში, მიკროსკოპში თუ კამერის საზომ ხელსაწყოში ჩახედვას... ამგვარად, ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფერო — საოპერო თეატრი, ქირურგიული პალატა, მესათაის სახელოსნო, გადასაღები მოედანი, ქიმიური ლაბორატორია ვიას ცხოვრების თავისებურ „კალივლოსკაპში“ აღმოჩნდება. სურათის პირველი ფენა იყთხება, როგორც მოთხრობა ადამიანზე, რომელსაც ცნობისმოყვარეობისა და გულწიარობის წყალობით თავის მოწოდებისთვის — შემოქმედებისთვის აღარ რჩება დრო. სხვათა ყოფა, სხვათა ცხოვრება, რომელსაც ვია შეიძლება და დაჯავრებოდა, უამრავი სიტუაცია, რომელშიც ვიას შეეძლო მონაწილეობა არ მიელო... მაგრამ ეს ხომ უაზრო ხელგაშლილობაა საკუთარი ცხოვრებისა და საკუთარი ბედის ხარჯზე? თხრობითი დეტალების მრავალფეროვნებაში ეჭრება „მსხვილი პლანები“ — დღის დროით დაღმასმული, დალეული სახე, რომელიც ვიას თვალწინ აღმოცენდება საბავშვო ტელესკოპის ობიექტივში, დედა ელიოსის მადლიერი ღიმილი, რესტორნის მარტოხელა სტუმარი... ეს და მრავალი სხვა წერილობანი ხსნის სურათის მეორე პლანს, წარმოაჩენს ვიას განსაკუთრებულ მგრძნობიარობას, როგორც უდიდეს ადამიანურ ნიქს. გმირის მშვიდთავრე, მოუსვენარი დღის წერილმანთა კალივლოსკოპის მიღმა იყთხება მისი სიყვარული ყოველივე მიწიერის მიმართ. მისთვის არ არსებობს რაიმე „მნიშვნელოვანი“ ან „უმნიშვნელო“, რასაც ტრადიციონკურ, გადაუწყვეტელ წინააღმდეგობამდე მიჰყავს გმირი. თანდათან გუფულგზათ შიშის გრძობა ამ თბილი, ფაქიზი, ყვლასათვის ესოდნდ საჭირო ადამიანურობის მიმართ, რომელიც ეპოქის მკაცრ, სულ უფრო მზარდ რიტმში, ყოველდღიურობის მუდმივ „ცაიტოტოში“ მომწყვედელი. მეორეს მხრივ, ფილმის რეფერნდ ვასდეს სეკონდი, დაუმთავრებელი მელიოღია — ვიას ვანუხორციელებელი შემოქმედებითი ცხოვრების თემა. ფილმის ამ ორი შრის შეთავსებით იქმნება მისი ჰეშმარტად ფილოსოფიური კონფლიქტი.

„გიორგობისთვისა“ და „იყო შაშვი მგალობელი“ ო. იოსელიანი იკვლევს მისთვის ესოდნდ ახლობელი ქართველი მწირობელი ინტელიგენციის წრეს. მეორე პლანის დამუშავების ფილიგრანული სინატიფე ფონის შე-

ქმნისას, ისტატიის ხელწერის თავისებურება კი არ არის მხოლოდ, არამედ ხეობი, რომლის საშუალებითაც მოქმედების სფერო განსაკუთრებულ აზრს იძენს. ძველებური ბუფეტო, ფოტოსურათების ალბომი და ოჯახური საუბრე „გიორგობისთვეში“, დედა ელისოს დაბადების დღე „იყო შაშვი მგალობელში“ და ბოლოს მოხუცების დღიარული, დალილი, მაგრამ საოცრად სათო და მიმზიდველი სახეები... ყოველივე ეს მაყურებელს წარმოუჩენს ღრმა ცხოვრებისულ კავშირთა უჩვეულო საგანძურს.

ო. იოსელიანი ყოველთვის ცდილობს წარმოედგინოს მაყურებელს ოჯახი, მისი წესჩვეულებები, მისი ტრადიციები. ძალდაუტანებლად, თავზე მოხვევის გარეშე, ძალზე დაქიხად, სხვადასხვა პერიპეტეიზებ, სხვადასხვა ტონლობასა და მასშტაბში ეღერს ეს აზრი. ჩვენს დროში მომხდარი ამბავი გულისხმობს წარსულს — ხალხის, ოჯახის კულტურულ და ზნეობრივ ტრადიციებს. ზოგჯერ ეს თავისებური ისტორიულობა ცალკეულ ეპიზოდში პოულობს გამოხატულებას. ალავერდის ტაძარი „გიორგობისთვის“ პროლოგსა და ეპილოგში, ყურძნის კრეფა და ღვინის დაწურვა ფილმში მოთხრობილ თანამედროვე ამბავს ცხოვრების მარადიულ წერტილებს უკავშირებენ. რიგე აზრი, ოლინდ სხვა განზომილებასა და სხვა მასშტაბში იკითხება ფილმში „იყო შაშვი მგალობელი“ დედა ელისოს დაბადების დღის ეპიზოდში, სადაც ტრადიციული საოჯახო მუზიკისთვის განმსუქვივის თაობათა საოცარი კონტაქტი. თეთი ო. იოსელიანი ასე ხსნის თავისი შემოქმედების ამ თავისებურებას:

— ჩვენი აწუხო ვერ იარსებებს წარსულის გარეშე. ტრადიცია — ეროვნული, კლასობრივი, პროფესიული თუ ოჯახური — გამოსატლებება წარსულთან იმ კავშირისა, იმ დამოკიდებულებისა, რომლის გარეშე თანამედროვეობა წარმოუდგენელია.

— არ ვიცი, როგორ გამოძღვის ეს ფილმები, მაგრამ შეუძლავ თან მდევს დროის განვითარების მუდარნება. მაგალითად, ბევრი მსმენია ჩემს ბაბუაზე — სიცოცხლით სავსე, მზიარულ, სანტარესი ადამიანზე. მე ისე ხშირად ვფიქრობ მასზე, ისე ცოცხლად მყავს წარმოდგენილი ყველა მწვავე ცხოვრებისეულ სიტუაციაში, რომ ბაბუაჩემი მუდამ ჩემში ცოცხლობს. ხშირად მიფიქრია — რა კარგი იქნებოდა მასთან საუბარი, კამათი...

— 1974 წელს კანის კინოფესტივალზე, სადაც კინორეჟისორთა კვირულის დღეებში ახვეწებდნენ ფილმს „იყო შაშვი მგალობელი“, ჩემთან მოვიდა რენე კლერი, მაკოცა და მომილოცა. ძალიან ვამოვიკირა და გამი-

ხარდა, რომ ჩემი ფილმი მისთვის ახლობელი აღმოჩნდა. რენე კლერი ხომ მასწინ 88 წლისა იყო. მე და ის დაქტიურად, სხვადასხვა ეპოქაში ვცხოვრობდით!“

ცხოვრებზე, მის აზრსა და არსზე მსჯელობისას, თათრ ისტორიანი მუდამ უბრუნდება აზრს ხალხის ძალაზე, რომელიც მოთმანებით აგებდა ციხე-სიმაგრეებს მივეულ კლდეთა მწვერვალზე, თვითმეცნიერებზე, რი მელიც ყოვლბედობა ძნელადღობის ეამს ამდენად, კადრში ალავერდის ტაძარიც და მოქმედების ადგილიც — ძველი თბილისის ვიწრო ქუჩები, სადაც გარდას ეერ აუველი ადამიანს, ისე რომ თვალშიმ არ ჩაბეღო — ყოველივე ეს ქმნის გამოშახველ აქტიურ ფონს, რომელიც მაყურებელს ხალხის, ერის სულის მარადიულ ფსევლობებს მოაგონებს. აქვე იკითხება მთლდამი რეჟისორის დამოკიდებულება — ფარული შიში, დიდი მზრუნველობა, ქედმოხრა და სიყვარული. ეს აზრი ო. იოსელიანის შემოქმედების მედშივე მოტივი, მისი ჩანაფიქრების ფარული ზამბარაა. სწორედ ეს აზრი წარმოადგენს ერთგვარ გასაღებს რეჟისორის შემოქმედებითი ამბულსების ასახნვლად. „აპროლოში“ ის გამოხატულია შეუნიღბავი სიმბოლური გულახდილობით, „პასტორალიში“ კი — რთულ აზრობრივ შენაღბმებშია ჩადებული. აქ ეპიზოდთან ეპიზოდამდე იგრობება ავტორისეული აზრის მოძრაობა, მისი ცდა ამოხსნას გლვობასა და თანამედროვე ინტელიგენციის წრეში აღმოცენებულ მოვლენების მიზეზობრივი კავშირები. ავტორი ანალიტიკურად — ცალ-ცალკე და ურთიერთკავშირში განიხილავს ამ სფეროებს, ცდილობს ობიექტური იყოს, კი არ აფასებს, არამედ გვიჩვენებს, კი არ წარმოთქვამს, არამედ მოგვითხრობს და ეს მისი თავდაპირველობა ამფორიკაბელი, ამალელებელია. თითქმის თანამედროვე სულიერი ცხოვრების ღია ნერვს ეხებაო, ისე წარმოვიდგენს ხელოვანი დიდ, წინააღმდეგობებით სავსე სამყაროს.

ფილმში მუდამ იგრძნობა ერთგვარი მერყეობა. ნებისმიერი თვისება ორივე მხრიდან წარმოგვიდგება: გულითაღობა, სტუმართმოყვარეობა და გლვხური სიძინწე, ხელგამლობა და მესაკუთრეობის დაუფლველი ინსტინქტი, პრაქტიკიზმი, საოცარი კომუნიკაბელობა და სრული გაუცხოება, სულიერი სიმუნჯე... გარემომცველ სამყაროსთან თანამედროვე ადამიანის ურთიერთობის მხატვრული ვააზრება, რომელიც ო. იოსელიანი გეთავაზობს, გამოირიცხავს ტრადიციულ კონფლიქტს. ამ ურთიერთობის ბუნება თავისთავად კონფლიქტურია და არ საჭიროებს დრამატურგიულ სკენებს, რომლებიც მაყურებელს გარკვეულ დასკენამდე მიიყვანდ-

ნენ. მხატვრის მიერ წარმოდგენილი სამყარო შორსაა იდილიისაგან. იდილია არ არის ი. იოსელიანის შემოქმედების სფერო. მხატვრობა-სახეობრივი და პრობლემური სირთულის მიუხედავად, ფილმი საოცრად მარტივია ფორმითაც და გადაწყვეტილიც. მისი ჩონჩხი მათემატიკური სიზუსტითაა გაანგარიშებული.

„პასტორალიში“ ო. იოსელიანი უფრო მეტად ავიწროვებს თავისი მიმოხილვის არეს. რეცისორი თითქოს უკვე წინა ფილმისთანაა ნაცნობ ტელესკოპში იხედავს და ავირდება რაღაცას ძალზე კერძოსა და ყოფითს — გლეხის ოჯახსა და ამ ოჯახში სტუმრად ჩამოსული სტუდენტი-მუსიკოსების ჯგუფს.

ფილმში არაფერი მნიშვნელოვანი არ ხდება: შეძლებული გლეხები ეზოში ახალ სახლს აშენებენ, უმასპინძლებიან ქალაქიდან ჩამოსულ ნათესავს, ჩხუბობენ, შემდეგ კი ისევ ურიგდებიან მგზობლებს. მუსიკოსები მეცადინეობენ, ტყეში სეირნობენ, წვიმიან დღეებს მასპინძელ გოგონასთან — ელვისთან საუბარში ატარებენ... და ბოლოს ისევ ქალაქში ბრუნდებიან.

გმირთა ყოველი, თუნდაც უმნიშვნელო მოქმედება თუ საქციელი კონკრეტულ გარემოშია ჩაწერილი და რეცისორი ამას აკეთებს ნატიფი და გამომსახველი ნიუანსებით, რბილად, ხაზგასმის გარეშე.

გავიხსენით ჭერ ერთი სურათი — ღვიწხის ქაჩნის დირექტორის კაბინეტი „გიორგობისთვეში“, სადაც დირექტორის პატარა ვაჟი მუსიკაში მეცადინეობს, ახალგაზრდა ინჟინრები კი ბილიარდს თამაშობენ... და მეორე სურათი — შეძლებული გლეხის სახლი („პასტორალი“) — თუჯის უზარმაზარი მოჩუქურთმებული კიშკარის, სტუმრების მისაღები ოთახი, ხალთავადაფარებული პიანინო ზედ სიმეტრიულად დალაგებული ლარნაკებით...

პირველი სურათის ფონზე ბუნებრივად იწერება მოქმედ პერსონაჟთა მოშვებული გულგრილობა, თვითდინებაზე მიშვებული საქმის ინერცია. მეორე სურათის ანტურაჟი კი იმ ადამიანთა სამყაროა, რომელთა მოქმედებაც საქმიანი და რაციონალურია.

ისევე, როგორც სხვა ფილმებში, „პასტორალიშიც“ მსახიობები ფსიქოლოგიური ტიპების პრინციპითაა შერჩეული. მუსიკოსებს კონსერვატორიის სტუდენტები ვანასახიერებენ, ხოლო გლეხის ოჯახის ყველა წევრი, ელვის (ნ. იოსელიანი) გამოკლებით, ფილმში ასრულებს ყოველდღიურ, მისთვის ჩვეულ საქმეს და მათი სამსახიობო ამოცანა თითქმის შეუმჩნეველია. მსახიობი-ტიპაჟი, რომელიც თავის სიცოცხლეში პირველად აღმოჩნდა გადასაღებ მიუდანზე, ისე ორგა-

ნულად ერწყმის ჩანაფიქრის ცოცხალ მსოვილს, რომ პროფესიონალის გამოცდილთაღსაღველსაც კი გაუჭირდება დაინახოს „ვანასახიერების“ რაიმე ნიშანი. თავად თ. იოსელიანმა უარი თქვა იმის ახსნაზე, თუ როგორ გამოსდის ეს.

„ხელოვნებაში ყველაფერი შეგნებულად როდი კეთდება, — ამბობს იგი. — ინტუიცია მკარანახობს, რომ ჩანაფიქრის მაქსიმალური განხორციელებისათვის მჭირდება ადამიანები, ვისთვისაც „თამაში“ პროფესია კი არ არის, არამედ მათი სამსახიობო შესაძლებლობისა თუ პიროვნული თვისებების გამოვლენაა. მე უბრალოდ ვეხმარები მათ ამ არტისტულობის გამოვლენაში. ამას როგორ ვაკეთებ — ვერ ავხსნი, არ შემიძლია. რა თქმა უნდა, შეიძლება გამოემცხადებინა, რომ ეს ჩემი პროფესიული საიდუმლოებაა, მაგრამ, სიმარტულ რომ ვითარბათ, არავითარი საიდუმლოება აქ არ არის, რალა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით საიდუმლოებად ინტუიციას. სწორედ ის მკარანახობს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში როგორ მოექცე არაპროფესიონალთან, როგორ ავუსხსნა ამოცანა, ვუბიძგო სწორი გადაწყვეტილსავე, დავამშვილო და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამას ახლებურად ვაკეთებ. ამიტომაც რაიმე რეკეტების არსებობა შეუძლებელია“.

ამის შედეგია ცხოვრებასთან, მის ბუნებრივ დინებასთან, ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობასთან, მათ ზრუნვებასთან, მოქმედებასთან მაქსიმალური მიახლოება.

დილა სოფელში... არდადეგებზე ჩამოსული სტუდენტი-მუსიკოსები ილიკებენ. გელა სახლის გარშემო დარბის, ნიკო — მოუქნელად დილის ვარჯიშს აკეთებს და აქეთ-იქით იუღრება... მასპინძლები ნახირს საძოვარზე ერეკებიან, ღორებს აპურებენ და სხვა ათას სასარგებლო საქმეს აკეთებენ. ყოველი მათი მოძრაობა ფუნქციონალურია. უქმად არაფერი იკარგება — გადადებულ ბოთლ ნესტორი დავაპტრონიება, უპატრონოდ მიტოვებულ ბალახსაც მოთბავს. დარაჯი მას ბალახის თიბვას რომ აუკრძალავს და ცეცხლ წაართმევს, იგი ჯიუტად ნამვლით განაგძობს თიბვას და თიბვას სახლში მოიტანს...

ქალაქიდან „გავლენიანი“ ნათესავი ჩამოდის — სწრაფად იშლება სუფრა, „ეიგულის“ საბარგული დღევნით იხსება:

„— რა გაუგზავნეთ კალეს?“

— გოჭი, ხუთი დედალი, ინდაური, არაყი, ღვინო...

— სწორად მოქცეულხართ, ასეა საქირო...“

რალა თქმა უნდა, ეს არ არის მფლანგველობა (ასეა საქირო!).

მასპინძელი დელიკატურად შეასვენებს მარინეს, რომ ორი კილო ყველის ფულის გადახდა დაიწყო. ხილითაც გაუმასპინძლდნენ, მაგრამ ის სულ სხვაა, ხილი უფასოა.

ო. იოსელიანი მშვიდად, უბოროტოდ, ერთი შეხედვით გულგრილადაც აღწერს სოფელთა ყოფას. ასევე მშვიდად აკვირდება იგი ოთხ მუსიკოსსაც, რომლებიც მათთვის უჩვეულო გარემოში აღმოჩნდნენ. ამ გარემოსთან მათ ურთიერთობას უამრავი რამ აბრუნებს. საკმე ის კი არ არის, რომ მასპინძლები ერთმანეთს მეგობრად ელაპარაკებინან და, ამდენად, სტუმრები ყოველთვის ვერ უგებენ მათ. ავტორის ის აზრია, რომ სხვადასხვა გარემოში აღზრდილ ადამიანებს ამ ძალუთი და ხშირად არც სურთ ჩაწვდნენ მათ წინაშე აღმოცენებული ცხოვრებისეული კავშირების არსს, რაც შეზღუდულობას და სულიერ სიღატაკეს წარმოშობს, ფილში მრავალფეროვანი დეტალებით პოულობს გამოხატულებას.

მარინე დამცინავი გაკვირვებით ადევნებს თვალს გლეხს, რომელიც კოკისპირულ წვიმამში ნახირს საძოვარზე მიერეკება:

— თავისი თავი თუ არ ეცოდება, ცხოველები მაინც შეიბრალოს!

ტყეში გასეირნებისას:

— ეს რა არის? მგონი მაყვალა! ამის ჭამა შეიძლება?

სოფლის სამქედლოში:

— ოდესღაც ნალი მქონდა... მერე ის ნალი გადავადე...

ძველებურ წისქვილში:

— დღერთა ჩემო, ამის გულისთვის ვიარეთ სამი საათი!

ოთარ იოსელიანის ნაწარმოებების ნერვი სწორედ იქ გადის, სადაც ეს და მრავალი სხვა, ქეშპირიტი უტყუარობით ასახული სიტუაცია ყოფითი პლანშიან სხვა განზომილებაში გადადის, თბრობა რეცესორის საყვარელ სტიქიაში — ივავტობაში გადაერთვება და ყოველი დეტალი მოულოდნელად მეტაფორულ აზრს იძენს.

მთელი ძალით ეს ნერვი ფეთქავს მოკლე სცენაში გზაჯვარედინზე.

მინდვრიდან მომავალი გულგნებით სავსე სატვირთო მანქანა შლავბაუმთან გაჩერდება. გზაჯვარედინზე წამით მატარებელიც შეჩერდება... ვაგონის ფანჯარასთან რაღაცაზე საუბრობენ, გულგრილად უყურებენ გზას... თოხებზე და ბარებზე დაყრდნობილი გულგნებიც გზას შესცქერაინ... ეს გრძელდება მანამ, სანამ კოკისპირული წვიმის ეფელეო საბოლოოდ არ გაითმავს მათ. მუსიკა მოცარტის „დონ ჟუანიდან“, ძალზე ნატყვი და დახვეწილი, კიდევ უფრო უსცავს ხაზს გაუცხოების შეგრძნებას, რომელმაც ამ სცენაში სა-

ოცარი პლასტიკური ეკვივალენტი ჰყოვა. ფილმის სწორედ ამ საკვანძო ეპიზოდში იყრის თავის ის მრავალი ძაფი, დეტკირთული ავტორის აზრით ადამიანთა გარეგანი კონტაქტურობისა და შინაგანი, სულიერი გათიშულობის შესახებ. და მაინც ოთარ იოსელიანი უღალატებდა საკუთარ თავს, „პასტორალიში“ სხვა სიმეც რომ აქლერბუტეყო, რომელიც მის ფილმებს ტრილოგიად აერთიანებს. „პასტორალსაც“ ჰყავს თავისი „შაშვი მგალობელი“ — ედუკი. ამ სოფელში გოგონას, უშუალოდში, გულითადობაში, ცხოვრების შეცნობის სურვილში ადვილად შეიცნობა გია აგლაძის ალტრუიზმი, ადამიანებისადმი სიყვარული. როგორც ყოველთვის, პათეტოსისა და რომანტიზაციის გარეშე ხატავს ი. იოსელიანი ამ სახეს, გამოხატავს მასში იმ კეთილსა და ქეშპირტიად ადამიანურს, რასაც ასე უფრთხილდება რეცესორი და რომელშიც მომავალს უჭრეტს.

„პასტორალი“ განავითარებს „გიორგობისთვესა“ და იყო შაშვი მგალობელში“ გამოხატულ იდეებს. ცხოვრების უმადლეს ფასეულობათა დამკვიდრებით ი. იოსელიანი კვლავ იმადლებს ხმას სულიერი სიღატაკისა და მისი ყველაზე საშიში ფორმის — პრაქტიკიზმის წინააღმდეგ.


* * *

ოთარ იოსელიანის გზა კინოხელოვნებაში ძალზე თვითმყოფადია. რაღა თქმა უნდა, ეს არ არის საკუთარი იდეალების დამკვიდრების ერთადერთი გზა და ერთადერთი საშუალება. შესაძლოა, მაყურებლის გარეშე იმ ნაწილი გულგრილი დატოვოს მისი ფილმების თავისებურება ესთეტიკაში, მისმა მშვიდმა და, ამავე დროს, მწვევე კრიტიკულმა პათოსმა. მაგრამ ერთი რამ უღავა: ამ რეცესორის შემოქმედების გარეშე ჩვენი კინემატოგრაფი ძალზე ღარიბი იქნებოდა: ი. იოსელიანის ფილმები გვემარება შევიწარმოთ სინჯიხულ სინამდვილის შეფასებისას და ხანდახან საკუთარ თავსაც და სხვებსაც კრიტიკული თვლით შევხედოთ.

„პასტორალი“ ი. იოსელიანმა დათქვა თავისი კრიტიკოსები, რომლებიც მას „ქალაქის“ მხატვრად თვლიდნენ. ამ ფილმმა ცხადყო, რომ მისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი მასალა, რომელიც დროის ნიშნითაა აღბეჭდილი. ი. იოსელიანის ნიჭი მდგომარეობს მის იშვიათ უნარში დაიჭიროს და გამოავლინოს დროის ეს ნიშნები, ცხოვრების რომელ პლასტსაც უნდა ეხებოდეს საკითხი. ამიტომაც, ტრადიციისა და ეროვნული კულტურის საფუძველზე აღმოცენებული მისი ნაწარმოებები საერთო კულტურული მოვლენად იქცა.

მარტიროს სარიანი-100

იკოვე თავი შენი!



მ. სარიანი.

ავტობოტრეტები

მარტიროს სარიანი

ხელოვნება.. როგორია მისი როლი? როგორი ხელოვნება სჭირდებათ ადამიანებს? დაბოლოს, რა არის თავად ეს ხელოვნება? აი, კითხვები, რომლებიც იქცევა ხოლმე ჩვენი საუბრების, ხშირად, ცხარე კამათის თემად. ეს კითხვები აღმძვრის ხოლმე მე, აღმძვრის სხვა-საეც, ვისაც სიცოცხლე ხელოვნებისთვის შეუწირავს.

მხატვარი აუცილებლად უნდა ფლობდეს თავისი ხელოვნების ტექნიკას, რათა შესძლოს შემოქმედებით პროცესში მის წინაშე წამოჭრილი სიმძნელების დაძლევა, შესძლოს თავისი ჩანაფიქრის მკაფიო ფორმით გაშობატვა.

საუკეთესო რამ ყველგან და ყოველთვის ოსტატის, სპეციალისტის ხელით იქმნება. დილტანტიზმზე მავნე არაფერია.

სკოლაზე როცა ვლაპარაკობ, ცხადია, მხოლოდ სასწავლო დაწესებულება არა მაქვს მხედველობაში. ვახუწყვეტილივ უნდა სწავლობდე. ამხანაგ-მეგობართა წრე ძალიან უწყობს ხელს ადამიანში ადამიანის ფორმირებას.

სასწავლებელმა ხატვა მასწავლა, მაგრამ ეს ცოტა იყო. პირველ ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ გახსაკუთრებული მომთხოვნელობის გრძობა უნდა შემეშუშავენიხა. უამისოდ მხატვარი ვერ ვახდები... მძაფრად უნდა ვანიციდდე სათქმელს, შემოქმედებით ექსტრაზად უნდა მიდიოდდე. ხელუგერგილობას ვერავითარი სკოლა, ვერავითარი, თუნდაც საუკეთესო, რეცეპტი ვერ უწევლის. თუ ბუნებამ ადამიანს რისიმე ნიჭი მძაფრდა, სხვა რაღაცის უნარსაც აუცილებლად მისცემდა, საჭიროა მხოლოდ გამოვლინება ამ უნარისა, რათა სახოვადოების სასარგებლო წევრი ვახდე. ჰემშიარტ ხელოვნე-

ბაში სიმართლე და მშვენიერება თავიანთ თავს შიხაარსისა და ფორმის ორგანული შერწყმით ავლენენ. ესწრაფვის რა ამხანას, მხატვარი, ისე, რომ თავადაც ვერ ამჩნევს, ზოგჯერ ნამდვილ შემოქმედებით გძირობას სჩადის.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვივრტენი, რომ ჩემი ცხოვრების უმწესესი პერიოდი იწყებოდა, აუცილებლად უნდა მეზოვნა ჩემი, საკუთარი გზა, უნდა აღმომეჩინა ჩემი თავი. მე კი ვჯრჯერობით მხოლოდ ტიტხი მქონდა ნასწავლი, — ასე ბალღი ტიტხნებს, ვიღრე ლაპარაკს დაიწყებდეს.

მე უნდა დავუფლებოდი ხელოვნების იმ ჩემთვის ერთადერთ ენას, რომელიც დამეხმარებოდა გამომხატა ჩემი გრძობა-ვანცდები, ჩემი მისწრაფებები და აზრები. უნდა დავუფლებოდი იმ ენას, რომელიც გაასულიერებდა, გააცოცხლებდა ჩემი ბავშვობის შთაბეჭდილებებს, საშუალებას მომცემდა წარმოემსახა მშობლიური მხარის, კაცობრიობის, სამყაროს ჩემუელი ხილვა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამხრეთმა, ჩემი ბავშვობის დაუვიწყარმა ადგილებმა მიმიზიდა, უფრო მოვანიებთ — კავკასიამ, ამიერკავკასიამ და, დასასრულ, ჩემი არსება მიეღუისმნა სომხეთის ბუნებასა და ცხოვრებას, ბუნებას და ცხოვრებას იმ ქვეყნისა, რომლის ხალხიც ლაპარაკობს დედაჩემისა და მამაჩემის, ჩემი წინაპრების ენაზე.

ძალიან გამიძნელდა პოვნა ხელოვნების იმ ენისა, რომელიც ჩემი ძეგლისძველი ხალხისათვის დედაენასავით ახლობელი იქნებოდა და ასევე ახლობელი იქნებოდა სხვა ხალხებისათვისაც...

წინანიდან: „ჩემი ცხოვრება“.

სარიანი ქაცობრიობას ეკუთვნის

ტიროს სარიანი, როგორც საერთაშორისო მხატვრული გამოფენის მონაწილე.

სარიანის სახელი ადრეც გამეგონა, მაგრამ აქამდე მისი არცერთი ნამუშევარი არ მენახა.

საბჭოთა პავილიონში სარიანის ტილოებს თვალებით ვნთქავდი, ერთი სურათიდან მეორე სურათისკენ სულსწრაფად გავბობდი, ბედნიერებამ ამქვეყნად ყველაფერი დამაინყა, ცამდე ამიტყა.

სომხეთს ვხედავდი, სომხეთს — ჩემი დარდის, ნალევლის მიზეზს. აი, ჩემი სამშობლოს ცა, აი, სინათლისგან მოქსოვილი მისი ჰაერი. აი, დიდებული მასისი, — თავით ზეცას მიბჯენილი ღომი. აი, სომხეთის ველები... ირხევა ოქროსფერი თავთავები. ჟიფივით, ციავით გარბიან მდინარეები. აშოლტილი ალვის ხეები გუშაგებივით დამდგარან გზის გარდიგარდმო...

აი, ყურძნის მტევნები, აი, რაგინდარა ხილი, ვარდები, ცინცხალი-ცინცხალი სასწაული ყვავილები — თითქოს მათს სურნელს ისუნთქავდი. იქ კი — კლდეების თავზე — ტანკენარი, გიშრისფერთვალა ფურირემი ბრწყინავს. აი, თითქოს, პირველყოფილი ხანიდან რალაც იდუმალი გზებით მოსულა ჩვენამდე კამეჩი, რომლის როდინდელ-როდინდელი ხმაც ასე ძალიან გინდა გაიგონო.

და ყოველივე ასე გასულიერებულია, სუნთქავს, ცოცხლობს ნიჭიერი მხატვრის ჯადოსნური ფუნჯის მეოხებით.

მ. სარიანის ხელოვნება ოპტიმისტურია, სიცოცხლით სავსეა, გაზაფხულებრი სინორჩითაა შემსჭვალული. ეს ხელოვნება სიცოცხლის სიყვარულს გიღვივებს, გულუხვად აფრქვევს ირგვლივ სიხარულს, სიცოცხლეში გეხმარება.

მისი ხელოვნება მზეს ღვრის. მისი ფუნჯი მზის სხივების კონაა, მეტიც, მის ტილოებზე ზის მზე მოღალანე სხივების ჯეჯილით; მზეა აქ ფერიც და ტონიც, სითბოც და სინათლეც, — ყველაფერი, რისგანაც იქმნება მისი ფერწერა.

პავილიონში დიდხანს ვიდექი სარიანის ნამუშევრებთან. მინდოდა მომესმინა დამთვლიერებელთა აზრი, მინდოდა გამეგო, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ეს სურათები უცხოელებზე. ჩემთვის კი ვფიქრობდი: სარიანი სომხეთის ბუნების, მისი კაშ-

ავტიკ ისააკიანი

დღიდი ხანი ვიცხოვრე უცხოეთში, სომხეთიდან შორს, დარდი მკლავდა, მენატრებოდა ჩემი მშობლიური, სულსთვის ძვირფასი პეიზაჟების, მთებისა და ხეობების, მდინარეებისა და მინდვრების, ჩემი ხალხის ყოფის ნახვა.

და რაოდენ დიდი იყო ჩემი სიხარული, როცა 1924 წელს ვენეციაში ჩამოვიდა მარ-

კაშა ფერების მომღერალია. აბა, მას სხვა ქვეყნების შვილებმა რა უნდა გაუფიქროს მეთქი? ალღევებული, ალტკინებული ვიმეორებდი და ვიმეორებდი ჩემთვის: შო, სარიანი სომხეთის მომღერალია, სომხეთის მომღერალია-მეთქი...

მაგრამ, აი, ორი მანდილოსნის თანხლებით გამოფენის დარბაზში შემოვიდა ვენეციაში მცხოვრები ცნობილი გერმანელი მხატვარი ზიმელი. იგი სარიანის ტილოების წინ შედგა:

— აი, ეს კი საინტერესოა! საინტერესო! მათში რაღაცნაირი სიახლეა, ეს ჩემთვის უცნობი სილამაზეა. ამ მხატვარს თავისი, განსაკუთრებული კოლორიტი აქვს... ნეტა რომელი ქვეყნიდანაა?

ახლოს მივედი და შინაგანი ღერსების გრძნობით ვუთხარი, სომხეთიდანაა-მეთქი.

— თქვენი ნამუშევრებია? — ცნობისწადილით მკითხა ერთმა მანდილოსანმა.

— არა, ჩემი თანამემამულის, მარტიროს სარიანისაა.

ზიმელმა ერთხელაც დაათვალიერა სურათები, მომიბრუნდა და ღიმილით მიიხარა:

— მე შემეყვარდა თქვენი სომხეთი...

მარტიროს სარიანის ნამუშევრები ჩვენი ფერწერის დღესასწაულია, სომხური კულტურის ფასდაუდებელი განძია. მთავარი ისაა, რომ სარიანი მკაფიოდ გამოკვეთილი ეროვნული კოლორიტის შემოქმედაა. მისი ფერწერის ფესვები ჩვენს ძველ ხელოვნებაშია. მაგრამ, როცა უცხოელი სხვა ხალხის ხელოვნებით აღტაცებაში მოდის, ესმის იგი და უყვარს, ეს ხელოვნება ზოგადკაცობრიულიცაა, სხვასაც ეკუთვნის. და ჭეშმარიტი ხელოვნება ყოველთვის ასეთია — იგი ეროვნულიცაა და ზოგადკაცობრიულიც.

მარტიროს სარიანის ხელოვნება მთელ კაცობრიობას ეკუთვნის, იგი ყველას უყვარს.

1955 წ.

ქართული დიზაინერული განათლების საწყისები

ეთერ ციციშვილი

ქართული ხელოსნობის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით, 1899 წელს მიწათმოქმედების და მიწათმოწყობის სამინისტროსთან კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტი ჩამოყალიბდა. მის ორგანიზატორებად ითვლებიან პროგრესული ქართველი მოღვაწეები — მიწათმოქმედობის მ. მაჩაბელი, აგ-

რონობი ა. ფირალივი (ფირალიშვილი) და სხვები.

ქალაქებში საქარხნო და საფაბრიკო მრეწველობის განვითარებასთან ერთად ხელოვნებმა თითქმის მთლიანად შეწყვიტეს ნედლეულის გადაუმუშავება. ვინაიდან ბაზრებმა და სავაჭროებში გაჩნდა გარდანი შემოტანილი იაფი საქონელი. ბაზარზე ხელოსნებს და შინამრეწველებს გამოჰქონდათ გადუმუშავებელი ნედლეული. შეიქმნა ტრადიციული ქართული ხელოსნობის (მათ შორის მხატვრულის) კვდომის საფრთხე.

4 უნდა ითქვას, რომ ს. ცინცაძის V კვარტეტში ფოლკლორული ინტონაციის გაცვლის სხვათა იმ ფარგლებზე მხოლოდ მუსიკალური მთავარი მუსიკალური სახით. აშკარად ხალხური მუსიკალური სტილის (II ნაწილი) განაზრდა ნაწილების ლაირიონი, მაგრამ ზრად გამომსახველ საქვეით და მისივე შუა ნაწილის თემა, რომ არაფერი ვთქვათ სტილის ცვალებების ხასიათს და ტექნიკურებზე. ამევე თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა IV ნაწილი ტიტულად ნეიტრალიზებული ვერული კრიმპელის ინტონაცია (იხ. პარტ. 31), რომლის მელიოდური ნახაზი ზუსტად ემთხვევა „ხასიათებურს“ კრიმპელის ერთ-ერთ მონაკვეთს (იხ. ხალხური სიმღერების კრებული, გვ. 81, I ნაწ., თბილისი, 1973 წ., „ახანაშეგურა“, 1-ე ტაქტიანი, გვ. 86).

5 ასეთი სტრუქტურის ნონაკორი ხშირია ბურულ საგალობლებში. გვხვდება იგი საერთო მელტრებშიც. მაგალითად, „ახანაშეგურაში“ (ბურული სიმღერების კრებული, ტ. I, გვ. 150), ორი მწიფად კონტრასტან შედეგური ნონაკორი პარონიული გამომსახველობის ერთ-ერთი ნაწილი ელემენტია. ასეთვე ნონაკორი, როგორც ახანაშეგურა საქვეით ტონიკა, გვხვდება სიმღერაში „შავი შაჰი“ (იხ. იქვე, გვ. 43).

6 ცოცხალ მოქმედებით ა. ბალანჩივაძემ იგივე სიმღერა III სტრუქტურაში კონცენტრირებულად შეიქმნა გამოიყენა.

7 გ კოლორე დადაბლებული V საფეხრითა და დორიულ-რეგიული მიხრობობებით.

8 ამთავრ გამოყოფით დიდი სივრცის შემცველ სტრუქტურას. თავიდაც იგი პირველი ნაწილის შესავალი ჩნდება ხანგამსული დახასიათებლობით, მაგრამ განსაკუთრებით მაშინდა მისამ ნაწილში აღდრის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს აქტიური მუსიკალური კვარტეტში მუსიკის დინამიური დამახასიათებლობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

9 როგორც ცნობილია, ეს უძველესი ქართული საბრძოლო (ი. ე. დღის მხოლოდ აქარაში შემორჩენილი და სრულდება ამ მხარეში ყველაზე ადრეულად საყავა ჰეობონე (ფუდასტკირის ნარჩაშეობა), ჩინაფრები, ხშირად ორივეზე ერთად დღის თანსდებით. არც თუ იშვიათად „ხორბალი“ სრულდება მხოლოდ დღით, რაც მისი გამომსახველობის კომპლექსში რიტმის გამოჩენულ მნიშვნელობაზე მოთხოვნილ. ამასთან რბად, აქტიური, ძლიერი სახის შექმნაში საყოველთაო როლი ენიჭება ჰეობონეს და ჩინაფრებზე სრულდების წარმოქმნილ მელიოდურ საქვეითსაც.

10 „ხორბალი“ პირველად 1916 წელს ჩაწერა ვ. კოცებერა-შვილმა. ამჟამად შ. შველიძის, ა. კოცებერის, ა. ახობაძის მიერ ჩაწერილია რეორიში იარანიკა რამელითა შედარება საშუალებას იძლევა დაადგინოთ „ხორბალის“ მუსიკალური გამომსახველობის დამახასიათებელი ნიშნები. აქ იხილეთ ავ. ახობაძისეულ ვარიანტს, რომელიც კოლორად და ინტონაციურად ყველაზე უფრო განვითარებულია (გ. ჩხეიძე, ქართული ხალხური სიმღერები, გვ. 290).

11 იხ. გ. კოცებერა, ზოგი რამ ქართულ ცეკვაზე. გამომც. „ხელოვნება“, თბილისი, 1967 წ. გვ. 19.

12 Гиви Орджоникидзе. Антoй Баланчивадзе. Очерк жизни и творчества. Издательство «Литература да хеловნება», თბილისი, 1967 წ. სტრ. 32.

13 საფორტეპიანო პესის შედეგად „ხორბალი“ გვხვდება აგრეთვე სალონტეპიანო კონცერტის I ნაწილში და I სიმონის თემაში. ხალხურ მასალაზე მუშაობის თვალსაზრისით ეს მაგალითები უკვე განხილულიან შედარებით თვისობრივად ახალ მოვლებებს არ შეიცავენ, რის გამოც მათზე არ შეიქმნარდება. რაც შეეხება ბალერ „ოტელის“, „ხორბალის“ რიტმი პირველად ბალეტურ სცენაში (№ 13) ჩნდება. ამ სცენაში თავმოყრილი სხვადასხვა ხასიათის ინტონაციური მასალის გაერთიანების ფუნქცია „ხორბალის“ რიტმსა და „საქვილას“ მანქან ეთარება. და თუმცა ეს ხალხური წყაროები ანტივი გოგოვ, მე და შენ“-თან ერთად თავისთავად საინტერესო მუსიკალურ მასალას იძლევიან, ამ სცენის ცალკეულ ეპიზოდებში თემატიკაში რამდენიმე მოკლეობა ინდივიდუალობას და „საერთო მიმართობის“ შთაბეჭდილებას ტოვებს.

14 Гиви Орджоникидзе. Оперы Верди на сюжеты Шекспира. Издательство «Музыка», Москва, 1967 წ. სტრ. 114.

ლაკრაკობს ბალანჩინი

ნიკოლოზ მიქავა

ჰმელას კარგად გვახსოვს ის დიდი სენსაცია და მხურვალე კამათიც, რომელიც თავის დროზე „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ გასტროლებმა გამოიწვია, მაგრამ ორად გაყოფილი აუდიტორია — მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც — ერთხმად აღიარებდნენ საბალეტო დასის მაღალ ტექნიკას და გამოჩენილი ბალეტმასტერის ჯორჯ ბალანჩინის განსაცვიფრებელ გამომგონებლობას, ფანტაზიას, ნოვატორობას, სათავეს რომ იღებდა კლასიკური ბალეტის წიაღში.

ამერიკული ჟურნალი „ბალეტი“ წერდა: „ცეკვისა და მუსიკის რიტმის ერთიანობას, ხედვითი და სმენითი შთაბეჭდილებების შე-

საბამისობას ამერიკული ბალეტი ჯორჯ ბალანჩინის უნდა უმადლოდესო“. სხვა ჟურნალები კი ერთხმად აღიარებდნენ, რომ ჯ. ბალანჩინი „გენიალური ხელოვანი და ცეკვის ნოვატორია“.

მრავალრიცხოვან შეფასებებსა და შეხედულებებს შორის ყველაზე საინტერესოა თვით ჯორჯ ბალანჩინის (გიორგი მელიტონის ძე ბალანჩიავის) აზრი საკუთარ შემოქმედებით პრინციპებსა და მის მიერ დაარსებული საბალეტო დასის შესახებ.

ჩემი მეგობრების — გამოჩენილი საბჭოთა მოცეკვავეების წყალობით — შესაძლებლობა მომეცა შეხვედროდი ჯ. ბალანჩინს,

სცენა ბალეტიდან „სერენადა“





სენა ბალტიდან „ავონი“

როდესაც იგი მოსკოვში იმყოფებოდა და გასაუბრებოდი მას.

„ბალეტზე საუბარი შეუძლებელია, — ასე დაიწყო ჯ. ბალანჩინმა თავისი გამოცდილების გაზიარება, — ბალეტს უნდა უყურო და მიიღო მისგან ესთეტიკური სიამოვნება. თავის დროზე გავიარე ცეკვის ტექნიკის შესანიშნავი სკოლა პეტერბურგის ქორეოგრაფიული სასწავლებლის ცნობილი პედაგოგის ს. ანდრიანოვის ხელმძღვანელობით. მან ძალიან ბევრი რამ მომაძი ქორეოგრაფიული ხელოვნების „საიდუმლოებთა“ შეცნობის თვალსაზრისით. ჩემი მეორე პედაგოგი იყო — პავლე ანდრიას ძე გერდტი. მისმა ქალიშვილმა ელისაბედ გერდტმა დიდი თეატრის საბალეტო დასში აღზარდა მრავალი ცნობილი მოცეკვავე. იგი წარსულში შესანიშნავი ბალეტინა იყო, როცა ვეფიქრობ კლასიკური ცეკვის სიწმინდეზე, თვალწინ წარმომიდგება ხოლმე ელისაბედ გერდტის მოძრაობათა სილამაზე და უზნალო პლასტიკა; პ. გერდტმა უსაზღვროდ გაზარდა ხელების გამომსახველობა. იგი თავის მოწაფეებში ზრდიდა ხელების მოძრაობის კეთილშობილებას. ამ ორმა ადამიანმა გამაინდო ადამიანის სხეულის მოძრაობის საიდუმლოებები, კიდურებისა და კორპუსის მაქსიმალური გამომსახველობის კანონები. რა თქმა უნდა, მე თვითონაც ბევრს ვეფიქრობდი პლასტიკური გამომსახველობის დახეწვასა და განვითარებაზე, მინდოდა, რომ მოცეკვავეთა სხეულის მეტყველება ყოფილიყო ზუსტი, ლამაზი, თანადრო-

ული. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ დავიწყე თავისებურად დადგმა, მაგრამ ეს გაუაზრებლად, თავისთავად ხდებოდა. ჩემი პირველი დამოუკიდებელი დადგმა იყო ერთმოქმედებიანი ბალეტი „ბუღბუღი“ ი. სტრაინსკის მუსიკაზე. ეს მოხდა 1925 წელს, პარიზში ს. დიავილევს დასში. რომელიღაც პატარა თეატრის სცენაზე (ახლა არც კი მახსოვს სახელი იმ თეატრისა), ანრი მატიისის დეკორაციებში, ვცადე მოძრაობებით გამომეხატა მე-20 საუკუნის ამ უნიჭიერესი კომპოზიტორის მუსიკა. ორი წლის შემდეგ იმავე დასის ძალებით დადგი ი. სტრაინსკის ბალეტი „აპოლონ მუსავეტი“. შემდეგ კი ს. პროკოფიევის „ძე-შეცდომილი“.

1929 წელს ს. დიავილევის სიკვდილის შემდეგ ვავემგზავრე ინგლისში და ცეკვები დადგი პირველ ინგლისურ ხმოვან ფილმში „მუქი წითელი ვარდები“. ამ ფილმში ცეკვავედა ლილია ლოპუზოვა — ცნობილი ლენინგრადელი ბალეტმაისტერისა და პედაგოგის თედორე ლოპუზოვის და. მასში, როგორც მოცეკვავემ, მეც მივიღე მონაწილეობა.

ლონდონში ჩემს მიერ დადგმული „რევიუს“ შემდეგ მიმიწვიეს პარიზის „გრანდ-ოპერაში“ საბალეტო სკოლის ხელმძღვანელად. „გრანდ-ოპერის“ სენაზე დავიწყე ბეთპოენის „პრომეთეოსის“ დადგმა, მაგრამ ფილტვების ანთებით გავხდი ავად, ექიმებმა დაადგინეს ტუბერკულოზური პროცესის დასაწყისი და იძულებული ვიყავი საქმიოდ

წავსულიყავი სამხრეთ იტალიაში. „პრომეთეოსი“ დადგა ს. ლიფარმა, რომელიც მალე „გრანდ-ოპერის“ მთავარი ბალეტმასტერი გახდა. როცა ვანიუტური და დაბრუნდი პარიზში, ჩემთვის სამუშაო ადგილი აღარ აღმოჩნდა. გადავწყვიტე დამოუკიდებლად შემექმნა საბალეტო დასი.

ჩემი წადილი შევასრულე. 1932 წელს „მონტე-კარლოს“ სცენაზე დავდი სამი ერთაქტიანი ბალეტი — „გაზნაურებული მდაბიო“ რ. შტრაუსის მუსიკითა და ა. ბენუას დეკორაციებით, „კოტილიონი“, მუსიკა შაბერისა, რომლის ათი საფორტეპიანო პიესა ვადამუშავებულ იქნა ორკესტრისათვის; ეს ბალეტი ვააფორმა ცნობილმა ფრანგმა მხატვარმა ა. დორენმა. ძალიან კარგად მახსოვს შინაარსი (სწორედ შინაარსი) ამ ბალეტისა: კონკურენცია ორ მარაზის შორის, რომლებიც ცდილობდნენ მიეზიდათ, რაც შეიძლება მეტი მყიდველი: ღარიბები, მდიდრები, ახალგაზრდები, ბებრები, ლამაზები, მახინჩები, რომლებსაც ერთნაირად უნდოდათ კარგად ჩაცმა. ბალეტი გამსჭვალული იყო თამაშით, იგი გასართობი, თავშესაქცევი, ყანრული ხასიათისა იყო. იქვე „მონტე-კარლოს“ სცენაზე დავდი „სილფიდები“ ფ. შოპენის მუსიკაზე, მაგრამ არა ვარდისფერებში, არამედ ცისფერებში. გამოვიყენე კოროს განთქმული ტილოები.

ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრჯერ მქონია საშუალება დააკვირებოდი, მენახა, თუ როგორ მოდიოდნენ ხელოვნებაში ის ადამიანები, რომლებსაც ამ საქმის არაფერი გაეგებოდათ. მოდიოდნენ ერთი სურვილით — ხელოვნებიდან რაც შეიძლება მეტი ფული გამოეწოვათ. მე ღრმად ვარ დაწმუნებული,

რომ თუ ვიქნ მიესდით მხოლოდ კორპორაციულ მიზნებს, — მაშინ შემოქმედებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

გამოჩნდა თუ არა „მონტე-კარლოს“ დასი ვილაც ვ. ეოსკრესენსკი, საშინლად მერკანტილური ადამიანი, მაშინვე მომივიდა მასთან პრინციპული განხეთქილება და იძულებული შევიქენი წავსულიყავი თეატრიდან. მაგრამ ცხოვრება ბალეტის გარეშე ვერ წარმოვადგინა. სულ მალე ისევ შევკრიბე დასი — კერძო სკოლის მოწაფეებისაგან, რომლებსაც ზრდიდნენ რუსი მოცეკვაე ქალები: პრეობრავენსკაია, ეგროვა, კუმენსკაია — „1933 წლის ბალეტის“ სახელწოდებით. ამ დასში დავდი რამდენიმე ბალეტი: „ვანდერერი“ შუბერტის მუსიკაზე, დეკორაციები შექმნა შესანიშნავმა რუსმა მხატვარმა, რომელიც ცხოვრობდა საფრანგეთში — პ. ჩელიმჩევმა (მისი სურათი „ფენომენი“, მან, ჩვენი ხელით, საჩუქრად გამოუგზავნა მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეას). ამავე დასში დავდი აგრეთვე ბალეტი „ფასტი“ (კომპოზიტორი ა. სოვა, ვააფორმება მხატვარ ა. დორენისა), დარიუს მიოს „სიზმარი“, რომელიც ვააფორმა იმავე ა. დორენმა.

მაგრამ დასის შენახვა მეტად მწელი აღმოჩნდა. მართალია, ჩვენ დავდიოდით ვასტროლებზე, მაგრამ საფრანგეთი — არ არის დიდი ქვეყანა: გაეშავებრეთ ინგლისში, გვექონდა წარმატება. ფული მაინც არ გვეყოდა აი, სწორედ ამ დროს, ჩემთან მოვიდა ერთი მაღალი ჩასხმული მამაკაცი, ვინმე ლ. კირსტეინი. მასთან საუბრის დროს გამოვიტყვი სურვილი ამერიკაში წასვლისა. სულ მალე კირსტეინის დახმარებით ვანუაბორციელ ჩემი სურვილი. 1934 წლის დასაწყისში

სცენა ბალეტდან „მე შეცდომილი“



ნიუ-იორკში, ლ. კირსტინთან ერთად, გავესწერით საბალეტო სკოლა. მასწავლებლებად მოვიწვიეთ პ. ვლადიმეროვი, ა. ოხუხოვი, ფ. ლუბროვსკაია — წიარსულში მარინის თეატრის ბალეტის მსახიობები. რამდენიმე თვის შემდეგ შევექმენით დასი, რომელსაც ვუწოდებთ ამერიკული ბალეტი“.

ამ დასში დავდგი ჩაიკოვსკის „სერენადა“, ერთი ბალეტი ვოდანის მუსიკაზე, განვახლებ „ვანდერერი“, „აპოლონი“, „სიზმარი“ და სხვა.

სახსრების სიმძირემ აქაც მალე იჩინა თავი. საჭირო იყო საგასტროლო მოგზაურობა. მაგრამ, მართალი რომ ვითხრათ, არ შეინდა ამის დიდი სურვილი, რადგან მოგზაურობაში ძნელია რაიმეს შექმნა; ვასტროლოებზე, როგორც წესი, ჩვენ არ მივიწვიეთ წინ, არ ვვითარდებით. იძულებული შევიქენი დამენებებინა თავი დასისათვის და მიმელო ჰოლიუდის მიწვევა. მიმღვენი წლებში ვღვამიდი ექვებს ფილმებში, ვმუშაობდი ცირკში, სადაც ერთხელ 60 სოლისტის მონაწილეობით დავდგი დიდი ბალეტი ი. სტრავინსკის მუსიკაზე. წარმატება, როგორც საერთოდ და მუდამ სჩვევია ცირკს, ძალიან დიდი იყო. მაგრამ ყოველივე ეს არ მაქმავაფილებდა. აღვნიშნავ იმასაც, რომ გამომხმურებები როგორც ამერიკის, ისე საზღვარგარეთელი კრიტიკოს-პროფესიონალებისა ჩემი მისამართით თითქმის ერთნაირი იყო: „დადგმებს აკლია შინაარსი, ყველაფერი მტკად შექანიზირებულია“. მაგრამ იყვენ ისეთებიც, რომლებსაც ჩემი საბალეტო დადგმები მოსწონდათ.

ამის შემდეგ, ლ. კირსტინთან ერთად, გადაიწყვიტე შემექმნა დასი და ამ მიზნით გაემგზავრე სამხრეთ ამერიკაში. ამ წლებში დავდგი „ბაროკო“, პ. ჩაიკოვსკის მეორე საფორტეპიანო კონცერტი, ბალეტი ზახის მუსიკაზე და მრავალი სხვა. ამ ნაწარმოებებზე მუშაობა მე გამოადილა ფორტეპიანოზე დაკერის საქმად კარგმა ცოდნამ, რასაც დავეუფლე პეტერბურგის კონსერვატორიაში, სადაც ჩემი მასწავლებელი იყო ბრწყინვალე მუსიკოსი და პედაგოგი ციურმიულერი.

სამხრეთ ამერიკაში შევიტყვეთ მეორე მსოფლიო ომის დაწყების ამავსე. ბუნებრივია, ჩიენი დასი დაიშალა. მაგრამ ამ დროის მანძილზე, ნიუ-იორკში განაგრძობდა არსებობას ჩვენი მიერ დაარსებული საბალეტო სკოლა. 1947 წელს არმიიდან დაბრუნებულმა კირსტინმა მითხრა: „აბა, ჯორჯ, ისევე დაიწყეთ!“ — და ჩვენს ახალ დასს სახელად „ბალეტ სოსიეტე“ დავარქვი. დავდგი რაველის ოპერა „ბავშვი და სიზმარი“. მომღერლები, ორკესტრი და ვუნდი მოვათავსეთ საორკესტრო ობოში, სცენაზე კი წარმოდ-

გენილი იყო ბალეტი და მხოლოდ ერთი მომღერალი — 12 წლის ბავშვი, რომელიც შესანიშნავად მღეროდა. ამ დღემას მოყვა ჩაიკოვსკის მეორე სულა, ი. სტრავინსკის „პოლი“, რომელსაც ასრულებდა 200 ბავშვი, მოკარტის „სიმფონია-კონცერტი“, ი. სტრავინსკის „ორფეოსი“, პ. ჰინდემიტის „ოთხი ტემპერამენტი“, ი. სტრავინსკის „ფსალჟი“ და სხვა.

ამემად კი ჩვენ გამაუღვივართ თეატრ „სტი-სენტრის“ სცენაზე. როცა ამ შენობაში დავიწყეთ გამოსულა, ძლიერ ცოტა სახსრები გაჯაანდა, მაგრამ ლ. კირსტინთან ერთად ჩვენ გადაწყვიტეთ რადაც არ უნდა დაგეჯდომოდა შევექმნა და შევეგნარჩუნებინა საყუთარი თეატრი. პირველი ამოცანა იყო ორკესტრის შექმნა. მასში ვაერთიანდენ შესანიშნავი მუსიკოსები, რომლებიც ფულის გაყვებით კი არ იყვენ დაინტერესებულნი, — ჩვენ მათ ცოტას ვუბდიდით, არამედ ჩიენი თეატრის ახალი, ჭეშმარიტად თანამედროვე რეპერტუართი. ისინი დღემდე დარჩენ ჩვენი დასის დიდ პატრიოტებდ, რადგან ეს 60 მუსიკოსი უკრავდა მაღალი ხელოვნებისათვის, რომელსაც შესწირეს თავი.

დეკორაციებისა და კოსტუმებისათვის ჩვენ ფული არ გვეოფნიდა. ამიტომ დავიწყე ბალეტების დადგმა უდეკორაციოდ. ბალეტის არტისტებს ჩავაციეთ სამეცადინო ტრიკოები. ამ გარემოებამ მიიძულა, როგორც დამდგმელს, გამომგონებინა ახალი, თავისუფალი კოსტუმებისათვის შესაბამისი მოძრაობები.

ვინაიდან ჩვენი არტისტების მოძრაობას, მათ ცეკვას არ აღაზაზებდა მდირული დეკორაციები და ჩაქმელობა, ისინი იძულებული იყენინ მაქსიმალური სიხუსტით შეესრულებინათ ყოველი მოძრაობა, ჩვენ კი, ბალეტმანისტრებს გეველებოდა მრავალფეროვანი და მტყველი ქორეოგრაფია შეგვექმნა.

ხშირად მინახავს, როცა მაყურებელს სწყინდება თვით ყველაზე საინტერესო სექტაციც კი, — იქნება ეს საოპერო, საბალეტო, დრამატული თეატრის წარმოდგენა თუ მიუზიკლი. ამის მიზეზი ერთფეროვნება და გაჭიანურება, რაც მუდამ მოსაბერებელია. ჩვენ ვვინდიდა, რომ მაყურებელი არ დაქანულყოფ. ამისათვის კი საბალეტო მოქმედებისა და მაყურებლის განწყობილებას შორის მკაცრად უნდა დაგვეცვა წონასწორობა.

თანამედროვე მაყურებელი ძალიან ვიზარდა, იგი ვახდა ინტელექტუალური და ინტელეგენტური. მას არ ვაკმაყოფილებს მარტოდენ სანახაობა, რომელშიც უახლოდ დაბიჯებს ასი თუ ორასი საუცხოოდ ჩაც-

მული სტატისტი. მოვლენები, რომლებიც ქორეოგრაფიის სახსრებით სახიერდება სცენაზე, ჩემის აზრით, არ უნდა იყვნენ განყენებულნი, აბსტრაქტულნი. ამავე დროს, ბალეტი არ უნდა ვახდეს ილუსტრატორად, თუნდაც, ყველაზე საინტერესო, მეტად შინაარსიანი ლიტერატურული პირველწყაროსი. იგი ყოველთვის უნდა იყოს თავისთავადი. ბალეტი, უპირველესად, სილამაზე, პოეზიაა; ბალეტზე უნდა ვლაპარაკობდეთ ესთეტიკური პოზიციებიდან, თუკი საერთოდ საჭიროა მასზე ლაპარაკი.

თხუთმეტი წლის მანძილზე მოცეკვავე წვრთნის თავისი სხეულის ყოველ უჯრულს. ყველა ეს უჯრედი უნდა მღეროდეს. და თუ ამ გაწვრთნილი და ნავარჯიშევი სხეულის სილამაზემ, მისმა მოძრაობამ, პლასტიკამ, გამომსახველობამ დარბაზში მყოფ მაყურებელს მოუტანა ესთეტიკური სიამოვნება, მაშინ ბალეტმა, ჩემის აზრით, მიაღწია თავის მიზანს. ცეკვის დედოფალ მე მიმაჩნია ქალი, მამაკაცი კი — მისი მსახური. ადამიანის სხეული, კერძოდ ქალისა, შეიცავს ჭეშმარიტ სილამაზეს. სიმართლე გითხრათ, არც მინდა ვიცოდე, ვის ანსახიერებს ესა თუ ის ბალერინა. უბრალოდ მინდა ვხედავდე მისი სხეულის, მისი მოძრაობის მშვენიერებას.

ჩემის აზრით, ბალეტი, ყველაზე პოეტური ხელოვნებაა. იგი იმდენად მეტყველია და გამომსახველი, რომ არ მოითხოვს განსაკუთ-

რებულ შინაარსს, ტექსტს. ბგერაში, მუსიკალურ გამაშიც კი არის აზრი, აბსტრაქტურობა. რაბინანოვის „ეოვალიზი“. დიხს, მე წმინდა ხელოვნების მომხრე ვარ, თვითმყოფადი ხელოვნებისა.

წინააღმდეგი როდი ვარ სიუჟეტისა ბალეტში! მაგრამ ის ცეკვის საშუალებით უნდა იყოს ნათელი და გასაგები და არა პროგრამაში დაბეჭდილი შინაარსის დახმარებით.

... ჩვენს დასში ახლა სამოცი მოცეკვავეა — ორმოცი ქალი და ოცი მამაკაცი. ყოველმა მათგანმა ყველაფერი იცის. მათ თავისუფლად შეუძლიათ შეცვალონ ერთმანეთი, თვითული — ეს ნაწილია დიდი, საერთო საქმისა.

როგორ ვემუშაობთ? თერთმეტი თვე წელიწადში, სეზონში ვდგამთ 6-7 ახალ სპექტაკლს. „ავღონი“ და „ეპიზოდები“ მე დავდგი ორი კვირის განმავლობაში. ზოგჯერ, პარალელურად ორ ბალეტს ვამზადებ — ერთს რთულს, მეორეს — უფრო ადვილს. ნულ-იორკში დაბრუნებისას ვაპირებ ბალეტის დადგმას თანამედროვე იაპონელი კომპოზიტორის მიაზუშის მუსიკაზე.

მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვცდილობ, რომ ადამიანის სხეულმა არ დაჰკარგოს თავისი აზრი და სილამაზე, რომ ბალეტი სავაზმად არ გადაიქცეს რომელიმე სხვა კერძისათვის“...

ზურაბ ზვარიძელი — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი

მხატვარ ფერმწერსა და მონუმენტალისტს **ზურაბ წერეთელს** სსრ კავშირის სახალხო მხატვრის წოდება მიენიჭა.

უფროს „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ულოცავენ მხატვარს ამ საპატიო წოდებას და უსურვებენ შემდგომ შემოქმედებით გამარჯვებებს.



„მეგობრობის თეატრის“ მღვწევევით

საპარტიზლოს სსრ თეატრალურ საზოგადოებასთან არსებულმა „მეგობრობის თეატრმა“ თბილისში მოიწვია მოსკოვის მაღაია ბრონაიას სახელწოდებული დრამატული თეატრის ცნობილი მსახიობი, რსფ. დამსახურებული არტისტი ლევ დუროვი.

აკ. ზორავას სახელობის მსახიობის სახლში ლ. დუროვმა გაამართა შემოქმედებითი საღამო. მსახიობმა წარმოადგინა სცენები ი სპექტაკლებიდან, რომლებშიც უფრო მეტწილად გამოჩნდა მისი შემოქმედებითი თავისებურება და შესაძლებლობები. ამ სცენებს შორის აღსანიშნავია სნევირიოვი სპექტაკლიდან „ძმები კარამაზოვები“ იაკო შექსპირის „ოთელიდან“ და სგანარელი „დონ კუნიდან“. საინტერესო აღბატაცია განიცადა გოგოლის „ქორწინებაში“ და ლ. დუროვის გარდასახვა მაყურებელმა საინტერესო ექსპერიმენტად შეიჩინა. შემოქმედებით საღამოზე ნაჩვენები იყო აგრეთვე სამი მოლდებტრაჟედია ფილმი-ნოველა. ეს ფილმები შეიქმნა ლ. დუროვის ინიციატივით კინემატოგრაფიის საკავშირო სახელწოდებით ინტიტუტ-

ში და ისინი შეიქმნა ფსიქოლოგიური ჩანახატის ნიმუშებად მივიჩნით. მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ხელინჭერის მოთხრობის მიხედვით შექმნილმა ფილმმა „ეს ტურნები და თუალები მწვანა“ და ვ. შუკშინის ტრანზიტულმა ნოველამ „შტრიხები პორტრეტისათვის“.

ლ. დუროვს სცენაზე პარტნიორობას უწყევდა კ. სმირნტსკი, რაც თითოეულ სცენას კიდევ უფრო მეტ გამომსახველობას ანიჭებდა.

ლ. დუროვი არა მარტო სახელმწივეელი მსახიობია, არამედ ცნობილი რეჟისორიც. მას რამდენიმე საინტერესო სპექტაკლი აქვს დადგმული და ამჟამად მუშაობს ე. ოლბის პიესის „ეს მოხდა ზოოპარკში“ დადგმავზე.

მსახიობმა ამომწურავი პასუხი გასცა მაყურებელთა კითხვებს და შეძლებისდაგვარად გააშუქა მის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა.

სცენა სპექტაკლიდან „მეფე თეოდორე ივანეს ძე“.



თბილისელმა მყურებელმა და თეატრალურმა საზოგადოებამ სათანადოდ დააფასა ლ. ღურგოვის ნიჭი და გულწრფელობა და ხანგრძლივი ტაშით დააქილავა იგი.


„მეგობრობის თეატრის“ მოწვევით ჩვენს დედაქალაქს საგახტროლოდ ეწვია ლენინგრადის ვ. კომისარეცკაიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ეს თეატრი ომის დარსხდა და პირველი სექტაკლი, რომელიც მან მყურებელს უჩვენა, იყო ა. ტოლსტოის პიესის „მეფე თეოდორე ივანეს ძის“ საფუძველზე შექმნილი სექტაკლი. ამ ტრადიციას თეატრმა დღემდე არ უღალატა. სტუმრებმა ჩვენს დედაქალაქში ჩამოიტანეს ა. ტოლსტოის სამი პიესა, ვერტოვოდებულ ტრილოგია: „იოანე მრისხანეს სიკვდილი“, „მეფე თეოდორე ივანეს ძე“ და „მეფე ბორისი“. ამ ისტორიულ პიესებში ა. ტოლსტოიმ დაგვიხატა XVI-XVII საუკუნეების საშთავროებად დაქსაქსული რუსეთის ერთ დიდ სახელმწიფოდ გაერთიანების მტკიცეული და ტრაგიკული აღსავტე ეპოქა, როცა სისხლისღვრა გამოწვეული იყო არა მარტო ადამიანური ვნებების შეხლამეშობლით და პირადი შუღლით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს გაერთიანების ინტერესებით. მაგრამ სახელმწიფო ინტერესების დაცვა, ხშირ შემთხვევაში, ეწინააღმდეგებოდა ცალკეული პიროვნების ზნეობრივ მოთხოვნილებებს და ამ წინააღმდეგობას გარდუვალ ტრაგიკულად მიჰყავდა როგორც ნებისყოფით და ქილოდებულ, ასევე უნებისყოფო კვეუნის მმართველი. სწორედ ეს ტრაგიზმია ხაზგასმული ლენინგრადის ვ. კომისარეცკაიას სახელობის დრამატული თეატრის სექტაკლებში მცირედი დამატებითა და გადამალისებით.

სამეფ სექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, რსფსრ სახალხო არტისტმა და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რ. აგაშიანიანმა. სექტაკლების მხატვრული გაფორმებაც ერთ მხატვარს ეკუთვნის. რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სახელმწიფო პრემიის ღაღრტამა ე. კონჩაგინმა სცენური სივრცე მარტვი, მაგრამ უაღრესად მტკვეული კონსტრუქციებით შეიასო და ისტორიული მოვლენების ტრაგეული ელტრადობა მუქი ფერებით და სინათლის მოკლებული ფონით შემოწოლდა. სექტაკლებისათვის მუსიკა შეარჩია ე. ვუტკოვაშ. სექტაკლის პროლოგი „იოანე მრისხანეს სიკვდილი“ რეჟისორმა შეიტანა ნაწვევებით ა. ტოლსტოის სატრული ლექსებიდან და სკომპოზიციის სცენა.

ლენინგრადის ვ. კომისარეცკაიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლებმა თბილისში წარმატებით ჩაიარა.

„მეგობრობის თეატრის“ მოწვევით თბილისის სტუმარი იყო აგრეთვე რსფსრ დამსახურებული არტისტი, მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობი ალექსანდრე კალიაგინი.

მსახიობმა ორი შემოქმედებითი საღამო გამართა ავ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლის სცენაზე. პროგრამაში მარტო მის მიერ სხვადასხვა სექტაკლებში განხორციელებული როლები კი არ იყო შეტანილი, არამედ დღეღამეც. მან წაიკითხა სამი თავი რაბულეს ცნობილი რომანიდან „გარგანტუა და პანტაგრუელი“. ამ თავებში რაბულე დაცინის ქარაფუტობას, უნიადაგო ფანტაზიორობას, სიბრყუვეს და მსახიობი ამას ისეთი უშუალოებით და იუმორის ზომიერი გრძობით გაღმოვეცემს, რომ მყურებელის დიდ აღტაცებას იწვევს. საინტერესო იყო აგრეთვე ა. კალიაგინის მიერ წარმოდგენილი სცენა ა. პლატონოვის მოთხრობიდან „ილიის ნათურა“. შემოქმედებით საღამოზე ნაჩვენები იყო ნაწვევები იმ კინოფილმებიდან, რომელთაც მსახიობს აღიარება და პაუპულარობა მოუტანეს.



ლევ ღურგოვი

ალექსანდრე კალიაგინი



მხატვრის პერსონალურ გამოფენაზე

იოსებ იმაძე

საპარტიზმოს სურათების სახელმწიფო გალერეაში მოწყობილ პერსონალურ გამოფენაზე საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა ვახტანგ ადვიაძემ 175 რჩეული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი წარმოადგინა. თემატურად და ქანრულად მრავალფეროვანი ეს სურათები მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ძიებითაც იქცევა ყურადღებას. პეიზაჟს პორტრეტი ენაცვლებოდა, თემატურ სურათს — ყოფითი ქანრის წინმუშები.

მხატვრის შემოქმედებაში წამყვანი, უდავოდ, აეიზაქია — პირველი დამოუკიდებელი საიტივიდია დღემდე. თბილისის სახატვრო აკადემიის დამთავრების შემდგომ ვახტანგ ადვიაძე ათი წელი მუშაობდა დონის როსტოვში (1950-1960 წწ.). ამ პერიოდის ხამუშევრებიდან რამდენიმე გამოფენაზეც იყო ექსპონირებული: „სოფელი დონის ხაპირზე“, „ქემის ხერხვა“, „წვიმიანი დღე“, „ხრდილოეთის შემოდგომა“ და ორიოდ კიდევ სხვა. ლირიკულ პეიზაჟებში ოსტატობით არის გადმოცემული გახწყობა, ფეროვანი გამის გახმეორებლობა. უკვე ამ ნამუშევრებში გამოძღვანდა მხატვრის დამახასიათებელი სწრაფვა — ჩართოს პეიზაჟში ქანრული მოტივი, მაგრამ ჯერ სრულიად არ ჩანს მოგვიანო პერიოდისათვის დამახასიათებელი ლტოლვა დეკორატიულობისა და ექსპრესიული დეფორმაციისაკენ. ისიც უნდა ითქვას, რომ თუმცა მხატვარმა იმთავითვე გამოავლინა შრომისმოყვარეობა და პროფესიული მონაცემები, მაგრამ საკუთარი ხელწერა აღჩინდელ სურათებში ჯერ მხოლოდ მინიშნებულია.

აგრ უკვე ოცი წელია მხატვარი განსაკუთრებული ვატეებით ქმნის მესხეთისადმი მიძღვნილი სურათების ციკლს. შშობლიური კუთხის ასახვას მან ბევრი ნამუშევარი მიუძღვნა, მრავალი ჩანაფიქრიც ელის გახხორციელებას. ბუნება ვახტანგ ადვიაძისთვის არასოდეს ყოფილა მარტოოდენ ლამაზი ხელი. მესხურ პეიზაჟებში შერწყმულია მონუმენტურობა და ლირიზმი. სუფთა ტონების მსხვილი მონასმებით, ზოგჯერ კი პირდაპირ მასტიინით დადებული ლაქებით „მოზაიკურად“ აგებს ხშირად სურათს მხატვარი და სავანთა მოდელირების ეს „იმპრესიონისტული“ ხერხი ვარკვეული მანგილიდან მეტად შთამბეჭდავ ფეგეტს იწვევს — პეიზაჟი „სუთქაეს“.

„მითვებული სოფელი“ — მიწისბანინი სახლების ნავაჩრალეში მოღუშული იმზირებინან; ეზოში მდგარი ხეც კი უფოთლოა — გაპარტახებულია ირგვლივ ყოველივე მხოლოდ მთებია ფერადოვანი, მაგრამ მათშიც „თბილი“ და „ცივი“ ფერების ჭილილია და ვერ იტყვი, რომელი აჯობებს. რალაცის მოლოდინით არის აღსავეს ეს კემზინანი ჩუმი სურათი. ალბათ ელის დროს, როცა ძველუბურად ახმურდება ეზო, გაივსება მამ-

ლის ყვილით, ბავშვების ჟვიღ-ხვილით, საქონლის ბღაილით. ახლა კი თითქოს ბელურებსაც კი მიუტრეხებით ეს უკაცრიელი მიდამო...

„მესხეთი, მტკერის ხეობა“ — ერთ-ერთი დამახასიათებელი სურათია კომპოზიციურად და ფეროვანი გადაწყვეტიდაც. თუმცა, პეიზაჟი საერთო მუქი კოლორით ხასიათდება, ფართო მონანმებით შესრულებული ტილო მაინც ფერადოვანია, დეკორაციული და საზეიმო, ამაღლებულ განწყობილებას ბადებს.

სხვა შემთხვევებში ხელოვანი არა მარტო ფორმებს აზვიადებს, არამედ ფერსაც ამბავრებს, აცხოველებს. მაგალითად, პეიზაჟები „მესხეთი, სოფელ ხერთვისის მიდამოები“, „მესხეთი, ოქტომბერი“ იმდენად მკვირი ფერებით არის შესრულებული, რომ მონუმენტურ-დეკორაციულ პანოს ჩამოგავს.

„სიმღერა მესხეთზე“ განზოგადებული ხატია მესხეთისა — მტკვარი, კლდეები, კლდის თავზე — ციხე, ფერდობებზე და მდინარის პირას ქალაქი ახალციხე საყდრებით, სახლებით, ბაღებით... მტკვარზე — ხილი, ტივები, გზაზე ფეტონები მიგრიალებენ, სანაპიროზე ხალხი ირევა... სურათზე თითქოს ყველაფერი რეალურადაა წარმოსახული, მაინც მილიანობაში ფანტასტიკურიცაა კომპოზიციითა და ფეროვანი გადაწყვეტიდაც. კოლორითურად ლამაზი სანახაობის საერთო ღია კოლორითი ამბლებული განწყობას ბადებს.

სურათი „მზე და მთავარ“ მესხეთის კრებითი სახეა. ერთგვარად ზღაბრული თავისი სიმშვენიერით. ერთ სასურათე სიბრტყეზეა ყველაფერი, რაც კი სახასიათო მესხეთისთვის. ცაზე ერთდროულად მზეც არის და მთავარც, არტანის მტკვარი და ჯავახეთის მტკვარი გზას მიიკვლევენ ღრმა ხეობებში ერთმანეთის შესხვედრად, მაღალ ფლატეებს ზეით კი, ფერდობებზე სოფლის სახლების წითელი სახურავები გაფანტულა — ავგრ პტენა, ზუნხხა, დილისკარი... აქა-იქ, მთათა გრებილებს შორის ღრუბელთა ფთილები ჩაწოლილა, ოღონდ ეს თორი ქულეები ავდრის მომასწავებელი როლია, მათ ერთგვარი სიხალისე და მრავალფეროვნება შეაქვთ ხალხისავით ნაქსოვ სურათში. წინა პლანზე მოხუცთა — ქალისა და კაცის თავები, აღმა მზე და მთავარსავით შეაბერდნენ

ერთმანეთს. მხატვარმა შეძლო ლაკონურად და მეტყველად გადაწყვიტა სურათის არქიტექტონიკური მხარი.

თბილისური პეიზაჟები — მხატვრის მეორე საყვარელი თემაა. ამ ქალაქურ პეიზაჟებში, რომლებიც, უმეტესად, ძველ კოლორიტულ უბნებს ასახავს, მხატვარი მრავალგვარ მიდგომას ამტკიცებს. სურათების ნაწილი თავშეკავებულ, მორუხო გამაშია გადაწყვეტილი და ერთმანეთისაკენ გადახრილი სახლების დამახული ტეხილი კონტურები ერთგვარ ნაღვლიან მელოდიას ქმნის. მეორე რიგის ნამუშევრებში — უფრო წარმოდგენით შექმნილ ფერადოვან ქალაქურ მოტივებში მაკარული განწყობა ჭარბობს.

ნატურასთან მიახლოებით გამოირჩევა 1968 წელს შექმნილი ციკლი — „ანჩისაატის სამრეკლო“, „რიყის ქუჩა და ავლაბარი“, „მაწვნის დამყიდველი“, „დარეჯანის სასახლის აივანი“ და სხვ., რომლებიც ერთიანი მანერითა და მუსკასი განწყობით ხასიათდებიან. ამ სურათებისთვის ისე ნიშნდომოვია, რომ ძალიან თავისუფლად, ეტიუდური მანერითაა შესრულებული, რაც მათ სიხალისეს და უშუალობას ანიჭებს.

პეიზაჟების ერთ ციკლს შეიძლება ვუწოდოთ „თავისუფალი ფანტაზიები ძველი თბილისის თემზე“, მხატვარის სურს გადმოსცეს ძველი უბნებისთვის დამახასიათებელი კოლორითი, ამავე დროს, დოკუმენტური სიზუსტე უგულვებელყოფილია — ცალკეული შენობები, შესაძლოა, ნაცნობიც იყოს, მაგრამ თავისუფლად არის ჩართული შეთხზულ კომპოზიციაში. მეტი ექსპრესიულობისთვის მხატვარი მიმართავს მათი ფორმების ზომიერ დეფორმაციას, სივრცობრივი გადაწყვეტაც და ფერიც მეტ-ნაკლებად პირიპობითაა. სურათში „ქალაქი-ციხე“ თბილისი და ნარიყალა სახელი, მაგრამ არა ნატურის ზუსტად შესატყვისი, არამედ წარმოსახვით შექმნილი. ციხე, აივანი სახლები, საყდარი — ყველაფერი თითქოს ნაცნობიცაა და, ამავე დროს, უცნობიც, იმდენად გარდასახულია შემოქმედის ნებით.

„ზამთარი ძველ თბილისში“ — მართლაც თბილისური ზღაპარია. თელი ქალაქი ნათელია, შუქით განმანული — დათვლილი ხეებით, ძველთაძველი ლამაზი სახლებით, ერთმანეთის შესახვედრად რომ გაუწყვდიათ ჩუქურთმებით დამშვენებული აივნები. სულ

მალა კი, ცისფერ ოცნებასავით აზიდულა ნარიყალას ციხის კედლები. სართულ-სართულ, მალა-მალა აიკინა ფერდობზე ჩაწყოხილი ეს ძველი სახლები, აღმართიანი ქუჩის ეზოთა ჭიჭირებთან კი მაწანწალა ძაღვნი შეგროვდნენ, მათაც ახარებდნენ ზამთრის ეს მზიანი დღე.

ვახტანგ ადვამეშ შექმნა ყირიმული და ლიტვური პეიზაჟების ციკლებიც. თუ პირველი ციკლი მძღერი დეკორატიულობით, გარდასახვით, შეიძლება მივახსენებოთ მესხურ პეიზაჟებს, ლიტვური პეიზაჟები ამ მხრივ სრულიად განსხვავებულია. მათში მხატვარი არ ცდილობს გარდასახოს ბუნებრივი ფორმები, ის მხოლოდ ხაზს უსვამს სახასიათო ნიშნებს, რათა შექმნას საკუთრივ ლიტვისთვის დამახასიათებელი ხატი. ამ ციკლის სურათები აშკარად გამოირჩევა განსხვავებული კოლორითი. ცივი, ლურჯი ცა, ხეთა მუქი ტანები ირყელება წყლის აუზღვრევ სარკეში — აი საყვარელი მრტივი ლიტვურ სერიაში («სახლი არხის პირას», «ბალტიისპირეთი. არხი», «შემოდგომის პეიზაჟი წითელი სახლით»). ლიტვაშივე, ტყის იღვშალი მშვენიერებით მოხიბლული, იგი თითქოს ხეთა პორტრეტებს ხატავს. ქვეყნის სახასიათო კოლორითაა გადმოცემული არქიტექტურულ პეიზაჟებშიც, რომლებშიც მხატვარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე განათებისა და შუქჩრდილის ეფექტებს. ლიტვური ციკლის ნამუშევრებში უკარბობს მშვიდი, ლირიკული განწყობილება.

თუ მხატვარი პეიზაჟში ზწირად რთავს სტაფაჟურ ფიგურებს, რაც ქართულ ელფერს აძლევს სურათს, მეორეს მხრივ, ყოფით სურათებში ადამიანები, ასევე, ბუნების გარემოცვაში არიან მოცემულნი — ქართული მოტივი შეხამებულია პეიზაჟთან. ამ ტილოებში კეთილი იუმორი გამოსჭვივის — სიყვარულით ასახავს მხატვარი მოუხეშავ სოფელს ბერაკეებსაც და დედაბრებსაც, ტანჩქ ჩველებსაც. გროტესკულად გამაზვიანებულია პერსონაჟების იერი და გარეგნობა, მათი სახის ნაკვთები და გამომეტყველება, მაგრამ აშკარად ეგრძნობთ, რომ ეს არის სიყვარულით შეხუმრება, ერთგვარი გამაფრება სინამდვილისა. მხატვრისთვის უცხოა გაკილვა და, მით უმეტეს, — დაცინვა. მისი მახვილი თვალი შეუცდომელი სიზუსტით იჭერს სახასიათოს და ყოველგვარი წრეგადასული გაზვიადების გარეშე გამოსახავს. ვახტანგ ადვამეშ საინტერესო მთხრობელია, გვი-

ყება ადამიანებზე — მათი გარეგნობის, ქცევისა თუ ხასიათის ზოგიერთ სასაცილო მხარეზე.

ბოლო დროის ქართული სურათების ციკლს მიეკუთვნება აგრეთვე სურათი «ღენის გამყიდველნი», რომელიც განხორციელებულია თავშეკავებულ, თითქმის მონოქრომულ ფეროვან გამაში. მხატვარი უარს ამბობს პალიტრის ფერადოვნებაზე, რამდენადაც ყურადღება გადაატანილია სულისმძივრზე, პერსონაჟთა შინაგანი ბუნების ჩვენებაზე. აშკარად გამოვლენილი იუმორი კეთილად განგვაწყობს პერსონაჟებისადმი.

«ქორწილი», ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ყოფითი სურათია, მასში მრავალრიცხოვანი პერსონაჟები და სიტუაცია გროტესკული სიმახვილითაა გადმოცემული. მაგრამ ამ სურათსაც გააჩნია მეორე პლანი — აქ არცთუ მარტოოდნე სამხიარულოდ შეუყრით თავი ადამიანებს. ეს უფრო ნაღვლიანი ქორწილია, ვიდრე მხიარული... მხატვარმა მოახერხა თითქოსდა ბანალური სიტუაციისათვის მიენიჭებინა მრავალმნიშვნელოვანება, საზეიმო ცერემონიაში დრამატული ქვლარდობის მარცვალაც მოიძია.

ვახტანგ ადვამეშ შემოქმედებისათვის, საერთოდ, უცხო არ არის ცხოვრების დრამა-



ტული მხარის ასახვაც, რაც გამოვლინდა მის რამდენიმე ნამუშევარში.

„წერილი ფრონტიდან“ (1967), ფაქტიურად, ჟანრული სურათი, წამიერი, წარმავალი მივლენის ფექსაცია როდია, იგი სიმბოლური ქლერადობისაა. მოხუცის გამოვლავი, დარღი თუ სასოწარკვეთით სავსე მზერა, ქალების გარინდებული, მაგრამ შინაგანი ექსპრესიით აღსავსე ფიგურები — ძნელად თუ ვინმეს დაავიწყდება, ვისაც კი ეს სურათი უხილავს. მხატვარი თავისუფლად ფლობს გარდაქმნის, „დეფორმაციის“ ხელოვნებას, ეს ორგანულია მისი ბუნებისთვის. ტილოში „წერილი ფრონტიდან“ სიტუაციის ტრავიზმი გადმოცემულია ამ უსასაო, უბედურებისგან გაშეშებული ფიგურების უხერხული, დაძაბული პოზებით, პირქვეში რუხი კოლორიტიზი და კონტრასტული შექ-ჩრდილით. მძიმე განცდების გადმოცემას აძლიერებს სურათის მკაცრად ორგანიზებული არქიტექტონიკური აგებულებაც: სამივე ფიგურა ისეა განლაგებული, თითქოს ერთმანეთს მხარში უდგანანო, მონოლითურ, კომპაქტურ მთლიანობას ქმნიან.

ომის თემას ვახტანგ ადგაძის შემოქმედებაში იქნებ უფრო დიდი ადგილიც უნდა დაეკერა, რამდენადაც იმ წლებმა ძლიერი, წარუშლელი კვალი დაატყვეს მხატვრის სულს.

ფრონტზე იგი ორჯერ დაიბრა მძიმედ, მაგრამ შემოქმედი თელის, რომ ჯერჯერობით ვერ მოძებნა შესატყვისი ძლიერი ფორმა და ყალიბი თავისი სათქმელისთვის. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ორი ესკიზი განუხორციელებელი სურათებისთვის: „ნაადრევი გაზაფხული“ და „1942 წელი“. არც ეს ესკიზები ასახავს უშუალოდ ფრონტის სურათებს, უფრო ზურგის ჰირ-ვარამს ეხება.

მხატვარი ნაყოფიერად მუშაობს გრაფიკაშიც. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გრაფიკული ნახატების უმნიშვნელო ნაწილი — სულ ბოლო წლების ათიოდე ნამუშევარი, რომლებიც მოწმობს, რომ ნახატის სრულყოფილი ფლობა მხატვარს საშუალებას აძლევს თავისუფლად გარდასახოს ნატურა, დიმიორჩილოს იგი. კონტური, ხაზობრივი, გრაფიკული საწყისი მის ზოგიერთ ფერწერულ ნამუშევარშიც აშკარაა, ხოლო წმინდა გრაფიკულ სურათებში კი წამყვანი ხდება. გრაფიკულ ფურცლებში მხატვარი ისწრაფვის მიაღწიოს „ფერწერულ“ პლასტიკურობას. ეს ჩანს ფერადი ფანქრებით შესრულებულ ნამუშევრებში „მონადირე“, „მესხეთი, მტკვრის ხეობა“.

ვახტანგ ადგაძის პერსონალურმა გამოფენამ საშუალება მოგვცა გავცნობოლით ამ საინტერესო მხატვრის შემოქმედებას.

ხედი ღარეჯანის სასახლის აივნიდან
წუნდის ეკლესია
მესხეთი. მტკვრის ხეობა



85

ვლადიმერ ერქომაიშვილი



85 წილი შეუსრულდა ქართული ხალხური სიმღერების დიდ მცოდნესა და შესანიშნავ შემსრულებელს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვლადიმერ ერქომაიშვილს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მშობლიური მუსიკის სამსახურში გაატარა, თავისი ნიჭი, ცოდნა, ენერჯია ხალხური სიმღერის მოვლა-პატრონობას, მის პოპულარიზაციას მოახმარა. იგი დღესაც თავდადებათ ანვიტარებს იმ დიდ ტრადიციებს, რომლებსაც თაობიდან თაობას გადასცემს ერქომაიშვილების შესანიშნავი მუსიკალური დინასტია.

ვლადიმერი — გამოჩენილი მომღერლის გიგო ერქომაიშვილის ყველაზე უმცროსი, მეთექვრმე ვაჟი — სიმღერებს ითვისებდა პატარაობიდანვე თავისი მშობლებისა და და-ძმებისაგან, რომლებიც შესანიშნავად მღეროდნენ. პატარა ლადიკომ სიმღერით ამოიღგა ენა და სულ მალე ამ დიდებული ოჯახური ანსამბლის წევრი გახდა.

„პირველი ნათლობა, — იგონებს ვლ. ერქომაიშვილი, — მივიღე დიდ მომღერლებში, აზნაურ ნაოსა იორაშვილის ნაღზე. პატარა ვიყავი, მაგრამ უკვე კარგად ვმღეროდი, განსაკუთრებით „გამყვიანს“. ნაღზე მაძას წავეყვი. გიორგი ბაბილოძე ავად გამხდარყო და „გამყვიანის“ შესრულება მე მომიხდა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს (ნაღურები ორპირულია). ჩემი სიმღერა მოიწონეს გამოჩენილმა მომღერლებმა. საღამოთი ვახამაშე ნაოსა იორაშვილმა ორი ვერცხლის მანეთიანი ჭხრუქა და მითხრა: „ერთი მანეთი ერთ მხარეზე და მეორე მანეთი მეორე მხარეზე გაყვილებისთვისო“.

16 წლის ვლ. ერქომაიშვილმა სიმღერის მასწავლებლობას მოჰკიდა ხელი. სოფელ გოგუეთში ჩამოაყალიბეს მშვენიერი რვაკაციანი ანსამბლი, რომელმაც მალე გაითქვა სახელი, მის ხელმძღვანელს კი ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა სოფელში სიმღერების მასწავლებლად. ეს ტრადიცია დღესაც გრძელ-

დება. მახარაძის რაიონში არ დარჩენილა თითქმის არცერთი სოფელი, სადაც ლადიკო ერქომაიშვილს არ აღუზარდოს მომღერალთა თაობები.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ძმები ერქომაიშვილების ტრიო, რომელშიც გამოჩენილ მომღერლებთან არტემ და ანანია ერქომაიშვილებთან ერთად დიდი წარმატებით მღეროდა ლადიკო ერქომაიშვილიც. ამ ტრიომ, რომელიც მოღვაწეობდა ლამის 60 წლის მანძილზე, ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ქართული ხალხური მუსიკის განვითარების ისტორიაში. ტრიომ, რომლის სამემსრულებლო ხელოვნება გამოირჩეოდა მაღალი ტექნიკითა და ჰემარატიკ პროფესიონალიზმით, ფორფივებზე ჩაწერა მრავალი გურული სიმღერა, რითაც ხალხს შემოუნახა ეს უნიკალური საგანძური. ტრიოს რეპერტუარიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „შავი შავი“, „წამოკრული“, „დიდი ხნიდან გაიცანი“, „სკობს სიყვარული“, „პატარა საყვარელი“, „სუფრის ხელვაივი“, „მერუსთაველი“, მრავალი საგალობელი, რომელთა უკანასკნელი მცოდნენი სწორედ ძმები ერქომაიშვილები იყვნენ. დღეს კი უნიკალური გურული საგალობლების ერთადერთი მცოდნეა ლადიკო ერქომაიშვილი, რომელიც თავის დიდ ცოდნას ახალგაზრდობას გადასცემს.

„1918 წელს — ივანეს ვლ. ერქომაიშვილი — მამამემო, ბიძამემო გიორგი, დიდი მაგალობელი ნესტორ კონტრტოქ და ჩვენი ტრიო გურიელი სიმღერების ჩასაწერად მიიწვიოს თბილისში. სადაც 40 დღე დააყოთ. სმოიერებს იწერდნენ გამოჩენილი კომპოზიტორები — მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არაყიშვილი, ია კარგარეთელი, კოტე მელიენეთუხუციანი, კოტე ფიცხერიაშვილი და იმ დროს სრულიად ახალგაზრდა ანდრია ბალანჩივაძე. შემდეგ კოტე ფიცხერიაშვილმა თბილისის ოპერის თეატრში მოაწყო საჩვენებელი კონცერტი, რომელზეც ჩვენს მიერ შესრულებულმა გურულმა სიმღერებმა დიდი მოწონება დამოსახურა. ძმებმა, სხვათა შორის, შეიასრულეთ „საბოდინო“, ჩონგურზე მე ვუკრავდი. თეატრიდან რომ გამოვედით, შემოგვხვდა ორი მანდილოსანი, რომლებმაც ვეთხოვეს „საბოდინოს“ სწავლება. თხოვნა შევესრულეთ. ესენი იყვნენ ქართლ-კახური სიმღერების შესანიშნავი შემსრუ-

ლებლები — მარო და ეკატერინა თარხნიშვილები“.

თავისი ცხოვრების მანძილზე ვლ. ერქომაიშვილი შემოქმედებითად დაკავშირებული იყო გამოჩენილ მომღერლებთან — კიქო გეგეჭკორთან, ძუკუ ლოლუასთან, მიხა ჯილაურთან, სანდრო კავსაძესთან, ნიკო ხურციასთან, პლატონ დაღვენთან, ფირუზ მახათელაშვილთან, ავქსენტი მეგრელიძესთან, კირილე პაჭკორიასთან, მახარაძეებთან, კოროშინაძეებთან და სხვ.

„1919 წელს, — ივანეს ვლ. ერქომაიშვილი, — ოზურგეთში სამეფო ჩაველიშვილმა მიიწვია გურული მომღერალთა კონფერენცია, რომელიც, სხვათა შორის, იხილავდა მომღერალთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს, თუ ვის უნდა მისცემოდა უფლება გურული სიმღერების სწავლებისა. დებულებით ლიტერატორის უფლებას მოიპოვებდა მხოლოდ ის, ვინც ყველა გურული სიმღერის სამეფო ხმას და მის ვარიანტებს მარტო, შეუცდომლად შეაძურებდა. ამ კონკურსში მე გაიმარჯვე. მასხოს, სამეფელმა კონფერენციის მონაწილეთა წინაშე შემაქო, მეგრე მასთან ამძღვრა და ყველას ვასავანდა მხამალა სუქვა: „ეს ბიჭი ივარგებსო“.

1923 წელს ლადიკო ერქომაიშვილი მიუცეულ იქნა აჭარის სახელმწიფო კანელაში ხალხური სიმღერების მსწავლებლად. კაპელის რეპიტონ უტხანიძე ხელმძღვანელობდა, ქორეოგრაფიულ ჯგუფს — დათა ჯავრიშვილი. კაპელის სოლისტი იყო დავით ანდლულაძე. რამელთანაც ლადიკო თავისი იშვიათი სმის წყალობით ხშირად მუეროდა. ეს კაპელა კონცერტებს მართავდა საქართველოს ყველა კუთხეში.

1927 წლიდან ვლ. ერქომაიშვილი მუშაობდა აჭარის ეთნოგრაფიულ გუნდში, რომელსაც ხელმძღვანელობდა არტემ ერქომაიშვილი. ლადიკო მის მოადგილედ თივლებოდა. იმავე წელს ამ გუნდმა მოახყილობა მიიღო საქართველოს პირველი ოლიმპიადაზე, რომელიც ქუთაისში ჩატარდა და დიდი რეზონანსი გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. ყიურის წვერებს შორის იყვნენ დ. არაყიშვილი, მ. ბალანჩივაძე, კ. ფიცხერიაშვილი და სხვები. ამ გუნდმა დასავლეთ საქართველოს კოლექტივებს შორის პირველი ჯილდო დამოსახურა. აღმოსავლეთ საქართვე-

ლოს კოლექტივიებიდან ბირველი ჯილოდ მართოთაინიშვილის გუნდს ერგო. 1929 წელს ამ გუნდმა კვლავ მიიღო მონაწილეობა ოლიმპიადაზე და ისევ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. გაზეთებში აღნიშნავდნენ ორი 90 წელს მიღწეული მოხუცების — ვიკო ერქომაიშვილისა და გიორგი ბაბილოძის, ასევე ძმები ერქომაიშვილების მაღალ ოსტატობას.

ოლიმპიადის შემდეგ ეს გუნდი, მიხა ჯილოძისა და კირილე პაჭკორიას გუნდებთან ერთად, მიწვეულ იქნა მოსკოვს, ლენინგრადსა და ხარკოვში. ერთ-ერთ კონცერტს დაესწრნენ რომენ როლანი და მაქსიმ გორკი, რომლებიც აღფრთოვანდნენ ამ ანსამბლის საშემსრულებლო ხელოვნებით. რომენ როლანმა თქვა: „ბედნიერია ის კუთხე, სადაც ასეთი ხალხი ცხოვრობს, ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც ასეთი სიმღერები აქვს“-ო.

30-იანი წლებიდან ლადიკო ერქომაიშვილი მუშაობდა ჯერ ბათუმში, მერე მახარაძის რაიონში, სადაც აყალიბებდა გუნდებს, მართავდა საქველმოქმედო კონცერტებს. ომის წლებში ემსახურებოდა სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებს, პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, რომელიც 50 წელს ითვლის. ამ ხნის მანძილზე, ვინ მოსთვლის, რამდენი ახალგაზრდა მომღერალი აღზარდა, რამდენისთვის ჩაუნერხეს ხალხური სიმღერის სიყვარული. ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოვებულია განათლების სამინისტროს სიკვლებით, წარჩინებული პედაგოგის მედლით.

1952 წლიდან დღემდე ლადიკო ერქომაიშვილი სათავეში უდგას მახარაძის ექლტერის სახლთან არსებულ სიმღერისა და ტეკვის ანსამბლს. ეს კოლექტივი ვლ. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებით მონაწილეობდა მრავალ ღირსშესანიშნავ ღონისძიებაში, რომლებიც ჩატარებულა ჩვენს რესპუბლიკაში და მის საზღვრებს გარეთაც.

1968 წელს მახარაძეში საგუნდო და ქორეოგრაფიული საზოგადოების თაოსნობით ჩამოყალიბდა ძველი გურული სიმღერების აღმდგენელი სკოლა, რომელშიც ვლ. ერქომაიშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა.

„ამას წინათ, — იგონებს ვლ. ერქომაიშვილი, — ერთი სიმღერის ძველებური, გიგო ერქომაიშვილისეული ვარიანტი მინდოდა გა-

მეხსენებინა და ვერ გავიხსენე. დამეწიყებია. ეს ვარიანტი გუნდისათვის მინდოდა შესწავლებინა. ვიფიქრე — ვინმეს შეეკითხებინეთ, მაგრამ რომ გადავხედე ახლანდელი გურული მომღერლების შეთხვევებულ სიას, ამ დარგში ჩემზე მეტად ჰკუთსაკითხავი აღარავინ დარჩენილა. რამდენი ხანია გურული სიმღერა გემრიელად არ მიმღერია, ძველად რომ მომღერლები იყვნენ, ასეთები აღარ არიან... ამიტომაც გადავწყვიტე სასწრაფოდ შემეკრიბა მახარაძის რაიონის ახალგაზრდა ლობტბარები, რომლებსაც სიმღერის ჩაწერა შეუძლიათ. ესეთი რვა ლობტბარი მოვხაზე. მე ესასწავლი და გაწერინებ ძველი სიმღერების ყველა ხმის უცნობ ვარიანტებს. ამ ლობტბარებს გუნდები ჰყავთ სხვადასხვა სოფელში. ისინი თავიანთ გუნდებს შესასწავლიან მივიწყებულ სიმღერებსა და მათ ვარიანტებს. ამ გზით სიმღერა აღარ დაიკარგება. მარტო „ხანანბეგურას“ რვა ვარიანტი შესასწავლ... ამან კარგი შედეგი გამოიღო. ბევრი სოფლის მომღერალი უკვე მღერის ჩემს მიერ აღდგენილ ძველ სიმღერებს. ისე არ მოკვცდები, რომ მათ ასე მეტი სიმღერა არ დაუტოვო...“

რამდენიმე ხნის წინ პარტიის მახარაძის რაიონულმა კომიტეტმა ვლ. ერქომაიშვილის ინიციატივით გამოიტანა დადგენილება სასწავლო სკოლებთან საბავშვო სტუდიების შექმნის შესახებ. ამისათვის ვლ. ერქომაიშვილი ამზადებს ლობტბარებს, რომლებიც მახარაძის რაიონის 40 სკოლაში შეუდგებიან ხალხური სიმღერების შესწავლის საქმეს.

ჯარდა ამისა, ვლ. ერქომაიშვილმა ჩამოყალიბა ოცეკიანი გუნდი „ეკოლსა“, რომლის რეპერტუარი უკვე რამდენიმე ათეულ სიმღერას ითვლის. ამასთან ერთად, იგი მხარში უდგას ფოლკლორისტებს და ეხმარება მათ ძველი სიმღერა-საგალობლების აღდგენაში. ხშირად ბეჭდავს წერილებს ხალხური სიმღერების შესახებ რაიონულ გაზეთებში.

ეუბრნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია ულოცავს შესანიშნავ მომღერალსა და მოღვაწეს — ელადიმერ ერქომაიშვილს დაბადების 85 წელს და უსურვებს მას დიდ ხანს სიცოცხლეს.

„ქართული სასცენო მხატვრობა“

თამილა ლასხიშვილი

ქართულმა სასცენო ხელოვნებამ უარესად საინტერესო და სინდელიებით აღსავსე გზა განვლო. ქართველი რეჟისორები და მსახიობები ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ იმისათვის, რომ მხარი აუბან ჩვენს თანამედროვეობას და მის სინამდვილეს. ისინი ყოველდღიურად ზეწვენ თავიანთ ოსტატობას, რადგან თეატრი გააღა სრულყოფილებამდე თანამედროვე თავისი ტექნიკით, განათებით, ჩაცმით, გრამითა და აუცილებელი სადადგმო ელემენტებით, რაც მოითხოვა და განაპირობა დღევანდელმა დღემ. თანამედროვე მსახიობს ყოველ საღამოს უხდება სხვადასხვა დროისა და სულიერი სამყაროს ადამიანთა ცხოვრებით ცხოვრება. სცენაზე ერთმანეთს სცელიან ქართველი, რუსი და უცხოელი კლასიკოსების, ანტიკურ თუ თანამედროვე ავტორთა პიესები. აქედან გამომდინარე, მსახიობის სცენური ცხოვრება საოცრად რთული და რიბუნულად ცვალებადია, რაც მათგან დიდ პეტიორულ ოსტატობას მოითხოვს, ეს კი თავისთავად გულისხმობს საშემსრულებლო საშუალებათა სრულყოფას, მისი მსახიობური მე-ს წვრთნას და დაოსტატებას.

ამ საქმეს დღეს დიდი ერთგულებითა და პასუხისმგებლობით ეკადრება შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, ის დიდ ეკრა, რომელმაც ქართულ თეატრს ნიჭიერი, ერთდორბულ პროფესიონალ მსახიობთა მთელი თაობები აღუზარდა.

როდესაც ინსტიტუტის დამაარსებელნი, პატივცემული პროფესორი აკაკი ფაღვა და აკაკი ზორავა, ამ დიდ ეროვნულ საქმეს უყრიდნენ საფუძველს, კარგად იცოდნენ, რომ ქართულ თეატრს საშვილიშვილო საქმეს უკეთებდნენ. მაშინ მათ არ გაჩნდათ ის ეცნო-მფორი ბაზა, რაც ინსტიტუტის მალაქვალიფიციური პედაგოგებით დაკომპლექტებას ესაპირობებოდა. ამი-

ტომ თხოვნით მიმართავდნენ ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების ღვაწლმოსილ ადამიანებს და ისინიც უნაგაროდ ემსახურებოდნენ ამ კეთილშობილურ საქმეს.

იმ დროისათვის ინსტიტუტში არ არსებობდა სწავლების ჩამოყალიბებული მეთოდები და სისტემები. ამ საქმეს იქ მოღვაწე ქართველი რეჟისორები და მსახიობები თანდათან, რუსული და ქართული თეატრების განვლილი და მიმდინარე სცენური ცხოვრების გაანალიზებით ანხორციელებდნენ. უპირველეს ყოვლისა ეურდნობოდნენ სტანისლავსკის სისტემას, განიხილავდნენ მას, როგორც საფუძველს, მომავალი კადრების აღსაზრდელად. მაგრამ ამავე დროს უდიდესი ყურადღება ეთმობოდა და ეთმობა ქართული თეატრის მონაპოვრების გაანალიზებასა და მის ერთ სისტემაში ჩამოყალიბებას, რადგან ქართული თეატრი ოდითგანვე აოცებდა და აოცებს მსოფლიო მაყურებელს თავისი თვითმყოფადობით. ინსტიტუტი აანალიზებდა მარჯანიშვილისა და აბეტელის შემოქმედებას, ეურდნობდა მათ მიერ გადაჭრილ პრობლემებს რიტმის, პლასტიკის, სასცენო მტკვებლებისა და სპექტაკლის ასაგები სხვა გამომხატველი საშუალებების ჩამოყალიბებაში, რადგან ყველაფერი ეს უშუალო კავშირშია აქტიორულ ოსტატობასთან. მათი სპექტაკლები ხომ გამოირჩეოდა რიტმულობით, პლასტიკური სისავსითა და სიღამაზით. ამიტომ მარჯანიშვილისა და აბეტელის შემოქმედებაზე დაყრდნობით ინსტიტუტი დიდ ყურადღებას უთმობს მომავალი მსახიობის რიტმულ და პლასტიკურ წვრთნას, მისი შინაგანი სულიერი სამყაროს წვრთნასთან ერთად... და ასე თანდათან ჩამოყალიბდა ის გარკვეული, მეცნიერულად დასაბუთებული სასწავლო მეთოდი, რომელითაც ინსტიტუტში დღესდღეობით მიმდინარეობს მომავალი თეატრალური კადრების აღზრდა.

ინსტიტუტშივე დაოსტატდნენ, როგორც პედაგოგები, ამავე ინსტიტუტის აღზარდლი მსახიობები, რე-



ენობები და თეატრმოცდენები. ისინი ღირსეულად აგრძელებდნენ იმ დიდ საქმეს, მისმა დამაარსებელმა რომ ჩაუყარეს საფუძველი.

დღეს ჩვენ საბჭოთა გვიქნება ერთ-ერთ მათგანზე. წლების მანძილზე იგი რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო, დღეს კი თეატრალური ინსტიტუტის კათედრის გამგე და ლის შესწავლის სახელმძღვანელოს „ქართული სასცენო მეთევლეობის“ ავტორია.

ბაზულია ნიკოლაიშვილი ის პიროვნება გახლავთ, ვის სახელსაც დიდი სიყვარულით, მოქალაქეობა და მადლიერებით მოიხსენიებენ ქართულ თეატრებში, რადგან უყოველ მათგანში მოღვაწეობენ მსახიობები, რომელთა დაოსტატების მან დიდი ღვაწლი დასდო. მისი აღზრდილები არიან სხვა კაცობრის სახაზობი არტისტი ოთარ მეღვინეთუხუცესი, საქართველოს სახაზობი არტისტები: არაკლი უჩანეთუხუცესი, ნოდარ მგალობლიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ნოდარ ჩაჩანიძე, მამუკა ზებურთაშვილი, დეიო ფოლადანი, ჭყამდ გაგინძე, ზორია ლებანიძე, იზა გულაშვილი, გიორგი ხარაბაძე და ბიელი წყება ახალგაზრდა მსახიობებისა, რომლებიც უყოველწლიურად ავსებენ ქართულ თეატრების შემოქმედებით კოლექტივებს.

ცხადია, ბაზულია ნიკოლაიშვილმა უფარესად მწელო და საინტერესო პედაგოგიური მოღვაწეობის გზა გასწავლა. წლების მანძილზე ის მოიძიებდა სწავლების იმ მეთოდს, რომელიც ახლობელი და სრულყოფილი იქნებოდა ქართველი მსახიობისათვის. მან გაწავლია გზა ინსტიტუტში სასცენო მეთევლეობის სწავლების დასაწყისიდან, როცა ეს საგანი მეთევლეობის ტექნოლოგიური საფუძველებს გამოუმუშავებდა და მხატვრულ კითხვაში მათ გამოყენების იდეალისწინადაც, ყოველ დღევანდელ დღემდე, მის მიერვე შემუშავებული კომპლექსური ვარჯიშების გაოყენებამდე, რაც გულსმზობის მსახიობის ობტაცობისა და სასცენო მეთევლეობის სწავლების პროცესის ისე დაახლოებას, რომ სტუდენტმა თამაშად შესძლოს სასცენო მეთევლეობის სწავლებისას მიღებული ახალი ჩვევების სცენურ მოქმედებაში გადმოტანა-გამოყენება იმგვარად, რომ სიტყვა ორგანოვად შეერწყოს მოქმედებას, კონკრეტულ აზროვნებას და ემოციურ გამოსახულებას. ამ წინაშე ავტორს მოკვდიული აქვს ქართული სასცენო მეთევლეობის მთელი პარკები, როგორც საერთო სახაზობი ენის ერთ-ერთი სახეობისა. „რომელიც დრამატურგული ლიტერატურული ნაწარმოების სცენურ განხორციელების გზით უკლიდებოდა და საშემსრულებლო ხელოვნებას განეყოფინებოდა“.

ავტორი მოკლედ მოგვითხრობს იმ მამულოშივლითა დეწულზე, დეწვეული მე-12 საფურსიდან, ვიდრე მე-18 საუკუნემდე, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის ჩამოალიბება თოთქის დამთავრებს.

წინაშე ლაპარაკია იმ ამაგზე, რაც სულთან-სახა ორბელიანის პროზამ და დავით გუარამიშვილის პოეზიამ, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვჟა-ფშაველამ, დავით ერისთავმა, იაკობ გოგებაშვილმა და თავის მზრეო ქართველმა მსახიობებმა მკაო საფაროვა-აბაშიძემ, ნატო გაბუნიაძემ, ვასო აბაშიძემ, კოტე მესხმა, კოტე ყიფიანმა, ლადო მესხიშვილმა, იმდროინდელმა კრიტიკოსებმა პეტრე უმიჯოვიძემ, ივანე შაჩაბელმა და სხვათა და სხვათა დასდევს ქართულ სალიტერატურო ენას. შეცნიერულად არის განხილული სასცენო მეთევლეობის რთული ხელოვნება, რადგან როგორც ავტორი აღნიშნავს, ის განსარობებულია „დემიანის ფსიქო-ფიზიკური მოქმედებითა და აუსტერიურ-ფიზიოლოგიური ფაქტობით, რეალისტური სასცენო ხელოვნება მსახიობისაგან მოითხოვს კრიტიკულ ვაროვნებას, მოუღენების, საქცილის, სტანოების და გარემოს სწორად უდგასებას, ვ ცნაობა გულურსულყო-

ბას, ჭეგრობა გაწყოვობას, ამასთანავე მეთევლეობის ბუნებრიობასა და მყავიობას“.

ავტორი საფუძვლიანად იყენებს ქართულ სასცენო მეთევლეობისაგან დეკავშირებულ ეკნაა იმ საკითხს, რასაც მოხილავს ქართული კომპოზიციონა, ფსიქოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა და მედიცინა.

წინე შედგება 7 ძირითადი თავისაგან:

1. ენა და მეთევლეობა.
2. მეთევლეობის აპარატის აგებულება და მოქმედება.
3. ქართული სამეთევლეო ბეგრები.
4. ბგერათა ცვლილება გაბმულ მეთევლეობაში.
5. მახვილი.
6. აზრის გამოხატვის სამეთევლეო ხერხები.
7. მეთევლეობის ტექნოლოგიის კომპლექსური გავარჩიშება (მეთოდურ-მეთოდოეური ხასიათის შენიშვნები).

აკ ჩამოთვლილი უყოველი თავი პრაქტიკულად შემოწმებულია. ეს არის გზა, რომელიც ქართული სასცენო მეთევლეობის სწავლებამ გაწავლო თეატრალური ინსტიტუტში და რომელიც ავტორმა მწყოზრის სისტემაში მოაქცია. ეს არის გზა, დეწვეული იმ დღიდან, როცა არ გქონდა არც ერთი სახელმძღვანელო, ვარცა დიდი მსახიობთა მიმდინარე სცენური ცხოვრებისა, ვაზა-დარისა და ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა ვიტორიციზოვანი წერილებისა და მოსაზრებებისა. ვიდრე 1947 წელს გამოცემული პროფ. მალიკო მრუდულიშვილის წინისა სახელმძღვანელო: „ქართული სასცენო მეთევლეობის ფინეტიკური საფუძველი“, შემდეგ 1968 წელს გამოცემული ბ. ნიკოლაიშვილის წინაშე „ლექსის მხატვრული შესრულება“ და ბოლოს წინაშედაბრე წინე ამავე ავტორისა. სწორად ამტკობა, რომ ქართული თეატრის მოღვაწეი დიდი ინტერესით შეხედნენ მალაზის თარიებზე ამ წინის გამოჩენას. ბაზულია ნიკოლაიშვილის სახელმძღვანელოზა გაოვალისწინებულა ქართული თეატრის ერთწელი ხასიათი, მისი პუბლიკაცირობა, რთული და რიგმული ფიზიკური მოძრაობების გამოყენება მოქმედების დროს და ეკნა ის სავაროზო, რომელიც აღწერილი წარწეი, აგებულა რთულ ფიზიკურ მოძრაობებზე, ძირითადად იოგების ვარჯიშებზე. ამ სავარჩიობის სისტემატური შესრულებით სტუდენტი იქნეს ჩვევას თუ როგორ გამოიყენოს სასცენო მეთევლეობა, როგორ მოაწოდოს სამეთევლეო ხმის სწორ წარმოქმნას. მისი დიაპაზონისა და ინტენსიობის განვითარების ტემპრის დატვიწის, რც თავისთავად გულსმზობის სამეთევლეო სუნთქვის მყარი საფუძველის შექმნას, სტუდენტი ეჩვევა სწორად წარმართოს მეთევლეობის ემოციური მზარის განვითარება, ეთი სიტყვით, წინე ხელს ლეწებს მომავალი მსახიობისათვის ისეთი სასცენო მეთევლეობის გამოუმუშავებას, რომელიც „ენობრივად დაბეწვილი, ტექნიკურად მოწესრიგებული, გავარბებული, განცდილი და სახიბრი იქნება“.

(ბ. ნ.).
ვფეკრობთ, წინე დიდ სარგებლობას მოუტანს ქართულ სასცენო ხელოვნებას.

მარტორკმა

